

140  
1955/3

საქართველოს  
სიბავშვთა



ს. ი. მ. ნ. გ. კ. ო

№ 2  
თებერვალი  
1955



## საბჭოთა საქართველოს ჰიმნი

იდიდე მარად, ჩვენო სამშობლოვ,  
გმირთა კერა ხარ გაუქრობელი;  
ქვეყანას მიეც დიდი სტალინი,  
ხალხთა მონობის დამამხოველი.


შენი ოცნება ასრულდა,  
რისთვისაც სისხლი ღვარეო;  
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო!

დიდი ოქტომბრის შუქით ლენინმა  
შენ გაგინათა მთები ჭაღარა;  
სტალინის სიბრძნემ ძღვევით შეგმოსა,  
გადაგაქცია მზიურ ბაღნარად.

მოდმე ერების ოჯახში  
დამკვიდრდი, გაიხარეო,  
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო!

უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი  
აზრი, ხმალი და გამბედაობა;  
დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს  
სჭედს სტალინური წრთობის თაობა.

საბჭოთა დროშა დაგნათის,  
მზესავით მოელვარეო;  
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
ილხინე, ქართველთ მხარეო!





6904




## სიმღერა საბჭოთა არმიაზე

მოდის, მწყობრად მოაბიჯებს,  
 მოდის მტკიცედ დარაზმული,  
 ვინც გვახარა გამარჯვება  
 და სამშობლოს გაზაფხული;  
 ვინც ჩვენს მიწას  
 მტკიცედ იცავს,  
 ვინც გვდარაჯობს ფხიზელ თვალით;  
 ის მშრომელთა არმიას,  
 ის საბჭოთა არმიას —  
 ბურჯი ჩვენი მიწა-წყალის.

მტკიცედ მოდის, ვინც ურდოებს  
 დასცა რისხვა, შიშის ზარი,  
 მშვიდობის მტრებს არ დაინდობს,  
 თუ კვლავ ატყდა ბრძოლის ქარი;  
 ვინც ჩვენს მიწას  
 მტკიცედ იცავს —  
 იმედი და ქვეყნის მსხნელი —  
 ის მშრომელთა არმიას,  
 ის საბჭოთა არმიას —  
 მედგარი და უძღვევლი.

ქ. გოგიაშვილი





ნიკოლოზ პერაჯინიკოვი

ნახ. ა. დავილოვასი

## ვალოდია ულიანოვი\*

(მოგონებანი ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრობის წლებზე კოკუშინოში)

### ნ ა ვ ი

ბუნებრივია, რაკი მდინარეს ასე შევეთვისეთ, ათასნაირ ოინებს ვიგონებდით, რათა ყოველგვარი სიამოვნება მიგველო, რის მიღებაც შეიძლებოდა. წყალში ჩავუშვით ძველი დიდი ნავი, რომელიც თხუთმეტ კაცს იტევდა. ნავი უკვე დამპალი იყო, წყალი გასდიოდა და სამ-ოთხ ბიჭს ძლივს იკავებდა, თან ყოველ წამს ციციხვით უნდა ამოგვეხაპა წყალი იქიდან.

ნიჩბების ნაცვლად ნავს ბორბლები გავუკეთეთ, თვითონ გამოვჩორკნეთ ლილვი, ბოლოებში ფრთებით და შუაში სახელურებით, ჩავდგით იგი ნავში გარდიგარდმო და მდინარეს დავეყვით: ერთი მართავდა, მეორე ლილვს ატრიალებდა, მესამე კი წყალს ხაპავდა.

მაგრამ ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებდა, თანაც ერთისთვის ძნელი იყო ლილვის ბორბლებიანა ტრიალი. გვსურდა მთელი კამპანიით წასვლა, ასე ექვსიოდ ბიჭამდე. ცხადია, ისიც კარგად გვესმოდა, რომ ნავი ყველას ვერ გაგვიძლებდა და ჩაიძირებოდა.

— მერე და რა? მით უკეთესი და საინტერესო იქნება: ვნახავთ, ვინ როგორ გადარჩენს თავს!— შესძახა ვალოდია.

ჩაიცვით ისეთი ხალათ-შარავლები, რომლებსაც, სულერთია, წყალი და საბონი მაინც ესაჭიროებოდა, და ჩავხტით იმ ჩვენს „ორთქლმავალ“ ანუ, როგორც ვალოდია შეარქვა, „ხელმავალ“ გემში.

\* გაგრძელება. იხ. ყუბნ. „ბიონერი“ № 1.

წალეზიც გავინადეთ, რომ არ დაგვევლებოდა, და ნავის ცხვირზე დავაწყეთ იმ ვარაუდით, რომ „გემის დაღუპვის“ შემთხვევაში ხელი დაგვევლო და ნაპირზე გაგვეტანა.

ვალოდია თავისი წალები საბანაოში დატოვა და ჩვენც გვირჩია, ასე მოიქეცითო. მაგრამ არავინ დაუფერა ამ წინდახედულ რჩევას.

სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვივარაუდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ორი ციციხვით ვხაპავდით წყალს, ნავი მალე გაივსო წყლით და ფსკერისკენ წავიდა.

თავის გადარჩენის დარდი ვის ჰქონდა, ყველა წალებს ეცა გადასარჩენად. ხელი დავავლეეთ, ვისაც რა მოგვცდა. ვიდაცის ფენსაცმელი ვალოდია მაც გადაარჩინა, მაგრამ ერთმა ჩვენგანმა მხოლოდ მარჯვენა წალის გადარჩენა მოახწრო, მეორე, მარცხენა კი, ჩაიძირა.

— აი, ახლა კი ისტუნებ ცალ ფეხზე!— უთხრა ვალოდია. ყველას სიცილი წაგვსკდა, მხოლოდ იმ ჩვენ ბედუკულმართ ამხანაგს არ ჰქონდა სიცილის თავი.

ერთხმად გადავწყვიტეთ მოგვეძებნა წალა. ტანსაცმელი გასაშრობად ბუჩქებზე მივაფინეთ და ხან ერთმა ჩავყვინთეთ, ხან მეორემ, ხანაც ორმა ერთად, მაგრამ ყველაფერი ამოიყო: ამოგვექონდა ფსკერიდან შლაში, ზოგჯერ კორძები, მაგრამ იმ ჩვენი უიღბლო ამხანაგის წალის პოვნა კი ვერავინ შეხძლო.

გაისმა კიდევ ხმები, ძებნას თავი დავანებოთ: წალა ნაჯახი ხომ არაა, რომ წყალში პირდაპირ ჩაიძიროს; თანაც ჩაძირული ნავიდან ხტომისას წყალი ავამღვრიეთ და ყურებშიც წყალი დაგვიგუბდა ამდენი ყვინთვის გამო.

— ყურიდან კი გამოდენი წყალს, — ამბობს ვალოდია, — მაშ, წალს ფსკერზე ხომ არ დავტოვებთ! თქვენ როგორც გე-  
ნებოთ, მე კი ისევე ვაგრძელებ ძებნას!

ვალოდია ჩვენს პასუხს არც კი დაელოდა, თავით ჩახტა  
წყალში და სწრაფად ამოყურყურმალავდა, ხელში რალაც  
ეჭირა.

ჩვენ გვეგონა, ისევე კორძი იქნებოდა, მაგრამ არა — წალა  
იყო.

### „პოვარნიას“ წყაროზე

პატარა სოფელ კოკუშქინოში ან ჩვენზე ბევრად უფრო-  
სები იყვნენ ბიჭები, ან ჩვენზე ბევრად უმცროსები. საერთოდ,  
ვალოდიას ისედაც თავისზე უფროსებთან უყვარდა მეგობ-  
რობა, ისინი უფრო შეეფერებოდნენ მის განვითარებასა და  
ინტერესებს.

ამიტომაც არის, რომ ჩემს მიერ აწერილ ეპიზოდებში  
თითქმის არა ჩანს პატარები.

ახლა ვიამბობთ იმას, თუ როგორ დადიოდა ვალოდია  
თათრის ბიჭის ბახავის სიმღერის მოსასმენად.

მახსოვს, კაშკაშა, მზიანი დღეა. ლოგინიდან წამოვხტით,  
გავრბივართ მე და ვალოდია, რომელი რომელს გავასწრებთ  
ხეებს შორის დაქანებულ ბილიკზე, თავზე გვეხმება ნამის  
წვეთები, მერყევი ზოგირით გადავდივართ საბანაოზე, ვხტე-  
ბით წყალში, ვცურავთ მხარულით, თან ვცდილობთ, რაც  
შეიძლება მაღლა ამოვიწიოთ წყლიდან. ვწევართ მდინარის  
მოელვარე ზედაპირზე, ყირაზე გადავდივართ, ვცვინთავთ  
და, ცურაობით გულმოგვრებულნი, გამხნეებულნი და გახა-  
ლისებულნი, მივდივართ შინისაკენ.

მზე მაღლა და მაღლა იწევს. შუადღისას, ნასადილევს,  
წყლის დასალევად მორეკა კოკუშქინოელთა პატარა ნახირი  
მწყემსმა ბიჭმა ბახავიმ.

ვალოდიას უყვარდა ამ მხიარული ბიჭის სიმღერა. ჩვენ  
მდინარე უშნას მეორე ნაპირზე, წისქვილის საგუბრის ვაღმა,  
ველზე მივრბივართ, „პოვარნიას“ დაგუბებულ წყაროზე.

ბახავი ვალოდიას დანახვავზე თათრულ სიმღერას იწყებს.  
სიმღერის შინაარსი, ბახავის ვაღმოცემით, ასეთია: გლე-  
ხის ბიჭი ჯერ მწყემსად იყო, მერე მოჯამაგირეობდა, ბო-  
ლოს კი „ხალდათად გაიყვანეს.“

ამ ძველისძველ სიმღერიდან ჩანს, რომ იმ წარსულ დრო-  
შიც სძულდა უბრალო ხალხს მეფის ჯარისკაცობა, უაზრო  
წვრთნა, დამცირება და აბუჩად აგდება.

მე აქამდეც ჩამჩნა ხსოვნაში ამ სიმღერის ერთი სტროფი  
თათრულ ენაზე.

ხარი, ხარი, საპ-ხარი,  
ხარი ჩეჩეკ საპლანი,  
საგინირსინ, სარგაირსინ,  
კისლე სუგიშ ჩაკლარი.

რაც თარგმანში ნიშნავს:

ყვითელი, ყვითელი, ძალიან ყვითელი,  
ყვითელი ყვავილის ტოტები.  
მოიწყენ, გადაყვითლდები,  
როცა დადგება ომის დღეები.

ვერ მოასწრო ბახავიმ სიმღერის დამთავრება, რომ გამოჩნ-  
და მწყემსი ანტონი; შორიდანვე დაუწყო ლანძღვა ბახა-  
ვის, იმის გამო, რომ მან ნახირი ასე ადრე მორეკა.

— აბა, უსაათოდ როგორ გაიგოს დრო? — ექიმაგება ვა-  
ლოდია.

— ოთხი ქალამანი გადაეზომა და — გაიგებდა კიდევ! —  
პასუხობს ანტონი.

მაგრამ ვალოდიასა და მე არ გვესმის, როგორ შეიძლება  
ქალამანმა შეცვალოს სხათი.

მხოლოდ ანტონისა და ბახავის თვალსაჩინო განმარტების  
შემდეგ მივხვდით, რომ წლის ამ დროს, შუადღისას, ადამი-  
ანის ჩრდილი უდრის მისი ოთხი ტერფის სიგრძეს. (ნავარაუ-  
დევია, რომ ტერფი პროპორციულია სიმაღლისა).

ვალოდიას მაშინვე მოაგონდა გნომონი — პირველი ასტრო-  
ნომიული იარაღი, (ვერტოკალური ჯოხი, რომელიც ჩრდილს  
ფენს), რის საშუალებითაც პირველი ასტრონომები — ასეთივე  
მწყემსები — საზღვრავდნენ მზის სიმაღლეს.

ვალოდიას უბრალო ნაამბობმა, ყოველგვარი ჭკუის სწავ-  
ლების გარეშე, დაგვანტერება არა მარტო მე და ბახავი,  
არამედ მოხუცი ანტონიც, თუმცა ანტონი დღეს ყველაფრით  
უკმაყოფილო იყო. ის სოფელ კოდლიში იყო წახლული გასამრ-  
ჯელი მისაღებად და ხელცარიელი დაბრუნდა.

— „ცხადია მმართვეს, მოგცემ კიდევ; მაგრამ მალე ვე-  
რაო,“ — ბუზღუნებს ანტონი, — მე კი ნამცეცი წიკო არ გამაჩ-  
ნია, პერანგიც ლამისაა გამძვრეს ტანზე, საყიდელი ფული  
ვინ მომცა!

ვალოდია ყურს უგდებს ბახავის სიმღერასაც და ანტონის  
დარდიან სიტყვებსაც.

ის შემხარის მზეს, რომელიც ასე კაშკაშებს, არ აშინებს  
არც მზეს გადაფარებული ავდრის მძიმე ღრუბელი.

ის ყველაფერს ითვისებს, ყველაფერს, როგორც შიწა  
იწოვს ტენს.

ვალოდიას მგრძობელობა ცხოვრების ნათელი თუ ბნელი  
მხარეების მიმართ — პირდაპირ გასაოცარია.

### საუბარი წაკითხულის ბარჯემო

ვალოდია ჩემზე უფრო მცოდნე გამოდგა ლიტერატურისა,  
თუმცა ბავშვობაში მძიმე ავადმყოფობათა გადატანისას მე  
მუდამ რუხსა და უცხო ავტორებს მიკითხავდნენ, თვითონაც  
ცოტას როდი ვკითხულობდი, ასე რომ, გაცილებით უკეთ  
ვიცნობდი კლასიკურ ლიტერატურას, ვიდრე ჩემი ასაკის  
ბავშვების უმრავლესობა.

ვალოდიას ძალიან უყვარდა წაკითხული წიგნების შესა-  
ხებ გამოკითხვა:

- ეს წაკითხე?
- არა.
- აბა ეს?
- არა.

ბოლოს მეც მებზრდებოდა ხულ „არა“ და „არას“ ძაბილი  
და „კი-მეთქი“ ვეზუნებო.

- ტურგენევის „კვამლი“ წაკითხე?
- კი.

მაგრამ ვალოდია ცხადად ზედება ტყუილს და ცბიერად  
მეკითხება:

- მოთხრობა „ლიტვინოვი“ თუ წაკითხე?

მე მრცხვენია მეორეჯერ ტყუილის თქმა და გადაჭრით  
ვაცხადებ:

- არა, არ წამიკითხავს.
- მაშ, სიცრუე გითქვამს „კვამლი“ წაკითხეო რომ  
წაგეკითხა, გეცოდინებოდა კიდევ, რომ ლიტვინოვი რომან  
„კვამლის“ გმირია. ტურგენევის მოთხრობა „ლიტვინოვი“  
სულაც არ დაუწერია.

აქამდე მახსოვს როგორ შემრცხვია შემრცხვა არა იმისა-  
თვის, რომ ცოტა მქონდა წაკითხული, არამედ იმიტომ, რომ  
ტყუილი ვთქვი და თან ასე მარჯვედ და სწრაფად გამომი-  
ჭირეს ტყუილში.

შემდეგში არასოდეს არ მოუგონებია ვალოდიას ჩემთვის ეს საუბარი და არც არავისთვის უამბობია.

ეს შემთხვევა ხატავს არა მარტო ვალოდიას მოხერხებასა და გონებამახვილობას, ის ავლენს კიდევ მისი ხასიათის უფრო დასაფასებელ თვისებას: არა მოჩვენებით, არამედ ჭეშმარიტად, ნამდვილ თავაწიანობასა და სისათუთეს, ტაქტს, ადამიანებისადმი მზრუნველსა და ყურადღებიან დამოკიდებულებას.

აბა, სხვა ვინ შეიკავებდა თავს, რომ არ გამოვეჯავრებინე ან, ყოველ შემთხვევაში, ასე თუ ისე არ მოეგონებია ჩემთვის ეს თავის შერცხვენა.

ვალოდიას შემდეგში არა ერთხელ უთქვამს, რომ იგი განსაკუთრებით იმ ლიტერატურულ ტიპებს აფასებს, რომელთაც მტკიცე და შეუღრეკელი ხასიათი აქვთ.

მან ჩემი ყურადღება მიაქცია ტურგენევის მოთხრობა „სათს“, რომელსაც მანამდე არ ვცნობდი. მისი წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ვალოდიას უსათუოდ მოეწონებოდა მოთხრობის გმირი დავითი, თანაც სწორედ მისი ხასიათის გამო.

როცა, ვგონებ მეორე ზაფხულზე, ვალოდიას ვკითხე, ამიტომ ხომ არ მოგწონს-მეთქი ეს მოთხრობა, დამეთანხმა და მითხრა: ისეთი ადამიანები, როგორც დავითია, ყველაფერს მიღწევენ, რისკენაც მისწრაფიანო.

ვალოდია დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა წიგნებს: არასოდეს არ მინახავს, რომ მას უწესრიგოდ მიეყარა წიგნები, ან დაფლეთილი წიგნები ჰქონოდა.



თავის გადარჩენის დარდი ვის ჰქონდა, ყველა წაღებს ეცა გადასარჩენად.

\* ბურსელი — სემინარიელი.

მიუხედავად თავისი მკვირცხლი ბუნებისა, აკურატობა, უფრო სწორად — პუნქტუალობა ახასიათებდა, რასაც მე წვრილმანებისადმი მოთხოვნილებას დავარკმევდი (და არა წვრილმანობას, როცა, ანდავისა არ იყოს, ხეების ქვერავში ტყეს ვერ ამჩნევდი).

რაც უფრო ხანა ემატებოდა, ეს ხასიათი უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა მასში. კარგა დიდი ხნის შემდეგ მარიამ ილიას-ასულმა მიაშპო, როცა ის პატარა ყუო და ვლადიმირ ილიას-ძე ამეცადინებდა, მან სიჩქარის გამო შავი ძაფით შეკერილი რვეული მიაწოდა თურმე. ვალოდიამ შენიშვნა მისცა, ასე არ ვარგაო; აიღო თეთრი ძაფი და თვითონ ხელახლა შეკერა, ცხადია იმ მიზნით, რათა უმცროსი დისათვის საქმისა და სწავლისადმი ბეჯითი დამოკიდებულება გამოემუშავებინა.

### საშინელი ზღაპარი

ავგისტოს ერთ ბნელ, ავდრიან საღამოს ჩვენ ფლიგელის დიდ ოთახში მოვიყარეთ თავი.

ვინ ბილიარდს თამაშობს, ვინ ბანქოს: „დურაკობას“, „მეფობას“, „კოწირობას.“

ერთმა გოგონა აიღო და ხმამაღლა კითხულობს „საღამოები ხელტოროში დიკანკის მახლობლად“. ნელნელა ყველამ დავანებეთ თავი ბილიარდისა და ბანქოს თამაშს და მოსახმენად ჩამოვსხედით.

გატაცებით ვუსმენდით. „მოჯადოებული ადგილი“ რომ დავამთავრეთ, კამათი ატყდა, რომელი უფრო საინტერესოა წასაკითხავად: „დაკარგული სიგელი“ თუ „ვიი.“ გადავწყვიტეთ „ვიი“ წაგვეკითხა, როგორც უფრო საშინელი ზღაპარი. კოკუშკინოში სტუმრად ჩამოსული გიმნაზიის მოსწავლე პეტია აღექვსევი შიშით უყურებს ჩაბნელებულ ფანჯრებს და ნავთის ლამფით განათებულ მაგიდისაკენ იწევს.

პეტია, მგონი, ყველაზე უფროსია ჩვენს წრეში. ის, რატომღაც, განსხვავდება ყველასაგან: ალბათ, ნაკლებ განვითარებულია და საკმაოდ მზდალიც.

ეს თვისება რომ შევნიშნეთ, ხასაცოლოდ ავიგდეთ პეტია, თუმცა ზოგიერთ ჩვენგანსაც არა ჰქონდა გული საგულეს — შიშის ზარს გვცემდა ის ამბავი, რომ ფლიგელიდან ამ ბნელ ღამეში გზის მეორე მხარეს, დიდ სახლში უნდა გაქცეულიყავით. მაგრამ არ ავყევით ამ გრძნობას, ცვდილობდით და გვეძლია და დავეფარა ის.

— პეტიას ცუდად ეხმის, იმიტომაც ეკვრის მაგიდას! — ვვყვირით ჩვენ.

— გაიხედე ფანჯარაში! — ეუბნებოდა ვალოდია, — აბა, დააკვირდი, დაინახავ განათებულ ტაძარს, შუაში კუბოს, კუბოსთან კი ბურსელ\* თომა ბრუტს... შეხე, რა შეშინებულნი სახე აქვს... აგერ, კუბო იწყებს ჰაერში ტრიალს, ლამის შეეხოს მას...

საცოდავი პეტია შებრუნდება, ფანჯრიდან გარბის და ყურებში თითებს იცობს. ჩვენ ძალით ვაცლით ხელებს და ჩავჩურჩულვით საშინელი ზღაპრის სიტყვებს.

ვალოდია ერთბაშად გვაწყვეტინებს შეუფერებელსა და ბოროტ ხუმრობას.

— არა, ასეთი ხუმრობა არ ვარგა! — აცხადებს ის. — ჩვენ ეს ტყუილად მოვიგონეთ. უნდა შევწყვიტოთ ეს დამამცირებელი გართობა.

მერე პეტიას ამშვიდებს:

— აბა, რას გაარჩევ ფანჯარაში განათებული ოთახიდან, გარდა ბნელი ღამისა? აი ყვავილნარიდან კი, პირიქით, შენ დაინახავ განათებულ ოთახსა და დავინახავ ჩვენ ყველას

მაგიდის ირგვლივ. აქ საშინი არაფერია. თავი დავანებოთ ამას! ისა სჯობს, ორ დაფაზე ვითამაშოთ შაში, მერე გამარჯვებულებო ეთამაშებიან ერთმანეთს.

შაშის სათამაშოდ დავსხედით: პეტია თანდათან მშვიდდება. საღამო თავდება. ძილის დროა.

## დეიდა მამა

დეიდა მამა საშუალო სიმაღლისა იყო, მაგრამ უფრო მაღალი ჩანდა, მოყვანილი და კობტა ტანი ჰქონდა ხანში შესვლის შემდეგაც კი. მუქი ფერის, საღად გადავარცხნილი თმები ნაადრევად გაჭადრაკებოდა. სახის ნატიფი ნაკვთები და სერიოზული, მუქი თაფლისფერი თვალები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

მარია ალექსანდრეს-ასული ნიჭიერი ქალი იყო. თუმცა მხოლოდ შინაური განათლება ჰქონდა მიღებული და უკვე წვრილი შვილების პატრონი იყო, მაინც სხვების შეუმჩნეველად მოემზადა და გამოცდა ჩააბარა, რათა მასწავლებლობის უფლება მიეღო. მან კარგად იცოდა გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები.

თავშეკავებული, ტაქტიანი, მშვიდი და დინჯი ხასიათის დეიდა მამა ბავშვების მიმართ მუდამ ალერსიანი და სამართლიანი იყო. ყველას ძალიან გვიყვარდა ის და ყველაზე უფრო მას ვუჯერებდით.

ბუნებით ძალიან მუსიკალური დეიდა მამა შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე და მღეროდა. ამბობენ, ჯერ კიდევ მამინ, როცა ჩემს მშობლებთან ბენზაში სტუმრად იყო ჩასული, ყველა ალტაცებაში მომყავდა თავისი სიმღერითა და მოსიყვარულე ხასიათით.

როცა კოკუშკინოში ავდრიანი დღეები დადგებოდა, დეიდა მამა როიალთან შეგვკრებდა ბავშვებს და წვიმის მონოტონურ შხაბუნში მხატვრულად გვიყვებოდა ვერტოვსკის ოპერის „სკოლდის საფლავის“ შინაარსს, თან თავის მონაცულს მუსიკითა და სიმღერით შეავსებდა.


ეს სურათი ისე ნათლად მახსოვს, მგონი დეტალურად შევძლებდი მის დახატვას, ხატვა რომ მეხერხებოდეს. ვალოდია და ოლია, ბუნებით ძალიან მუსიკალურნი, ყურადღებით უსმენენ მუსიკასა და სიმღერას. პატარა მიტია, მთლიანად შინაარსით გატაცებული, ანთებულ თაფლისფერ თვალებს არ აცილებს დეიდა მამას; უფროსები, ანია და შურა, ხანდახან წიგნის კითხვას ან ხმადაბალ საუბარს წყვეტენ და ისინიც უსმენენ; ხალხი მოზრდილები, რათა ხელი არ შეგვიშალონ, ცდილობენ წყნარად გაიპარონ ოთახიდან საოჯახო საქმეებზე. ჩვენ ამ ისტორიით მოჯადოებულნი, ხმაგაკმენდილები ვზივართ.

დედაჩემისა და ჩემი უფროსი დის ლუბას გადმოცემით, დეიდა მამა პატარა ვალოდიას აკვანში უმღეროდა თურმე სიმღერას, რომლის სიტყვები ყველას მოსწონდა. მე მახსოვს, რომ შემდეგში კოკუშკინოში ხმამაღლა კითხულობდნენ და მღეროდნენ კიდევ ამ ლექსის ცალკეულ სტრიქონებს.

აი, რამდენიმე ბჭარი ამ ლექსისა:

შენ ამ დიდ წუთისოფელში  
ბედი რას მოგცემს წილად? —  
გათქვამ სახელს თუ არა,  
საქმით გახდები გმირად.

ან იქნებ გახდე ბელადი  
უბედურების ჟამად, —  
დიდი იმედი შეიქნე, —  
შშობლიურ ქვეყნის მამა.



ილია ნიკოლოზის-ძე და დეიდა მამა ძალიან ხშირად დაგვყვებოდნენ ტყეში სოკოებისა და კენკრის საკრეფად.

ან იქნებ ბედმა გარგუნოს  
ნიჭიერება ბრძენის  
და ამცნო შენს ხალხს ნაყოფი,  
ახალი აზრი ქველი.

შენ უანგაროდ, შეგნებით,  
რწმენით, სიმართლით მარად,  
ქეშმარიტების ძალ-ღონით  
თავს დაეცემი მტარვალს.

ამ ლექსის ავტორი, სამწუხაროდ, ვერ გამოვარკვიეთ.

## ს ე ი რ ნ ო ბ ა

ილია ნიკოლოზის-ძე და დეიდა მამა ძალიან ხშირად დაგვყვებოდნენ ტყეში სოკოებისა და კენკრის საკრეფად. ილია ნიკოლოზის-ძე ხუმრობდა: „ქენკრა უნდა მოაგროვო, ბავშვები კი არ დაკარგო.“

ხშირად დავდიოდით კილომეტრნახევარზე თუ ორ კილომეტრზე მდებარე ბუტირის წისქვილამდე, სადაც ფიჭვის ქალა იყო მდინარის ციცაბო ნაპირზე, ან ჩერემიშევოს ფიჭვნარში მივდიოდით, რომელსაც ჩვენ „ქულს“ ვეძახდით და რომელიც შორიდანვე მოჩანდა. მრგვალი ფორმისა, შუაში მაღალი და კიდეებზე დაბალი, ის მართლაც უწარმაწარ ქულსა ჰგავდა, ყვითელ მინდვრებზე დადებულს. დავდიოდით ხოლმე „უკანა“ ტყეშიც, ხრამის გადავლით, რომელიც დეიდა მამას საყვარელი გზა იყო. ის აქ ხშირად საღამოობით სეირნობდა.

# თებერვლის დიღს

ზეივით მივესალმებით,  
მზეს ბინდი აღარ ჩრდილავს.  
ცად მოფრიალე ალმებით  
მოდის თებერვლის დიღა.

მოდის სიცოცხლის ხალისად,  
მოდის, ახარებს ყველას...  
ეს რა ჰანგები გაისმა!  
ეს რა ნათელი ელავს!

მიწა მკერდს იღელს გამთბარი,—  
გადიძრო თოვლის ქურჭი.  
მისია თუ ზამთარი?  
დიღა არის თუ შუქი?

მხრებს ისწორებენ ხეები,  
ხალისს ბოლო არ უჩანს.  
წითელი ყელსახვევებით  
ანთებულია ქუჩა.

დღეა ოქროში ნავლები,  
ყველგან მზეა და თბილა.  
დიად ოქტომბრის ალმებით  
მოდის თებერვლის დიღა...

წინ უძღვის დროშა ნათელი,  
დიდი ოქტომბრის დროშა.  
ხარობს, უმღერის ქართველი  
ახალ, ბედნიერ დრო-ყამს...

მოდის ლალი და მცინარე,  
სურნელს მოაფრქვევს ირგვლივ.  
როგორც ვეება მდინარე,  
რიგებს მიჰყვება რივი.

გზები მორთეს და დადაფნეს,  
მზე ადნობს თოვლის ნამღვეს.  
გააქვთ გუგუნი დაფდაფებს,  
გააქვთ შრიალი ალმებს.

ჰქუხდეს სიმღერა ახალი,  
ფართოდ გააღეთ კარი—  
თებერვლის ზეცა დაგვხარის.  
თებერვლის დიღა არის.

მზის ღიმილს დასაღარები,  
გულს რომ ამღერებს ტკბილად,  
დადგა სიმღერით, ალმებით,  
დიღა, თებერვლის დიღა!

ჰანილ გვეჯაქი

სიერნობის დროს ვკითხულობდით ჩვენს საყვარელ პოეტებს— ნეკრასოვს, პუშკინს, ლერმონტოვს; გუნდად ვმღეროდით აკრძალულ სტუდენტურ სიმღერებს, „სიმღერას ერემუშკაზე“, „სტენკა რაზინის კლდეს“ და სხვებს.

სოფელში გავლისას დეიდა მამა ტკბილად ემუსიფებოდა გზად შემოხვედრილ გლეხის ქალებს. მას ყველგან ჰყავდა ძველი ნაცნობები. ისინი დეიდა მამასა და დედაჩემს მეგობრულად ეძახდნენ მამუნკასა და ანუშკას.

დეიდა მამას ძალიან გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა მათთან და ისე არ ჩამოვიდოდა, რომ მათთვის მოსაკითხი არ ჩამოეტანა.

ილია ნიკოლოზის-ძეც ხშირად ებაახებოდა ხოლმე გლეხებს ქობთან, მიწაყრილზე ჩამომგდარი.

სასიერნოდ წასვლისას ილია ნიკოლოზის-ძეს, დეიდა მამას დაუნიებთ, თან მოჰქონდა პალტო ან პლედი, რომლებსაც ის „ფენებს“ უწოდებდა. იგი ადვილად ცივდებოდა.

დავდიოდით ჩვენ მეზობელ ეგრეთწოდებულ „წინა“ ტყეშიც და თან მიგვექონდა სამოვარი. ამ ფოთლოვან ტყეში პატარა მდელოზე ერთადერთი ფიჭვი და ორი ტყის ვაშლი იდგა. აქ გავშლიდით ბანაკს და კოცონს ავანთებდით. თუ ვაშლებსაც ვნახავდით, კარტოფილთან ერთად დადარში დავფლავდით; თუმცა არც უმი ვარგოდა საჭმელად და არც შემწვარი.

წყალი წყაროდან მოგვექონდა. ამ წყაროზე მხეცურად მოკლეს მტყევე გაცარცვის მიწინით. ახლაც იდგა იქ ორი წვრილი გამხმარი ხე, რომელზედაც უბედური მტყევე მიაკრეს მისმა მკვლელებმა.

მკვლელობის ამბავი ჩვენც გვექონდა გაგონილი და, როცა წყაროზე წასვლა მოგვიხდებოდა, ჩვენზე უფროსებსაც კი, რაღაც უნებლიე შიში იპყრობდა ხოლმე.

მაგრამ ვალოდიასთვის უტხზო იყო უფელგვარი ცრუმორწმუნეობა და გაბედულად გვეუბნებოდა, წყაროზე წავიდეთო.

- განა არ გეშინია?— ეკითხებოდნენ მას.
- ვისი?
- ვისი და მოკლული... მტყევეცის...
- გილი მკვდარი რა საშიშია?

ვალოდიას საყვარელი სიტყვა იმ ხანებში „გილ“ იყო, თან იმის წარმოთქმისას „ლ“ ბგერა განსაკუთრებით უღერდა ხოლმე. თუკი ვინმე, მისი აზრით, სისულელეს, უაზრობას და აბღაუბლას ამბობდა, მაშინ ის მოკლედ და მკვანედ იტყუოდა „გილ“— ამ პატარა სიტყვას, რომელიც მაშინ მის გარდა არავისაგან გამოგონია.

ვალოდია ბავშვობაში „რ“-ს ძალიან მაგრად გამოთქვამდა, თითქო ორი „რ“ გამოუდიოდა. წლების მანძილზე ეს მკვეთრი გამოთქმა თანდათან შეუბრბილდა.

ვერც ილია ნიკოლოზის ძე გამოთქვამდა სავსებით სწორად ამ ბგერას, მაგრამ მას სხვანაირად გამოუდიოდა: მის გამოთქმაში „რ“ თითქმის იკარგებოდა.

მთელი დღე სირბილით დადილობებს, ჩვენ ადრე ადგომა არ გვიყვარდა, მაგრამ გვიანობამდე ყოფნა კი მოგვწონდა. საღამოს, როცა ვალოდიას მომივდებოდა, მეტყუოდა ხოლმე:

— მგელივით მშია. წამო საძოვრად.

ჩვენც სახლის ახლოს „პირველ“ სრამში ჩავდიოდით, სადაც უხვად იზრდებოდა ფოლოს, კინკრის და მოცხარის ბუჩქები, რომელთა შუა გინჭარი ამოყრილიყო. ნაყოფს პირდაპირ ბუჩქებიდან გეახლებოდით და თან პურს ვატანდით.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა შ ე მ დ ე ე ნ ო მ ე რ შ ი)



# ოსკავი და მალხაზი

## პახანს ნაღარიჟილი



აჰა, უკანასკნელი  
ღერძიც სწრაფად გახაზა  
და ოსტატთან ნახაზით  
მიიღბინა მალხაზმა.

მის დახაზულს ოსტატი  
ხინჯავს, ზომავს ცირკულით,  
თან ხათვალეს ისწორებს  
ძაფით რომ აქვს მიკრული.

თან ხათვალეს ისწორებს,  
თანაც მალხაზს შეხედავს,  
ეკითხება: ეს რგოლი,  
იმ რგოლს როგორ ეხება?

ეს რომელი ლილვია,  
აქ რა უნდა ზამბარას,  
ამოდენა ქანქარა  
ზამბარას არ გაზარავს?!

დაფაცურდა შეგირდი,  
ფარულ ღელვას განიცდის.  
მაშ, ბიჭი ნუ ყოფილა  
მაგდენი თუ არ იცის!

ღელვავს, ღელვავს მალხაზი,  
ეჩქარება ძალიან,  
ერთბაშად სურს უამბოს  
რაც აქ შეუხწავლია.

ერთბაშად სურს აჩვენოს,  
საიდან და როგორა,  
ვებერთელა ბორბალი  
როგორ მიგორ-მოგორავს.

ან იქ რისთვის ჩაუსვამთ  
ის პატარა სრახნილი!—  
არ ისვენებს მალხაზი  
ქაღალდებზე დახრილი.


ახსოვს ბებოს ვიშვიში,  
ახსოვს ბებოს გაწყრომა,  
როცა საათს დაშლიდა  
და ველარ ააწყობდა.

როცა ღირიშაბლისთვის  
ჭრელ ქაღალდებს დაჭრიდა,  
როცა ღუზებს აბამდა  
იმ საათის ჯაჭვითა.



რა დრო იყო, ქვიშაზე  
როცა ბორბლებს ხაზავდა?  
ახლა თვითონ დამდგარა  
ახალთახალ დაზგასთან.

დაბრუნებს სახელურს,  
ჩარხავს რკინის ნაწილებს,  
ზოგან თუ სქლად გამოშყავს,  
ზოგან განგებ აწვრილებს.

ხანდახან თუ დაუხტვენს  
კიდევ შეიშმუშნება...  
დღესაც მისმა ბავშვობამ  
შეარცხვინა მუშებთან.



ხუმრობა ხომ არ არის,  
ბიჭი კაცად უცვნიათ?  
მას კი ჩვევა ბავშვური  
ველარ გამოუცვლია?



აი, შენეთ, ხალათზე  
შეუხსნია ქამარი,  
შარვლის ჯიბე გაუხნდა  
თურმე დასაფარავი.

გაებერა შარვალი,—  
ჯიბით რას არ ატარებს!..  
მავთულებს თუ შარშანდელ  
ბებოს მოშლილ გასაღებს.

გასაღები აწვალა,  
(უნდა ითქვას მართალი)  
და სკივრს ჩუმად დაჰკიდა  
მოშლილ-გაუმართავი.

დიდხანს უჩხირკედელა,  
ვერაფერი გააწყო,  
და როდესაც ქილები  
ბებომ სკივრში ჩააწყო—

მინვდა ბიჭის ოინებს,  
აბუტბუტდა, გაცხარდა...  
— ეგ ვის მოუშლიაო,—  
გაიკვირვა მალხაზმა.

მერე, ბებოს უჩუმრად  
სკივრს შეახსნა მძიმედა,  
„ქარხანაში ავაწყობ“—  
თავი დაიიმედა...

და ჰა, წვალობს დილიდან,  
უმჯერს აქეთ-იქეთა,  
მაგრამ ხელსაყრელი დრო  
ვერა და ვერ იხელთა.

ამოიღებს, დამალავს,  
ისევ მალვით დახედავს,  
ნუთუ გასაღებისთვის  
დასაციინი გახდება?

ირგვლივ ყველა მუშაობს,  
გუგუნებენ დაზგები,  
მხარში ამოხდომიან  
ოსტატს ახალგაზრდები.

რა დროს გასაღებია!  
— როგორ არცხვენს ბავშვობა...  
ღურსმნებსა და მავთულებს  
ნუთუ ველარ გაშორდა?

რა დრო იყო, ქვიშაზე  
როცა ბორბლებს ხაზავდა...  
იფიქრა და ამაყად  
ისევ დადგა დაზგასთან.

ნან. ზ. მემარიაშვილისა



მოთარ ჩიჯაჰაჰი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

# ზვიგენის კბილი\*

მატარებელმა რკინის ხიდზე გრიალით გადაიქროლა. ალიმ უნებლიედ გაიხელა ფანჯარაში, კვლავ კუთხეში მიიკუნება და ფიქრებს მიეცა.

დედას როგორ უთხრას?! შემოხვდავს თუ არა, ხომ მაშინვე მიხვდება, რომ რაღაც უბედურება მომხდარი?! ჰუსეინის შესახებ როდესაც დიწყებს ლაპარაკს, ცრემლები უნდა შეიკავოს... ალი შესძლებს ამის გაკეთებას, ის ხომ ახლა ოჯახის თავია... მაგრამ თუ ტურები აუკანკალდა და დედას თვლი ვეღარ გაუსწორა... მაშინ?

მამის სიკვდილის შემდეგ დედა მწუხარებისაგან კინაღამ შეიშალა. ახლა კი, ჰუსეინის ამბავს რომ გაიგებს... რა ჰქნას, როგორ მოიქცეს? ჰუსეინისაგან ფულს რომ ვერ ჩაუტანს, ყველაფერს მიხვდება დედა. წყეული რენარი! რატომ შეეშინდა ალის მისი? განა რენარი ზვიგენზე საშიშია?! ალიმ შარვლიდან გამოპოვილ დანაზე ხელი შეივლო. აი, ძალა რომ ეხმარა... ალბათ, კატორღა არ ასცდებოდა.

არა, რა თქმა უნდა, რენარი, ჟანდარმები და საერთოდ ეს თეთრი ადამიანები, რომლებიც წიხლებითა და ხელისკვრით ამტკიცებენ თავიანთ უპირატესობას, ზვიგენზე უფრო საშიში არიან. ეს თითოეულმა არაბმა იცის.

ალის გაახსენდა, რომ დაავიწყდა მხარზე ეკოცნა, როგორც უფროსებმა იციან ხოლმე, ჰუსეინის ამხანაგებისათვის, რომლებმაც ბილეთის ფული შეუგროვეს და როგორც დიდ მონადირეს შეჰფერის, ყელზე მისივე მოკლული ზვიგენის კბილი ჩამოჰკიდეს. არც ქალებისათვის გადაუსდია ალის მადლობა საგზლით მომარაგებისა-

თვის. თუმცა, რად უნდოდა საჭმელი? უკვე მთელი დღე და ღამე გზაშია და ჯერ პირი არაფერზე დაუკარებია. რაზედაც არ უნდა იფიქროს, მისი აზრი მუდამ უბრუნდება ერთს — ყველაზე მთავარსა და გადაუწყვეტელს: როგორ შეხვდეს დედას? მოულოდნელად რაღაც გადაწყვეტილებამ გაუელვა. თარიღიდან საჭმლით სავსე პატარა პარკი ჩამოიღო და გახსნა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი სადგურს მიუახლოვდა. ალი გამოვიდა დიდ, განათებულ მოედანზე და მიმოიხედა. მთელმა მისმა ცხოვრებამ ამ ქუჩებში და მოედნებზე ლუკმაპურისათვის გროშების ძებნაში გაიარა. მამა ნავსადგურში ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებდა, ჰუსეინიც, თითქმის ყოველთვის, მიწის მიხრელად მუშაობდა, მაგრამ ცხოვრება მაინც ძალიან უჭირდათ. ოჯახს რომ არ ეშოშოლა, ჰუსეინი ღრუბლების მაძიებელი გახდა.

აი, აქ, სადგურის კარებთან, ალი სამსახურს სთავაზობდა ხოლმე მგზავრებს და ჯერზე ორ და სამ მძიმე ჩემოდანს ათრევდა. ცოტა მოშორებით, აი, იმ კედელთან იჯდა პატარა ყუთის წინ და ჯაგრისების რახუნით ჰპირდებოდა გამგულ-გამომგულს ფეხსაცმლის გაპრიალებას. აქვე რამდენჯერ გამოურბენია გაზეთების დასტით და ხმის ჩახრინწყამდე უყვირია მათი სახელწოდებები. დე, ვინ იცის, რამდენჯერ უჩხუბია ერთი ლუკმაპურისათვის მეტოქე ბიჭებთან.

ღამაში, კეთილმოწყობილი ალყირი, ქვის დიდი სახლებით, სკვერებით და მარმარილოთი — მობირკეთებული მალაზიებით, ევროპელებს ეკუთვნოდა. ისინი კი, ვისი სამშობლოც ალყირი იყო — არაბები — ქალაქგარეთ, საცოდავ ქონხანებში იხიზნებოდნენ.

წალის თავის ქონხამდე რამდენიმე კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. ჯერ კიდევ თბილ ასფალტზე მიატყაპუნებოდა ჩინურ ფეხებს და ცდილობდა ყურადღება არ მიექცია არაბებისათვის, რომლებიც ნაგვის ყუთებში იქექებოდნენ. გამხდარი მოხუცები და ბავშვები, მუშუისაგან უფრო გაშავებულნი, მოთუთებულ ყუთებში მხრებამდე ყოფნენ მკლავებს და აბრუნებდნენ ნაგავს ისე, რომ ქვაფენილზე არ გადმოცვენილიყო.

ერთი მალაი, გაძვალტყავებული მოხუცი ხმელი პურის ნატეხის გაკბეჩას ცდილობდა; უკბილო პირში ჩადებულ ნატეხს ორივე ხელით ხან ზევით ეწეოდა, ხან ქვევით, თავს საცოდავად იქნევდა და მაინც ვერაფერს ხდებოდა. მეორე ყუთთან შვიდი-რვა წლის ბიჭუნა ქალაღებით სავსე დიდ ტომარას ეჯავჯურებოდა. ვერ იკიდებდა. ეტყობოდა, სიხარბისაგან ვერ გაეთვალისწინებინა თავისი შესაძლებლობა. ალი მიხვდარა და ტომარამ თითქმის თვითონ, პატარა მრუდ ფეხებზე, ბორძიკ-ბორძიკით გასწია.

«არა, მაინც ზღვა სჯობია!» — გაიფიქრა ყოველივე ამას უკვე გადაჩვეულმა ალიმ.

ერთი საათის შემდეგ ალი უკვე თავის ქონხთან იდგა. მეზობლის ძაღლმა შეჰყეფა, შემდეგ, სუნსულით, ფრთხილად მიუახლოვდა, დაყნოსა: იცნო და მიეაღერსა.

მატარებელში შედგენილი გეგმის მიხედვით, ალის უნდა ენახა თავისიანები და მათ შეუქმნევლად უკანვე გამობრუნებულიყო.

ქონის კარი გამოღებული იყო. მამაკაცები რომ შინ ყოფილიყვნენ, ბავშვებს ეზოში მათთან ეძინებოდათ, ქალებს კი, რაგინდ დიდი სიცხე ყოფილიყო, ამის უფლება არა ჰქონდათ. ალი, ქურდივით, ფხაკრევით შეიპარა ქონში. სიბნელეში ძლივსძლივით გაარჩია მიწაზე მწოლარე მძინარე დედის, ბრაგიმისა და ფატიმას სილუეტები. მათი სახეების დანახვა ვერ შესძლო ახლა კი უნდა წასულიყო, ეშოვა სამუშაო და ვინმესთვის გამოეტანებინა ფული. მერე?.. მერე თვითონაც არ იცოდა რა იქნებოდა. ჩაკუნტული ამაოდ ცდილობდა დაენახა დედის ნაკეთები, მაგრამ ძალიან ბნელოდა; ფატიმას და ბრაგიმს თავზე ხელი გადაუსვა და წამოვდა.

— დედა! — სიხმარში წამოიძახა ბრაგიმმა.

ალი ადგილზე გაშრა, ყელი შეეკუმშა, თვალები ცრემლებით ავესო და სახეზე წელნელა ჩამოეწვეთა...

«დედა, ჩემო დედა!.. რომ შემეძლოს გაგიზიარო ჩენი საერთო მწუხარება, ასე აღარ გამიჭირდებოდა!» და გავარდა ეზოში, რადგან გრძნობდა, რომ ქვითინს ვერ შეიკავებდა.

\* გაგრძელება. იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 1.



ალი ქალაქისაკენ გაეშურა, იმ ქალაქისაკენ, რომელსაც უსათუოდ უნდა გამოეკვება ავადმყოფი დედა, ძმა და და.

გათენებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო, მაგრამ თევზის ბაზარში ვაჭრობა უკვე დაწყებული იქნებოდა. ალი იქითკენ გაეშურა. კიბის ფართე საფეხურებზე ჩასვლისას მოესმა კარგად ნაცნობი ღრინაცელი. დასველებული, ქიცვში ამოგანგლული არაბები დიდი დაწული კალათებით თევზს ეზიდებოდნენ; გათქვირული გამყიდველები თევზს მარჯვდევ ახარისხებდნენ და ხანდახან შეუყვარებდნენ ხოლმე შეგვიანებულ მზიადეებს; ვეებერთელა თევზებს ჩანგლებზე გაჭირვებით ჰკიდებდნენ, მომცროებს დახლზე ალაგებდნენ; წვრილ-წვრილი, ჯერ კიდევ ცოცხალი, მთრთოლვარე თევზები კალათში ცისარტყელის ფერებად ზიმზიმებდნენ. დღუქებთან, რომლებშიც შემწვარი თევზით და ღვინით ვაჭრობდნენ, ცეცხლზე იდგებოდა ზეთუნის ზეთით სავეგებერთელა ქვაბები; იქვე, მსახურები ფიცხლად ასუფთავებდნენ მთელ გროვას წითელი თევზებისა და სარდენებისა, რომლებიც ასე უყვართ თევზის გემოს მცოდნეთ.

— გაეთრიე!.. გაეთრიე! — ეუბნებოდნენ ალის ყველგან, სადაც კი შესთავაზა თავისი სამსახური. ბოლოს ბედმა გაუღიმა: წელში მოხრილი მიიმე კალათქვეშ, რომელიდანაც კისერში წყალი ჩასდიოდა, შეუდგა მუშაობას, ზოგჯერ ზურგზე წამოპკიდებდნენ ხოლმე უზარმაზარ სლიბ თევზს. ალი თავზე გადატარებულ ხელებს დაყუჩებში ავლებდა და მიათრევდა; თევზის ბრტყელი კუდი ქანაობდა და შიშველ კანქვეშ უტყაბუნებდა. ყველაზე მოსახერხებელი მაინც პატარა ცოცხალი რვაფეხების ზიდვა იყო; დაიჭერდა ხოლმე ხუთიოდე ცალს თითო ხელში და მიჰქონდა. ისინი კი იდაყვებზე ეხვეოდნენ და მაგარი, რეზინის მსგავსი საცეცებით ეწებებოდნენ.

უსიამოვნო იყო მათი მოცილება, მაგრამ სამაგუროდ რა გემრიელი ფლავი კეთდება ამ ცხოველებისაგან და რა იაფი ჯდება! რვაფეხას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს—მოსაკლავადაა ძნელი. ერთი საათის განმავლობაში ურტყამ კარგა მოზრდილ კეტს ან და დიდ ქვას, რომელიც მათი ღრეკადი სხეულისაგან ბურთივითა ხტის უკან.

მართალია, ალიმ მხოლოდ გროშები მიიღო, მაგრამ მაინც კმაყოფილი გაეშურა სადგურისკენ. ჭუჭყიანს და თევზის სუნით აყროლებულს არავინ ანდობდა ჩემოდნების ზიდვას. «საჭიროა დაზანვა და ტანისამოსის გარეცხვა.» — გადაწყვიტა ალიმ და ზღვისაკენ გასწია. საჭმელი ერთი—ორი დღის საკმარი კიდევ ჰქონდა, ამიტომ მთელი ფული დედისთვის გადადო.

მშვენიერ, ევროპელთათვის სპეციალურად გადამზადებული პლიაქს იქით იწყებოდა კლდოვანი ნაპირი. იქ უკვე იშვიათად თუ ვინმე ხანაობდა იმის შიშით, რომ ქვებზე არ დაღადრულიყო, ექინებზე არ წამოგებულიყო, ანდა ზღვის რომელიმე ცხოველთან ხივათი არ შემთხვევოდა.

ალი ტრამვაის ჩამოეკიდა და ქალაქის დასავლეთით გაემგზავრა, თავისი უბნის საწინააღმდეგო მხარეს, სადაც მას არავინ იცნობდა. მასასადამე, აქ უნდა დამკვიდრებულიყო. ამოირჩია პატარა კუნძული, უფრო სწორად, წყლიდან გამოწვერილი, ნაპირს ორასიოდ მეტრით დაშორებული კლდე, და ტანგანუდელად, თავზე დამაგრებული საჭმლის პარკით, მისკენ გასცურა!

თავისთავად გარეცხილი ტანისამოსი ალიმ გაწურა, ქვებზე გაფინა და გაემართა კუნძულის დასავალიერებლად. ერთგან, კლდის ძირში, გამხმარი წყალმცენარისა და ფიჩხის მთელი გროვა ეწყო. ორ გამურულ ქვაზე კონსერვის დიდი ქილა იდო და კიბორჩხალის ნარჩენები ეყარა. იქვე დაყრილი ღონძი ამტიკებდნენ, რომ აქ ვიდაცა ცეცხოვრა. მაგრამ ჯერ არავინ ჩანდა. ღამნათვე ალის საშინლად ეძინებოდა, მაგრამ უნდა დალოდებოდა ტანისამოსის გაშრობას, თორემ შეეძლო ვინმეს მისთვის შიშველ ტანზე დანა შეესხა, აგრეთვე, მოეპარა, მართალია დაკონკილი, მაგრამ მისთვის მაინც ტანსაცმელი. ალიმ შემოუარა კუნძულს და დაუბრუნდა გაფენილ ტანისამოსს, რომელსაც ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა. წამოწვა და დაუწყო ნაპირს თვალყურის დევნება. სულ ახლოს გაიქროლა გლისერმა, რომელსაც მართადა საბანაო კოსტუმში გამოწყობილი ოქროს-თმიანი ქალიშვილი. გლისერმა კუნძულს შემოუარა და ქალაქის მიმართულებით მიიმალა, რამდენიმე ხნის შემდეგ გლისერი კვლავ გამოჩნდა. ახლა კი იგი ზღვის თხილამურებზე შემდგარ ახალგაზრდა ყმაწვილს მოასრიალებდა. ალიმ ჩაიკვა ჯერ კიდევ ნესტიანი შარვალი, თავვეშე ამოიღო პერანგში ვახვეული საგზალი და ჩაეძინა. სიზმარში ნახა, თითქოს თავის სახლს უახლოვდებოდა ავტომანქანით, რომელიც რატომღაც ხან გლისერსა და ხან ზვიგენს ჰგავდა. შემოგებულ დედას აწვდიდა ვეებერთელა თეთრ ბურებს, მაგრამ ქანდარმის ფორმაში გამოწყობილი რენარი, რომელიც საიდანღაც გაჩნდა, არ უშვებდა, თავში რეზინის ჯოხს ურტყამდა და ბოლოს ცხვირშიც კი უთავაზა.

ალიმ თვალი გაახილა. ხმელი ჩხირის ბოლო ცხვირში უღიტინებდა. ფრთხილად წამოჯდა და თვალს არ აშორებდა მის ბირდაპირ მჯდომ ორ ბიჭს. შეუმჩნევლად,

იდაყვით შეეხო დანას. დანა თავის ადგილზე იყო.

— შენ აქ რას აკეთებ?—მიმართა თავდელიდა და ჩოფურა ბიჭმა.

ალიმ პასუხის ღირსიც არ გახადა იგი.

— ეი, გაგრიავ, შენ გუუბნებინა!—დაუყვია მხრებეწრო, სივამხდრისაგან მონუცივით სახედამაწულმა ბიჭმა.

— რა თქვენი საქმეა!—უნდილად დაამთქნარა ალიმ და დაბლა ქვაზე დაბმული პატარა ნავი შენიშნა.

თავიდა და მხრებეწრო მუქარით წამოღვნენ. ალიმ კი კვლავ წამოწოლა დააპირა, ვითომ ყურადღებას არ აქცევდა.

— მოშორდი აქედან! — მამლაცინწასავით დაბობებული ხმით წამოიყვია მხრებეწრომ. მაგრამ ის საშიში არ იყო. ალი თავიდას ადევნებდა თვალყურს და არც ამოდ. გასარტყელად გამოქნულ ფეხს ალიმ ხელი სტაცა, წამოხტა და თავისკენ გამოსწია. წაქცეული თავიდა წამოღვრამას ლამობდა, მაგრამ ალი უკვე ზედ აჯდა და მუხლებით მკლავებზე აწვებოდა. მხრებეწრო ფაციფუცით ქვას ეძებდა და, როდესაც იპოვა, ალისკენ გაეშურა. ალი წამოხტა და უკან დაიხია.

— გადაადე, გუუბნები! — მუქარით შეუტია ალიმ.

— მე შენ დაგაყრი კაი დღეს! — თავს ესხმოდა მხრებეწრო.

თავიდა იდგა და ეტყობოდა, რომ დასახმარებლად მისვლას საჭიროდ არ თვლიდა.

— მე შენ ამ ქვით...—მხრებეწრო წაბორძიკდა, ალიმ უმაღ ხელი შეუტრიალა და ქვა გააცდებინა. ახლა ალიმ იგრძნო, რომ რაღაც უნდა ელონა, რადგან თავიდაც შეტევაზე გადმოიღოდა.

— მოიცადეთ! — ასწია ხელი ალიმ — მოდი, შევირგდეთ. რა გვაქვს გასაყოფი... თუ ძალიან გინდათ, მე წავალ.

— მოშორდი აქედან!.. დაფრთხი?—დასცინა მხრებეწრომ. თავიდა ბირქუშად სდუმდა.

— მე არავისი არ შემშინებია! — ალიმ ამოიღო ქარქაშიდან თავისი დანა. — აი, ხედავთ, მე შეემძლო ორივე წიწილებივით დამეკალით.

დანის დანახვამ და ალის უკანასკნელმა სიტყვებმა შემარწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეთი დანა შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ «ნამდვილს!» «ნამდვილის» გაგებაში კი ყველა თავისებურად ბევრ რამეს გულისხმობდა. ისინი სამკუთხედად იდგნენ და სდუმდნენ. ალი მიხვდა, რომ საჭირო იყო შთაბეჭდილების განმტკიცება.

— მე საჭელი მაქვს!—თქვა ალიმ და პარკი ხელში აიღო. მხრებეწროს გაბრწყინებულ თვალებზე შეატყო, რომ მიზანში მოახვედრა.



ალი ჩამოვდა და თანაბრად გაანაწილა პარკიდან ამოღებული საჭმელი. თავდიდამ თავისი წილის ნახევარი უბეში გადაინახა: ეს ჩემ პაპასო!—აუხსნა ალის, როცა შენიშნა მისი შემოხედვა. მხრებზე წირო ხარბად იტენიდა პირში ვეებერთელა ლუკმებს, სხვებზე აღრე დაამთავრა და ცდილობდა თვალი აერიღებინა დანარჩენებისათვის, რომლებიც განაგრძობდნენ ჭამას.

— აპა!—შესთავაზა ალიმ თავისი წილი. — გამომართვი, მე ისე ძალიან არა მშიანი.

მხრებზე წირომ დარცხვინილი ღიმილით გაუწოდა გაძვალტყავებული ხელი და გამოართვა. მის თვალებში სიავის კვალიც კი გაჰქრა. შემდეგ გაეცვენნ ერთმანეთს. დიდთავის მუკვი ერთკვა. დიდისხანა დაობლებულიყო და მოხუცი პაპა ზრდიდა. უკანასკნელ ხანებში პაპა სულ ავადმყოფობდა და მის ნავს მუკვი ხმარობდა. ბარეკს—მხრებზე წიროს—არავინ ჰყავდა. რაც თავი ახსოვდა სულ მარტო იყო და მათხოვრობდა. ყოველთვის მშვიერი და ყველას მიმართ საშინლად გაავებული იყო. კეთილმა მუკვიმ შეიცოდა იგი და თანაშემწედ აიყვანა: ზღვის პირას კლდეებში იჭერდნენ კიბორჩხალებს და, როდესაც სეზონი იყო, ზღარბებსა და მედიებს\* ექებდნენ.

ბარეკს, ზღვაზე შრომას შეუჩვეველს, გული ქალაქისაკენ მიუწევდა. ხანდახან დაიკარგებოდა ხოლმე ორი-სამი დღით, მაგრამ ყოველთვის უბრუნდებოდა მუკვის, რომელსაც ძალიან შეეჩვია.

— შენ რაღას აპირებ? — ჰკითხა მუკვიმ, როდესაც ალიმ თავის შესახებ უამბო.

— ფულის შოვნას!—უპასუხა ალიმ. — დედა მყავს ავად.

— როგორ იშოვნი ფულს?

ამაზედ პასუხის გაცემა გაუჭირდა, მაგრამ არც შექმნილი ავტორიტეტის დაკარგვა შეიძლებოდა.

— წამომყვებით და ნახავთ! — დარწმუნებით უპასუხა ალიმ.

\* მედია — ზღვის ლოკოკინა.

— თუ გინდა, იმუშავე ჩვენთან ერთად!—გულწრფელად შესთავაზა მუკვიმ.

— ვნახოთ!—ალი შეეცადა არ ეგრძობინებინა, რომ გაეხარდა.

იმ დღეს დაჭერილი კიბორჩხალებით მთელი ვედრო აავსეს. ნავით ერთი კლდიდან მეორისაკენ მიცურავდნენ და ნადირობდნენ. ალი და მუკვი ერთმანეთს სიმარდვეში ეჯიბრებოდნენ. ზღვისპირა კლდეებიდან თავდაყირა ეკიდებოდნენ და ნაპრალებში ხელების ფათურით კიბორჩხალებს ექებდნენ. ხანდახან კიდევ ყვინთავდნენ ხოლმე. ბარეკი, რაც კი შეეძლო, თავს არ იზოგავდა, მაგრამ ამხანაგებთან სიმარჯვეში ვერ მოვიდოდა.

ერთ პატარა კუნძულთან ბარეკმა რვაფხას საცეცი შენიშნა და შეშინებული ამოძვრა წყლიდან. მუკვიმ წვრილ მავთულზე მობმული ჩვარი ჩაუშვა და რვაფხას გაღიზინება დაუწყო. შემდეგ, როდესაც იგრძნო, რომ რვაფხა მჩვარს მოეკიდა, დაიწყო ზევით ამოწევა. მაგრამ კლდეზე რამდენიმე საცეცით ჩაქიდებული რვაფხა არ ემორჩილებოდა. ეტყობოდა, არც ისე პატარა უნდა ყოფილიყო. მუკვიმ მთელი ძალიანობით ამოსწია, მავთული გაწყდა და ფსკერისაკენ დაეშვა.

— გინდა ამოვიღო? — შეეკითხა ალი.

— არა ღირს, პაპას მავთული კიდევ აქვს!—უპასუხა მუკვიმ.

— მე რვაფხაზე გეუბნები! — დინჯად აუხსნა ალიმ. მუკვიმ უნდობლად შემოხედა. ბარეკი ჯერ ირონიულად იღიმებოდა, შემდეგ კი დამცინავად ახარხარდა.

— დიდი არ არის, — დაუწყო განმარტება განაწყენებულმა ალიმ. — დრუბლების მაძიებლებს ზვიგენისაც კი არ ეშინიანთ. — და ყელზე ჩამოკიდებულ ზვიგენის კბილზე მიუთითა.

— შენ სულელები მოატყუე! — გადააფურთხა ცალი თვალის მოხუკვით ბარეკმა.

— არა, ნუ ამოვლებთ, დიდა, არ იშვება და არც არავინ იყიდის! — თქვა მუკვიმ, რადგან უნდოდა ალი უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა. მაგრამ ალიმ იცოდა რასაც ლაპარაკობდა.

— რვაფხას ორი თვალქადა დაწინიყვი შივით ნისკარტი აქვს, დაბლა დაწინიყვი რომელშიც მღვრიე სითხეა. პარკში უნდა ხელი შეეყო და გადმოაბრუნო. მაშინ დარტყანიებული რვაფხა ხსნის საცეცებს. აი, შეხედეთ!—ალი ქვევს ფრთხილად ჩაყვდა და აუჩქარებლად ჩაყვინთა. ზევიდან გარკვევით ჩანდა ალი წყალში როგორ ეშვებოდა, როგორ შეეყო ხელი ნაპრალებში და უკვე ამღვრეულ წყალში დაიწყო ზევით ამოსვლა. მარცხენა ხელში ეჭრა თევზის ოდენა, მაგრამ საკმაოდ გრძელსაცეცებიანი რვაფხა. მუკვი კლდეზე ამობობლებაში მიეხმარა ალის. ბარეკის ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. უგლიდა ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან და ისე შესცქეროდა, თითქოს პირველად ხედავდა. მუკვის ბედნიერად ეღიმებოდა და მარჯვე ამხანაგის შეძენა ახარებდა.

მზის ჩასვლისთვის ისინი უკვე, კიბორჩხალებით საცეცე ვედროთი, შიშველ ფეხებს ასფალტზე მიატყაპუნებდნენ. რვაფხა კი მოკლეს და გადააგდეს. მუშტარს ყველაზე კარგად ბარეკი ევაჭრებოდა. იგი ხან ილანძლებოდა აღმფოთებით, ხან, ცრემლმორეული, ვიწრო მკერდში მუშტს იცემდა და ევედრებოდა ფასის მომატებას.

ნავაჭრი ფულით ბიჭებმა იყიდეს ორი კილოგრამი პური და ნახევარი კილოგრამი ბრინჯი მუკვის პაპასთვის, რომელსაც უკან დაბრუნებისას შეუარეს.

დიდი, ძვალმსხვილი მოხუცი ქოხის მიწაყრილზე იჯდა და თიხის ჩიზუსს აბოლებდა. ბიჭებმა დაუტოვეს ბრინჯი, ცოტაოდენი პური, და წავიდნენ თავათ კუნძულზე ღამის გასათევად.

პურის ნაწილი დილისთვის შეინახეს, დაწვენენ და სამივეს მაგრად ჩაეძინათ.

მეორე დილას, გადანახული პურის ნახევარიც ვერ იპოვეს. მუკვიმ მიტყიბა ბარეკი, თუმცა იგი იფიცებოდა, ხელი არ მიხლიაო. მერე კიბორჩხალების დაჭერას შეუდგნენ.

სამი დღის შემდეგ ალიმ განაცხადა სხვა სამუშაო უნდა მოეძებნოთ. სადღაც



წაქცეული თავიდა წამოდგომას ლამობდა...

შორს გრივადი უნდა ყოფილიყო, რადგან იქიდან მომავალი დიდი ტალღები აძენ-  
ლებდნენ კიბორჩხალების დაჭერას. მუკვი  
ტალღამ ქვეზე ისროლა და შუბლი გაუ-  
ხეთქა, ბარეკი კი კინალამ დაიღრჩო. იგი  
ტალღამ დაფარა და, ნაცვლად იმისა, რომ  
კლდეს მოსჭიდებოდა, ხელი გაუშვა და  
წყალმა გაიტაცა. ალი და მუკვი წყალში  
გადაშენენ და გაჭირვებით გამოათრიეს.  
მაგრამ, ესეც რომ არ მომხდარიყო, სულ-  
ერთია, კიბორჩხალების ჭერით ვერაფერს  
გახდებოდნენ; ალისა და მუკვის კი მხრებ-  
ზე დიდი ვალდებულება აწვით — ოჯახი  
უნდა გამოეკვებათ.



ამის შემდეგ მთელი კვირა კიბორჩხალებს იჭერდნენ.

თევზის ბაზარში იმ დილით ვერც ერთი  
ვერ მოეწყო, სადგურზე ყოველ ჩემოდნიან  
ადამიანს ოცამდე კაცი მოაწყდებოდა ხოლ-  
მე, და ისიც ყველა უფროსი; აბა, იმათ  
როგორ გაუწევდნენ მეტოქეობას!

ბიჭებმა ნავსადგურში წასვლა გადა-  
წყვიტეს სამოვარზე, თუმცა სამუშაო იქაც  
მცირე იყო, რადგან რამდენიმე ფაბრიკა  
დაიხურა და სამუშაოს ბევრი ექებდა.

დღის დარჩენილი ნაწილი ბიჭებმა ნავ-  
სადგურში გაატარეს და დამშუღნი პაპას-  
თან წავიდნენ დასაძინებლად. გზაზე ბა-  
რეკი ჩამორჩა და საცმოდ გვიან დაბრუნ-  
და კარტოფილით გამოტენილი ჯიბეებით.

— კარტოფილის ტომრების გადმო-  
ტვირთვაში ვეხმარებოდი ბოსტნეულის  
დუქანში, — ახსნა ბარეკმა.

პაპამ კარტოფილი მოხარშა და ყველამ  
გემრიელად ჭამა.

მეორე დღეს, საღამოჟამს, კვლავ ხელ-  
ცარიელები რომ ბრუნდებოდნენ, ბარეკი  
ისევ დაეკარგათ. ამ ჯერზე ბარეკი შინ  
საკმაოდ მალე დაბრუნდა, მაგრამ იმდენად  
ნაცემი, რომ საცოდავი შესახედა იყო. ამის-  
დამიუხედავად მაინც კარგ ხასიათზე იყო.  
ახლა კი ბარეკი კარტოფილს უბიდან ალა-  
გებდა.

— როდესაც დამიჭირა და ცემა დამი-  
წყო, მე ყასიდად დაგვიცა კარტოფილით  
სავსე ტომარაზე. ის მცემდა, მე კი ვყვი-  
როდი, ცალი ხელი თავზე მქონდა მიფარე-  
ბული, მეორით კი კარტოფილს უბეში  
ვიწყობდი.

ამ საღამოსაც მოხარშა პაპამ კარტო-  
ფილი, მაგრამ თვითონ ჭამაზე უარი თქვა  
— უქეიფობა მოიმიზეზა. მუკვიმ უსაყუ-  
დურა ბარეკს, მოხუცის თანდასწრებით  
რატომ მოყვით, შემდეგ კი მის გასიებულ  
ყურსა და ჩალურჯებულ თვალს გულკე-  
თილად დაუწყო დაცინვა. ბარეკს ეს სრუ-  
ლებით არა სწყენია, პირიქით თავს ბედ-  
ნიერად გრძნობდა. ეს ხომ პირველად  
მოხდა მთელი მისი მოკლე ცხოვრების მან-  
ძილზე, — ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებში

სიბრალული და თანაგრძნობა გამოეწვია,  
— მათთვის სასარგებლო გამოდგა!

ამის შემდეგ მთელი კვირა კიბორჩხა-  
ლებს იჭერდნენ. მაგრამ ადრინდელის ნა-  
ხევარსაც ვერ აგროვებდნენ. ბევრმა უმუ-  
შევარმა დაიწყო კიბორჩხალების ჭკრა და  
ფასი დაეცა. მათი შემოსავალი ერთსაც არ  
ეყოფოდა, ისინი კი ოთხნი იყვნენ.

— ხვალ ჩვენ ქათმის წვეს გეაზღუ-  
ბით! — განაცხადა ერთ საღამოს ბარეკმა  
და უამბო ამხანაგებს, რომ აეროდროშზე,  
ოფიცერთა სამზარეულოს გვერდით. დიდი  
რაოდენობით ყრიან ხოლმე ქათმის თავ-  
ფებს. ოღონდ საჭიროა იქ გათენებამდე  
მისვლა.

მოხუცი პაპა ძალიან ბუზღუნებდა,  
სწყველიდა თეთრ ხალხს, რომლებიც არა-  
ბებს თავისსავე ქვეყანაში უტოვებენ მხო-  
ლოდ თავ-ფებს, მაგრამ ბავშვებს ადრე  
გადგ-ძებას მაინც დაპირდა.

ალის ძალიან მიუწვედა გული თავისია-  
ნებისაკენ, როდესაც სახლს გვერდით გაუ-  
არა, მაგრამ იცოდა, რომ მაინც ვერავის  
დაინახავდა და თავი შეიკავა. აეროდრო-  
შამდე კიდევ რამდენიმე კილომეტრი იყო.


როდესაც ისინი მიუახლოვდნენ ფან-  
ჯრეზგანათებულ სამზარეულოს შენობას,  
შეამჩნიეს მოლოდინში მყოფი ხალხის სი-  
ლუეტები. თეთრად შეღებულ კედლის ფონ-  
ზე ალიმ გაარკვია ბავშვიანი კაცი, ყვარ-  
ჯნიანი ახალგაზრდა, პატარა, კუზიანი  
მოხუცი და ჩადრიანი დედაკაცი. ბავშვიანი  
კაცი რამდენჯერმე ხველებით მიუახლოვდა  
ფანჯარას და შიგ შეიხედა. ფანჯრის შუქ-  
ზე განათდა მისი წვეტიანი ნიკაბი და  
ჩავარდნილი დაწვები. ალიმ იცნო თავიანი-  
თი მეზობელი კალატოზი — დიდი ოჯახის  
მარჩენალი. ეს კალატოზი ხარაჩოებიდან  
გადმოვარდა და დიდხანს იწვა საავადმ-  
ყოფოში. ამის შემდეგ მუშაობა აღარ შეეძ-  
ლო; ამბობდნენ, დაჭლეჭდაო.

სამზარეულოდან ისმოდა მხიარული

ლაპარაკი, სიცილი, მძიმე ქვაბების ჯახუნი  
და ვედროების ზრიალი.

უკვე თენდებოდა, როდესაც ხმაურით  
გაიღო სამზარეულოს კარები და დაიწყეს  
ნარჩენების გამოზიდვა. მშ-ერი ძაღლები  
ხროვასავით გამოეკიდა ყველა თეთრწინ-  
საფრიან საღდათებს. ყველაზე წინ კალა-  
ტოზი მიბრბოდა თავისი ბავშვით. ახალგა-  
ზრდა კი, ხან ცალი ფეხისა და ხან ყვარჯ-  
ნის შორს გადაბიჯებით, ცდილობდა მათ  
დაწვეას ბიჭები ყველაზე ბოლოს გაიქცე-  
ნენ, გაასწრეს ჩადრიან ქალს, წააქციეს  
კუზიანი მოხუცი და კალატოზსა და ცალ-  
ფეხასთან ერთად. ჯავჯურით დაიწყეს ქათ-  
მის თავ-ფების ამორჩევა. ამ საქმეში გან-  
საკუთრებით მარჯვე და მარდი ბარეკი  
სხვებს ზედ ცხვირისწინ აცლიდა ნადავლს.  
გაცოფებამდე მისული კალატოზი ღმუი-  
ლით მივიარდა ბარეკს, რომელიც გადახტა  
და კიდევ გაეჭყეოდა, რომ არ წამოხი-  
ლიყო ცალფეხას განირულ ყვარჯუნზე.  
კალატოზი და ცალფეხა მისცივდნენ ბა-  
რეკს და ისე დაუწყეს ცემა, თითქოს მთე-  
ლი ჯავრი მასზე უნდა ეყარათ. ალი და  
მუკვი გაეშურნენ მეგობრის დასაცავად.  
მუკვი შეება ცალფეხას და ერთმანეთზე  
ჩაჭიდებულნი დაგორდნენ. ალი კი მარტო  
დარჩა, გამხეცრულ, თუმცა ავადმყოფ,  
მაგრამ მაინც ტანითა და ღონით ორი  
იმოდენა კაცთან. საჭირო იყო მიწაზე გა-  
შხლართული ბარეკის გადარჩენა.

ალი ეცა კალატოზს, მაგრამ დარტყმამ  
ტუჩი გაუხეთქა და ცხვირი მიუჭყლიტა.  
კალატოზს უნდოდა კიდევ დაერტყა, მაგ-  
რამ ალი გადახტა და, გამოქანებული,  
თავით ეძგერა მუცელში. კალატოზი მოი-  
კუნტა და კენესა დაიწყო. ალის მოავონ-  
და, რომ ის კაცი ავადმყოფი იყო და ხე-  
ლები ჩამოუფარდა. ამით ისარგებლა კალა-  
ტოზმა, ცალი ხელით ილღიაში ამოიჩარა  
ალის თავი, მეორით სახეში უწყალოდ  
დაუწყო ცემა; თითოეულ დარტყმას ღმუ-



საჭირო იყო მიწაზე გაშხლართული ბარეკის გადარჩენა.

და და ბალღივით მკერდში შეჭრის დროს კაცს.

— ეს დედაჩემია!—მიუტრიალა მეგობრებს თავისი გასიებული სახე ალიმ. —მოვლით აქ!

კალატოზი უკვე ფეხზე იდგა, ცალი ხელი თავზე შემოედო. მისი პატარა შვილი კი ცდილობდა მამისათვის რაღაც აეხსნა და თითოთ გზისაკენ უჩვენებდა.

— კუზიანმა მოხუცმა ყველა გაგვეჭურდა, ხა, ხა, ხა, ხა!—მაგარი ხველის შეტევამ შეაჩერა კალატოზი. მძიმედ ჩამოჯდა ცალფეხას გვერდით და კვლავ დაიწყო სიცილი.

— ხა, ხა, ხა... ყველა გაგვეჭინდა, ხანამ ჩვენ ძაღლებივით ძვლისთვის ვიბრძოდით!.. წყეულიმც იყოს!.. ხა, ხა, ხა... ჩვენ ვჩხუბობდით, ის კი... ხა, ხა, ხა!..

— წავიდეთ, დედა!.. წავიდეთ, მუკუფო, ბარეკ!

ყავარჯენი გადაადგეს და წავიდნენ დაჩქევილები და... ხელცარიელნი.

ალი ზედნიერი იყო. ახლა მას შეეძლო ტირილი, როცა დედა შეეკითხებოდა პუსეინის შესახებ და ვერ გაუგებდა, რომ არა ძმისთვის ტიროდა, არამედ იმიტომ, რომ ნაცემი იყო. როდესაც დედამ გაიგო პუსეინის მებზღაურად წასვლა, გაენარდა. ალიმ შინ მიუსვლელიობის მიზეზად უთხრა, მატარებელში მომპარეს პუსეინის გამოტანებული ფული; დედას მხოლოდ მწარედ გაელიმა.

— მთავარია, რომ თქვენ მყავდეთ, შვილებო, ცოცხლები!—თქვა დედამ. ახლა კი ალის თვალწინ წარმოუდგა ზღვის ნაპირას პატარა სასაფლაო და ტირილი დაიწყო.

— ნუ გეშინია, შვილო, მოგიჩივება!—აწყნარებდა დედა. —წყეული! მხეცი! —დაიწყო კალატოზის გინება.—იცი, ახლახან ცოლი მოუკვდა და ზავშვებთან მართო ეგლა დარჩა.

ფატმა და ბრავიმი ეცნენ, მოეხვივნენ ალის და შემდეგ, გვერდით გამდგარნი, გაოცებული თვალებით აშტერდებოდნენ მუკვისა და ბარეკს. ბარეკი ათასნაირად იღმეჭდა სახეს და დიდხანს იწვალა, ვიდრე ყველას გააცინებდა. დედამ ფქვილისაგან ფ-ფა გააკეთა და ყველამ ჭამა.

ამ დღიდან ობოლსა და უსახლკარო ბარეკს მეორე სახლიც გაუჩნდა.

ილს აყოლებდა. ალი ცდილობდა გასხლტომოდა, რადგან გრძნობდა, ცოტაც და სულს გააფრთხობდა. ცალი თვალთ უკვე ვეღარ ხედავდა. ჩადრიანმა ქალმა შეიცოდა, მივარდა დასაცავად, ხელნაკრავი კვლავ მოზრუნდა და გააფრთხილები მკლავში ეჭკურა კალატოზს.

— ხელი გაუშვი, ბავშვი არ შემოგაკვდეს! — შეჰყვირა დედაკაცმა. — შენც ხომ შვილების პატრონი ხარ!

— მოვკლავ, მოვკლავ!—ღმუოდა კალატოზი.—მაგათ ხელიდან გამომტაცეს მთელი საჭმელი!—უფრო მეტი სიბრაზით ჰკრა ხელი დედაკაცს და კვლავ ასწია მუშტი საბრალო ალის თავში ჩასარტყმელად. ალიმ თვალეზი დახუჭა, მაგრამ მისდა მოულოდნელად მუშტი არ მოხვედრია, კისერში ჩაჭერილი ხელი მოეშვა და მოწინააღმდეგე წელნულა დაეშვა მიწაზე.

— გეყოფა, მეტს ნულარ დაარტყამ! — დაუყვირა დედაკაცმა ყავარჯენადმართულ

ბარეკს, რომელმაც ის იყო თავში სთხლიშა კალატოზს,—არ მოკლა!


— მაგას უნდოდა მე და ის მოვეკალით!—ბარეკმა ალიზე მიუთითა.

ბავშვის პატარა სხეულმა ლანდივით გაიარა მოჩხუბართა შორის და ჩუმად ჩაკუნტდა მამის გვერდით. უკვე საკმაოდ გათენებულყო. მიწაზე მჯდომი ცალფეხა საცოდავად ევედრებოდა ბარეკს ყავარჯენის დაბრუნებას. კუზიანი მოხუცი კი რატომღაც შორს გარბოდა.

— შეგდეეთ, რას დაამსგავსა! ღვიძლი დედაც კი ვეღარ იცნობს!—უთხრა ბარეკმა დედაკაცს და ალიზე მიუთითა, თან ყოველშემთხვევისათვის, ხელიდან არ უშვებდა ყავარჯენს.

დედაკაცი ალის მიუახლოვდა, მაგრამ ალიმ ბირი იბრუნა და არ უნდოდა ეჩვენებინა თავისი სახე. გვერდით მდგომი ბარეკი და მუკუფო გაოცდნენ, როდესაც დედაკაცმა ერთბაშად ხელი მოხვია ალის, ის კი, ყოველთვის ასეთი ვაკეკაცი, უცებ ატირ-

(ბ ა ბ რ ძ მ ე ლ ბ ა შ ი მ მ დ მ ბ ნ ო მ ი რ შ ი)





იმის შემდეგ ბევრმა წელმა  
გაიბინა წუნარად,  
რაც მოუხდათ დიდი დავა  
ერთხელ კის და არას.  
— კი, კი, კი, კი! — კიმ თქვა ასე —  
ხალხს ვახარებთ ამით,  
მე გიჩვენებთ პირდაპირ გზას  
მუდამ, დლით და ღამით.  
არ მჩვევია მე უარით  
გავისტუმრო ვინმე,  
მე ყველას კის ვეუბნები,  
ვაძლევ ნამდვილ იმედს.  
რამეს იტყვი — გეთანხმებით,  
შეგამკობთ და გაქვებთ.  
არ შეგიშლით, თქვენი საქმე  
როგორც გინდათ მართეთ.  
აქ წამოხტა ფეხზე არა,  
კის მოუჭრა სიტყვა:  
— შენზე მეტად ხალხს ვუყვარვარ,  
არაერთხელ მითქვამს.

მამაცურად ვებრძვი მუდამ  
ბოროტებას, მტრობას,  
შემცდარი გზით ვინაც ივლის,  
ჩემგან დაიგმობა.  
თავისდროზე გეტყვი არას,  
გზას ასცდები ვიდრე,  
ეს კი ნიშნავს: — სდექ, მაგ საქმეს  
ჩაუფიქრდი კიდევ!  
მათ დავას რა მოჰყვებოდა,  
არა, მე არ ვიცი,  
საუბარში ჩაერია,  
ვიცი, ერთი ბიჭი.  
მას სურთკა ერქვა, მახსოვს,  
ულმოდა სახე.  
კის მიუგო: — კარგია, რომ  
გულისნადებს ამხელ,  
მაგრამ, მითხარ, ყველაფერზე  
ნუთუ თანახმა ხარ?  
ყველაფერზე კის იძახი,  
კარგია თუ გლახა.

ვთქვით, რომ მტერი თავს დაგვესხამა  
კის იტყვოდი მაშინ?  
ან, შეცდომა რომ დავუშვათ,  
შეგვხვდებოდი ტაშით?  
აქ უცებ კიმ უბასუხა:  
— არა! არა! არა!  
ბიჭმა კითხვა მისცა არას,  
ალარ დაახანა:  
— სულ რომ არას გაიძახი,  
თქვი, ასეთი რა ხარ?  
ყველაფერზე უარს ამბობ,  
კარგია თუ გლახა.  
თქვი, ძმობილო, ვინც ქვეყნისთვის  
არა ზოგავს ძალას,  
მასზეც ტყვი: მისი შრომა  
არას გვარგებს, არა?!  
ვინაც ნიჭს და თავის ცოდნას  
ხალხს მოახმარს მარად,  
მასზეც იტყვი, ასეთები  
არ გვინდაო არა?!  
უცებ არამ დაიყვირა,  
მოტრიალდა გზიდან:  
— კი, კი, ძმოო, როგორ არა,  
ასეთები გვინდა!  
ამის შემდეგ ორი სიტყვა,  
ორი — კი და არა,  
გარეთ, შიგნით, ჭირშიც, ლხინშიც  
მეგობრობენ მარად.

თარგმანი ვახტანგ გორგაძელისა

### ნეტავ, ისიც ხალისობდეს

ამხანაგმა მითაგაზა  
ძმურად წიგნი ახალი;  
ერთ ფურცელზე შიგ ხატია  
ზღვა და სახლი მალალი.

სახლის ახლოს დგას გამხდარი,  
ფეხშიშველა ყმაწვილი;  
იმ საბრალოს სამათხოვროდ  
წინ ხელი აქვს გაწვდილი.

ვთქვი: ვინ არის?!  
რად არ ხარობს  
ისიც ქვეყნის სიკეთით!  
არ მინახავს არსად ბავშვი  
დაღვრემილი ისეთი.

— სად ნახავდი! — მითხრა წიგნმა, —  
ის თურქეთის შვილია.

მის მიწურთან ხე არ ხარობს,  
ალარც ღობის ჩრდილია.

მამა გემის მტვირთავია,  
უფროსი ძმა — მქედელი;  
შრომა ქანცავს დედამისსაც, —  
შრომა განუწყვეტელი...  
ენატრებათ მაინც პური,  
ბინის მშრალი კედელი.

შემებრალა ის ბიჭუნა,  
ის გამხდარი ყმაწვილი,  
მის თურქეთში რომ აქვს ხელი  
სამათხოვროდ გაწვდილი.

ნეტავ, ისიც ხალისობდეს,  
წერილს ვწერდე ძამიკოს,  
პურიც ჰქონდეს, წიგნიც ჰქონდეს,  
ფეხშიშველა არ იყოს.

გიორგი კაჭახიძე



ოვია იოსელიანი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

## პატარა პიონერი

არაჩვეულებრივი დღეა. პიონერული ყელსახვევით პირველად ებრუნდები სკოლიდან. მიგაბიჯებ დინჯად, აუჩქარებლად, — ერთხელაც არ შეემტარე არასკინილა, არხუდაც არ გადაემტარე, ბოგირით შემოვიარე და ისე განვაგრძე გზა. კენჭი რაა, ისიც არ მისვრია თევზებისათვის, რომლებიც დღეს ერთი ორად მეტი მეჩვენა. გზადაგზა ხშირად ვისწორებ გულზე დაფენილ ყელსახვევის ორ ბოლოს და ვშლი, ვფართოვებ, რომ ადვილად შესამჩნევი გახდეს ხალხისათვის.

ეზობიდან შეყოყნებულ ძალღუბს ყურადღებას არ ვაქცევ. ცნობისმოყვარეობით შემოჩერებულ პატარა ბავშვებს ზედაც არ ვუყურებ, ჩანთა ერთხელაც არ შემითამაშებია ჰაერში და მელნის ერთი წვეთიც არ დამიღვრია სამელნიდან. მგონია, თითქოს გავიზარდე. დღეიდან ვერაგინ გამიბეჭდავს ჩემს სახელს რამე დაამატოს თუ არა „დიდი“, ან „ყოჩაღი.“

გზედავ, ვილაციები მოდიან. მგონი პირველკლასელები, მარია და ნუნუკა უნდა იყვნენ. ჰო, ისინია. მოხტიან, მოთამაშობენ. რა ვუყვით მერე, პატარებია და შეშვენით თამაში.

აი, უკვე მიახლოვდებიან. მე ერთხელ კიდევ ვისწორებ ყელსახვევს, ხმადაბლა ვაპირებ პასუხის გაცემას, თუ ისინი მომესალმებიან.

ასეც მოხდა.

— გაგიმარჯოთ, ბავშვებო! — ვუპასუხე თავაზიანად.

უკან როდი ვიხედები, მაგრამ მესმის:

— ხედავ! ჩვენი პატარა გელა პიონერი გამხდარა.

ისიც კი არ მეგონა, თუ აპათთვის ამდენ ხანსაც პატარა

ვიყავი და განსაკუთრებით ახლა, როცა მგონია ისე დიდი გავხდი, „პატარას“ წოდებას პაპაც კი არ მკადრებს. ამიტომ ძალიან მიკვირს ამათი საუბარი; — თუმცა რაა, პატარები არიან და მეტი არ იციან, — ფიქრობ და გულს მაინც არ ვიტეხ.

უკან აჩქარებული ფეხის ხმა მესმის. ვინ უნდა იყოს? მოვიხედო? სული მიმდის, სანამ გავიგებდე ნაცნობია თუ არა. ვეოყმანობ. მოვიხედო თუ არა?!

— გელა, ჩემო პატარა გელა! — მომესმა და იმ წამსვე ხმაზე ვიცანი ვთერი. იგი სტახანოველი მკრეფავია. — „პატარა ბიჭო,“ „ჩემი პატარა გელა“ — ისიც სხვასავით მეძახის. წინათ კიდევ არ ვაქცევდი ყურადღებას, — ახლა კი ნამდვილად ბრაზი მომდის მასზე, ასე უცებ როგორ მიცნო, ისიც ზურგიდან, როცა უკვე წითელი ყელსახვევი მაქვს.


ნუთუ არაფრით გამოვიცვალე? მე კი მგონია, გუშინდელზე ერთი მტკაველით მეტი გავიზარდე. სიღინჯით და სიღარბისლით პაპასაც გავუსწარო.

— პატარა პიონერს გაუმარჯოსო. — მესალმება და წინანდელზე მეტად იმით მანსხვავებს, რომ ორივე ხელს მართმევს, მაგრამ სახელს ისე არ ახსენებს „პატარა“ არ გაუჩიოს.

ხომ კარგი იქნება ერთი მეც გამოვაჯავრო: პატარა მკრეფავი, პატარა მოწინავე, პატარა სტახანოველი დაფუძახო, როგორც მე მეძახის „პატარა პიონერს,“ „პატარა ხუთოსანს“ და სხვ.

ვუახლოვდები ეზოს. ყველაზე მეტად ისევ ბაბუას აზრი





## პირველი დღე

### გემზე

ნახიმოველის ჩაიცვა ფორმა,  
თითქოს დაკაცდა უეცრად მაშინ,  
და სიხარულის შეიგრძნო თრთოლვა,  
როცა პირველად შეცურდა ზღვაში.


სად არის დედა, შეხედოს ნეტავ —  
როგორ გაზრდილა — ჩამოგავს მამას,  
მისი ვაჟკაცი და დედისერთა  
თუ როგორ უხდის სამშობლოს ამავს.

იგონებს ქერჩთან დაცემულ აღმზრდელს  
(წამით ტკივილით გული გაჩერდა),  
ბოცმანი ფიქრობს: — გმირები აღსდგნენ  
და ისევ ისე დადგნენ საქვსთან.

მიდის ხომალდი, მიარღვევს ტალღებს,  
მისმა აფრებმა ქარსაც აჯობებს,  
შორდება ნაპირს, სერებს და ბალებს,  
ბავშვის სიმღერებს და თამაშობებს.

მზით განათებულ ახალ ზღვებს ხედავს  
და თითქო ფიქრმაც ფრთები მოისხა,  
შორიდან უცქერს ჭალარა დედა,  
სავალს ულოცავს: — გზა მშვიდობისა...

თამაზ ჭილაძე



მაინტერესებს, ნუთუ მე — პიონერს — შემფერის პატარა მერქვას?

ჭიშკართან ჩვეულებრივ მხედება ჩვენი ცუგა. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც ისე შემომახტა და მოქელაქტუცა, როგორც ყოველთვის. მართალია ძაღლია, მაგრამ პირდაპირ სახეში რომ მიტყერის, ვერ ამჩნევს, რომ მე უკვე სხვა გელა ვარ?!

ისევ ისე აქნევს კუდს, ისევ ისე მილოკავს ფეხებს. რომ იკითხოთ, ძაღლი ყველა ცხოველზე გონიერიაო, გეტყვიან! ამდენ ხანს მეც ამ აზრისა ვიყავი, ახლა კი მაინცდამაინც არაფერი მჯერა ძაღლის გონიერების.

სახლიდან დამინახეს, წამოვიდნენ შესახვედრად. მილოცავენ, მკოცნიან და ხელში მათამაშებენ.

— ყოჩაღ, პატარა პიონერო, ყოჩაღ! — შემომძახიან ყოველი მხრიდან.

ბოლოს, როგორც იყო თავი დავადწვიე მათ და ბაბუა ვიკითხე. ვენახში ყოფილა, ასე ადრე არ მოელოდა მოხუცი ჩემს დაბრუნებას.

ჩანთა ბებოს შევაჩეჩე და ბაბუასკენ გავქანდი. მწკრივებს შორის დავინახე ბარზე დახრილი ბაბუა.

— სალამი, ბაბუ! — გამოვიჭიმე და მწყობრად მიჯრილი ხუთი თითი თავზე მაღლა ავიდე.

— ოჰო, — წყნარად შემობრუნდა ბაბუა, ბარს ფეხი დაჰკრა და მიწაში ჩატოვა.

— პატარა პიონერს ვახლავარ! — და ჩვეული სითბოთი გამიღიმა.


ნამდვილად გავბრაზდი. რამდენი ვითმინე, მაგრამ ბაბუას ვერ დავუმალე და პირდაპირ ვუთხარი:

— მე პატარა აღარა ვარ, ბაბუ!

მოხუცი ჩაფიქრდა, ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ყურადღებით დამაცქერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა:

— მართალი ხარ, შვილო!.. შენ პატარა აღარ გეთქმის... შენ დიდი მოვალეობა გაკისრია... შენ პიონერი ხარ!...





## იზრდებიან, ოსტაჯდებიან

### საშუალო სკოლიდან — წარმოებაში

ავტომანქანის წარმოება საქართველოში ახალი საქმეა. პირველი ქართული ავტომანქანა 1951 წლის 18 აგვისტოს გადამოვიდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან.

დიდი, ნაზღვილი საყოველთაო სახალხო ზეიმი იყო მაშინ ქუთაისში. ახალთახალი ავტომანქანების ძარაზე ბიონერები დასვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს.

პირველ ავტომანქანას საყვარელი სტალინის ვეებერთელა პორტრეტი ამშვენებდა. საქვს კომკავშირელი ბორის ვაშაკიძე მართავდა.

რესპუბლიკის ყოველ კუთხიდან ჩამოვიდნენ ქუთაისში საავტომობილო საქმით გატაცებული ახალგაზრდები. ბევრმა მათგანმა უშუალოდ წარმოებას მიაშურა, რათა არჩეულ სპეციალობას დაუფლებოდა, ხოლო ზოგმა სახელოსნო სასწავლებელში განაგრძო სწავლა.

\* \* \*

ქუთაისის ყოფილი ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები აბრამ ჩაჩაშვილი და ანზორ ხუტუა ჯერ კიდევ ბიონერთა ორგანიზაციაში ყოფნისას ოცნებობდნენ ავტომშენებლები გამხდარიყვნენ.

«ავტომანქანების მართვა რა! მთავარია თვითონ შექმნა იგი!» — ხშირად იტყოდნენ ხოლმე ბატარა მეგობრები.

უსაზღვრო იყო მათი სიხარული როდესაც გაიგეს, რომ მშობლიურ ქალაქში საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი საავტომობილო გვიანტის კორპუსებს.

დრომ სწრაფად განვლო. ა. ხუტუამ და ა. ჩაჩაშვილმა გასულ წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა. მეგობრებმა ერთ დღეს მორიდებით შეაღეს კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ელუარდ შევარდნაძის კაბინეტის კარი. ოღნავ ღელავდნენ.

— გთხოვთ, კომკავშირული საგზურით გავგზავნოთ საავტომობილო ქარხანაში, — უთხრეს მათ ახსნავ შევარდნაძეს.

— კეთილი, ჩინებული გადაწყვეტილებაა, — იყო პასუხი. გულთბილი საუბრის შემდეგ ახალგაზრდები მდივანს დაემშვიდობნენ და სახეგაბრწყინებულნი დაემშენენ კიბეზე. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, საგზური ფრთხილად გადაკეცეს და კომკავშირის ბილეთთან ერთად შეინახეს.

არ შევარცხვინოთ ჩვენი აღმზრდელი ლენინურ-სტალინური კომკავშირი! — შეპფიცეს მეგობრებმა და იქვე, ახალ მოედანზე აღმართულ ი. ბ. სტალინის მონუმენტს სიყვარულით შეავლეს თვალი.

აბრამ ჩაჩაშვილი და ანზორ ხუტუა ქარხანაში სიხარულით მიიღეს. მათ მაგალიტს ბევრმა მიზაძა. ახლა საშუალოდამთავრებული ახალგაზრდები კომკავშირული საგზურით მასობრივად მიდიან სამუშაოდ საავტომობილო ქარხანაში.

შეღარებით ბატარები კი სახელოსნო სასწავლებლისაკენ ისწრაფვიან.

### ოსტატი ივანე ზივზივაძე და მისი მოსწავლეები

ივანე ზივზივაძემ 1945 წელს დაამთავრა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე არსებული სახელოსნო სასწავლებელი, ბეჯითი სწავლითა და სანიმუშო დისციპლინით იგი მთელს კოლექტივში გამოირჩეოდა; მას ყველა აფასებდა.

— ივანე, დარჩი ჩვენთან საწარმოო სწავლების ოსტატად. შენ ახლა უკვე შეგიძლია თვითონ აღზარდო კვალიფიციური კადრები, — უთხრა მას სასწავლებლის დირექტორმა.

— კი, მაგრამ, ბატყვემული დირექტორო, ჯერ საამისოდ თავს არ ვგრძნობ მომზადებულად, უმჯობესია ქარხანაში ვიმუშაო, — უბასუხა ივანემ.

— დაგეხმარებით, უეჭველად შესძლებ! ხომ ხედავ, ახალგაზრდობა დღე რაოდენობით მოდის სასწავლებელში, ჩვენ კი საწარმოო სწავლების გამოცდილი ოსტატები გვაკლია.

ივანე დათანხმდა. ახალი შევსება რომ მოვიდა, გუშინდელი მოსწავლე ივანე ზივზივაძე მათ აღმზრდელად დანიშნეს.

პირველ ხანებში მუშაობა მართლაც გაუძნელდა, ვრიდებოდა კიდევ, მაგრამ მალე გაათამადა, ახალ თანამდებობას შეეჩვი

და, აი, ავტო უკვე მ წელია, ივანე ზვიგვიძემ მაღალკვალიფიკაციურ კადრებს უმზადებს საავტომობილო ქარხანას. მისი ჯგუფი ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია.

ოსტატი ამაყობს თავისი აღზრდილებით. დავით კონძე სამასოვანა მტვიფრავია, წარმოებიდან მოუწყვეტლად ავტომექანიკურ ტექნიკუმში სწავლობს. უშანგი ქარქაშაძე კვილანძვარავ ჩარხს ემსახურება და დავალებებს სისტემატურად 200—250 პროცენტით ასრულებს. ამირან ჩუბინიძემ იხე გამოიჩინა თავი, რომ ქარხნის დირექციამ იგი ოსტატად დააწინაურა.

და განა მართო ისინი? ქუთაისელი ზურაბ ლომიძე, ტყუბულელი ვასილ გოჩელაშვილი, სამტრედიოლი ავთანდილ ჭყუასელი—ყველანი. ვისაც კი ზვიგვიძისაგან უსწავლა სპეციალობა—დიდი გადაჭარბებით ასრულებს გამოწვევების ნორმებს. ასეთები კი ასობით არიან.

**პროდუქცია სახელოსნო სასწავლებლის მარკით**

1953 წელს სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივს დაევალა აეთვისებია საკმაოდ რთული ავტოგატი, სატეხი ჩარხი «74—12». მის დასამზადებლად საჭიროა 1200 რთული და მარტივი ნაწილი. ჩარხის კვანძებისა და დეტალების დამზადებაზე მრავალმა მოსწავლემ ისახლა თავი. გივი ბერიძემ და კონსტანტინე აბაშიძემ დეტალებს ჩამოსხმით გაითქვეს სახელი. მათი ნახელავის სახარატო დამუშავებას კარგად გაართვეს თავი ნოდარ ზაჯაძემ და გურამ საჩხარაძემ.

საქმე წინ მიდიოდა. მალე ზეინკლებს გურამ ზვიგვიძესა და გიორგი ფეიქრიშვილსაც გაუჩნდათ საქმე—დაიწყო ჩარხების აწყობა.

საცდელი ნიმუში საუკეთესო გამოდგა, აღსაზრდელები და აღმზრდელები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

გეგმით გათვალისწინებული ჩარხების დასამზადებლად მთელი კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა. მოსწავლეებთან ერთად ამ საქმეში თავი გამოიჩინეს საწარმოო სწავლების ოსტატებმა გიორგი კახაძემ და შალვა ლეჭავაძემ, უფროსმა ოსტატმა ვლადიმერ ჯავახაძემ და ტექნიკური ბიუროს უფროსმა, ინჟინერმა არდალიონ ბერიკაშვილმა. გასულ წელს აქ უნდა აეთვისებიათ კუთხილიწრელი სახარატო ჩარხი «1—T—ნი». ყველა, როგორც ერთი, ამ დავალების შესასრულებლად დაირაზმა. ახლა სახელოსნო სასწავლებლის მთავარ სასწავლო კორპუსში დგას ახალი სახარატო ჩარხი «1—T—ნი», რომელსაც აქვს მარკა «რუ—4».

ეს ფაქტი გამოწვევის რიგია. მოსწავლეებმა 200-ზე მეტი ჩარხი დაამზადეს მათ მიერ დამზადებული სატეხი ჩარხი მესამე წელია წარმატებით მუშაობს ავტოქარხნის სატვიფრო-მექანიკურ საამქროში. აქ დამზადებულ ამავე ტიპის ჩარხებზე ლითონის დამუშავების სპეციალობას ეუფლებიან საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და რესპუბლიკის მრავალი სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები.

გასულ წელს მოსწავლეებს 220 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა დაემზადებინათ. დავალება წარმატებით შესრულდა.

**ძმები, თანასოფლელები**

გურამ სიამაშვილს, როცა იგი ოსტატ კახაძეს ემშვიდობებოდა, თვალწინ გაოფლდა სახელოსნო სასწავლებელში გატარებული წლებმა. გურამს კარგა ხანია უნდოდა რაღაც ეთხოვა აღმზრდელისათვის, მაგრამ აქამდე ვერ გაეხება. ახლა კი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.



სახელოსნო სასწავლებლის ფრიადოსანი მოსწავლე ხარატი ზაურ ქანტურია, ლითონს ჩქაროსნული მეთოდით ამუშავებს.

— პატივცემულო მასწავლებელო, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— რა გინდა, გურამ, თქვი!

— ჩემი უმცროსი ძმა, რომანი. არ მასვენებს: გადაწყვეტილი მაქვს მეც ავტომშენებელი გამოვიდე... ეს აზრი მეც მომწონს, მოზობლებიც თანახმა არიან, მაგრამ წარმოებისათვის იგი ჯერ მოუმზადებელია. მინდა, მანაც თქვენგან მიიღოს კვალი-ფაკაცია.

— ყოჩაღ, გურამ! როგორ არ დაგეხმარები. მოვიდეს ოღონდ შენსავით კარგად უნდა ისწავლოს.

— სიტყვას გაძლე, პატივცემულო ოსტატო, რომ იგი არ შეარცხვენს ჩვენს სახელოსნო სასწავლებელს.

შეთანხმდნენ.

გურამ სიამაშვილი ქარხანაში წავიდა სამუშაოდ, ხოლო მისი ძმა რომანი სახელოსნო სასწავლებელში შეუდგა მეავტომობილის პროფესიის დაუფლებას. ახლა ძმები სიამაშვილები მოწინავეთა რიგებში არიან.

უფროსი ძმის ვახტანგ ბაბილუას მაგალითის მიზაძა თემურ ბაბილუამ და მანაც სახელოსნო სასწავლებელში განაგრძო სწავლა.


შორეულ მთის სოფელ ლატალიდან (მესტიის რაიონი) ჩამოვიდა ქუთაისში საავტომობილო საქმის შესასწავლად კომკავშირელი ჭაბუკი სები ნანსყანი. იგი სახელოსნო სასწავლებელში ხარატის სპეციალობას ეუფლება, არის საღამოს საშუალო სკოლის მე-10 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე, ჩინებულად თამაშობს ჰადრაკს, მეცადინეობს ფიზიკის წრეში.

6904





წაველებელში აღზრდილი ნ. სომასურიძის მაგალითს დაკვირვებით  
შეოდ წაიღებენ ყაზახეთში ყაშირი და ნასვენი მიწების სასა-  
ოფისებლად.



სახელოსნო სასწავლებელში აღზრდილი იმარ გიორგაია,  
რომელიც ახლა მოწინავე ხარატი ავტოქარნის  
მექანიკურ ლაბორატორიაში.

**მღერიან, ცეკვავენ, მხიარულობენ**

სახელოსნო სასწავლებელს აქვს ძვირფასი ლაბორატორიები,  
სასწავლო სახელოსნოები, საკუთარი ძალებით მოწყობილი ჩი-  
ნებული სპორტული მოედნები. წარმატებით მუშაობს საგნობ-  
რივი და ლიტერატურული წრეები, ფიზკულტურული კოლექ-  
ტივი, თვითმოქმედი გუნდები.

შრომითი რეზერვების სისტემის სახელოსნო სასწავლებლე-  
ბისა და სკოლების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე აქაური მომ-  
ღერეები, მოცეკვავეები და დეკლამატორები ყოველწლიურად  
წარმატებით გამოდიან.

არც სპორტსმენები არიან ვალში.  
აქ ყველაფერი ისე კარგად არის მოწყობილი, რომ მოსწავ-  
ლეები, როგორც საკუთარ სახლში ისე გრძნობენ თავს. სახე-  
ლოსნო სასწავლებელს ისინი სამართლიანად უწოდებენ თავიანთ  
მეორე ოჯახს.

\* \* \*

მეავტომობილეთა ქალაქიდან ყოველდღე გადის თვითმცლე-  
ლი ავტომანქანებით და სათადარიგო ნაწილებით დატვირთული  
სარკინიგზო ეშელონები. პროდუქციას ამშვენებს ქართული  
ასობით ამოკვეთილი წარწერა «ქუთაისი». ეს უბრალო მაგა-  
ლითიც მეტყველებს საქართველოს ინდუსტრიის არნახულ  
ზრდაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ქუთაისს შორს გაუთქვა სახელი საავტომობილო ქარხანამ.  
ქარხნის პროდუქცია უზვად იგზავნება ახალმშენებლობებსა და  
კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, ყაშირი  
მიწების ათვისების რაიონებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. ამ საქ-  
მეში დიდი წვლილი მიუძღვის სახელოსნო სასწავლებელში  
აღზრდილ ახალგაზრდა ავტომშენებლებს.

**დავით ქათაყაძე**

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა

სებში სოფელში ყოფნისას სახელოსნო სასწავლებლის შესა-  
ხებ ბევრი რამ უამბო თავის ბავშვობის ამხანაგს შოთა გირ-  
გვილიანს, დაინტერესა იგი. შოთამ გადაწყვიტა გაყოლოდა  
მეგობარს. მანაც სახელოსნო სასწავლებელს მიაშურა და გატა-  
ცებით ეუფლება საზინკლო საქმეს.

ჩემს მიერ აწყობილი ავტომანქანით უნდა ვეწვიო მშობ-  
ლიურ სვანეთსო, ღიმილით ამბობს ახოვანი ჭაბუკი.

**პატარების წვლილი დიდ საქმეში**

სახელოსნო სასწავლებელი შეფობას უწევს ქუთაისის რაიონ-  
ის სოფელ პატრიკეთის კოლმეურნეობას. ამ დიდ საქმეში  
პატარებიც აქტიურად მონაწილეობენ. მათ კოლმეურნეობას  
დახმარება აღმოუჩინეს მინერალური სასუქის გადაზიდვაში;  
მოაწვეს საკოლმეურნეო სამჭედლო; კოლმეურნეობას დაუმზა-  
დეს კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდის სათესი სპეციალური  
მოწყობილობანი 100 ცალის რაოდენობით. ამ საქმეში თავი  
გამოიჩინეს მოსწავლეებმა: ვ. კლდიაშვილმა, ა. გამეზარდა-  
შვილმა, ზურაბ და გურამ სახვაძეებმა, შ. ლეჟავამ და ა. სე-  
ფისკვერაძემ.

მოსწავლეებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მტს-ების  
სახელოსნოებისათვის განკუთვნილი ჩარხების დამზადებაში.

მოსწავლეები საშეფო დახმარებითაც არ კმაყოფილდებიან,  
ბევრ მათგანს, მაგალიდად ლ. ფხაკაძესა და მ. ქებულაძეს,  
გადაწყვეტილი აქვთ მიზაძინ მათს მშობლიურ სახელოსნო სას-



მოწინავე მოსწავლეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. ბერაია,  
გ. კვანტალიანი და ნ. ურუშაძე.

# პ რ ო ლ კ ა

(ნამღვილი ამბავი)

ეს ამბავი სამამულო ომის წლებში მოხდა. პჩოლკა პატარა ბიჭის გვარი იყო. ის ყველას არწმუნებდა, თოთხმეტი წლისა ვარო, მაგრამ ჩვენს ნაწილში ეს არავის გვეჯეროდა. ის ისეთი პატარა ჩანდა, რომ ყველას გვეგონა, პჩოლკა წლოვანებას განგებ იდიდებდა, რათა მზვერავთა ათეულის მეთაურს ნაუმოვს მტრის ზურგში წაეყვანა ხოლმე „ცოცხალი ენის“ მოსაყვანად.

კოსტია პჩოლკა ტანით ფუტკარივით პატარა იყო, მისებრ მოუსვენარი და სასარგებლო. დიდხანს მისი გვარი ზედმეტი სახელიც კი გვეგონა და გვიკვირდა (ვიდრე გავიგებდით, რომ ეს მისი ნამდვილი გვარი იყო) იმ ადამიანის გონებასა და ხელობა, გინც ასე ზედგამოჭრილი სახელი შეურჩია ჩვენს საყვარელ ბიჭს\*.



\* \* \*

მხსენდება პჩოლკასთან პირველი შეხვედრა. ერთ დილას მზვერავების ათეულის ფორანთან პატარა ბიჭებს მოეკარი თვალი. ძალიან გამიკვირდა ჩვენს ნაწილში ბავშვების გამოჩენა და მათკენ გავწივ. ისინი სამნი იყვნენ. მადიანად შეეკვიციოდნენ პურსა და შაშხს, რომლითაც მზვერავების ათეულის მეთაური ნაუმოვი უმსახიროდებოდა და თან რაღაცაზე ესაუბრებოდა.

— ვინ არიან, ამხანაგო მეთაურო? — შევეკითხე მისგლისთანავე ნაუმოვს.

— სტუმრები. რამდენიმე დღეა ტყეში დადიან თურმე და მოშიენიათ, — მიპასუხა ნაუმოვმა.

— მერე რას უპირებთ?

— არ ვიცი. ვფიქრობ, ზურგში გაეგზავნო. ოღონდ ჯერ პოლკის მეთაურს უნდა ვაცნობო ამის შესახებ.

ეს სამი ბიჭი, თქვენც მიხედვებით, პჩოლკა და მისი მეგობრები იყვნენ.

ჩვენს საუბარს პჩოლკა ყურადღებით უსმენდა, თან მადიანად ილუკმებოდა, მაგრამ როდესაც ნაუმოვმა განაცხადა, შეიძლება ბიჭები ზურგში გაეგზავნოთო, პჩოლკამ თავი მადლა აიღო, მომუდარე თვალები ნაუმოვს მიაპყრო, აჩქარებით გადაყლაპა ლუკმა და წაილაპარაკა:

— მე ზურგში არ წავალ, თქვენთან მინდა დარჩენა. ნაუმოვი არ ელოდა პატარა ბიჭის ასეთ განცხადებას.

— შენ რა უნდა გამიკეთო? — გაოცებით იკითხა ნაუმოვმა.

— აი, ცხენები გყავთ, მოეუვლი, — და ხელით იქვე მდგომ ცხენებზე მიუთითა პჩოლკამ.

— არა, შენ ჯერ უნდა ისწავლო, ჯერ შენ თვითონ ხარ მოსაველელო.

— სულერთია, ძია, მაგას აღარავინ დარჩა შინ. ყველანი ფაშისტებმა დაუხოცეს. სკოლაც დაგვიწვეს. — ჩაერია ლაპარაკში მიშა.

პჩოლკას ცრემლები მოადგა თვალებზე.

— არა, — მითხრა ნაუმოვმა ხმადაბლა, სვედიანი კილოთი, — პოლკის მეთაური არ დათანხმდება მაგის აქ დარჩენაზე.

— ჩვენ თვითონ წავალთ პოლკის მეთაურთან და ვთხოვთ. — განაცხადეს განარებულმა ბიჭებმა, რაკი ნახეს, რომ ნაუმოვი თითქმის თანახმა იყო.

მართლაც, ბიჭები მისულცივნენ პოლკის მეთაურთან, ეთხოვნათ ნაწილში დატოვება, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ მხოლოდ პჩოლკა დაეტოვებინათ.

\* \* \*

რამდენიმე დღის შემდეგ პჩოლკა მზვერავების ცხენზე მჯდომი ვნახე უკვე ახალ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი. ჩექმები მუხლებამდე სწვდებოდა და ფეხის გადადგმას უძნელებდა. ჩექმებში ჩატანებული შარვალიც მეტათ ფართო იყო და შიგ კიარგებოდა მებრძოლის პატარა ტანი. როცა მომიხლოვდა, შევეკითხე:

— დატოვეს?

— ძლივს. მხოლოდ დღეს გადაწყდა ჩემი დარჩენა. — ღიმილით მიპასუხა კოსტიამ.

— კმაყოფილი ხარ?

— ძალიან.

— შენი ამხანაგები რა იქნენ?

— ისინი ზურგში გაგზავნეს, სასწავლებელში.

— განა შენ კი არ გინდოდა სწავლა?

— როგორ არ მინდოდა, მაგრამ ჯერ უნდა ვიომო, სწავლას ომის შემდეგაც მოვასწრებ.

მართალია მზვერავების ტრანსპორტზე გამოყოფილი იყო ერთი მებრძოლი, მაგრამ ეს მებრძოლი ხშირად იგზავნებოდა სხვადასხვა საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ასეთ დროს ტრანსპორტი და ცხენები უპატრონოდ რჩებოდა.

და აი, პატრონი პჩოლკა გახდა.

ჩვენი ნაწილის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას მზვერავები თავის ბარგს და მეურნეობას ფორანზე ათავსებდნენ. ამ ფორანზე პჩოლკა დასვეს. იგი საიმედო მეფორანე გამოდგა. ბევრი კარგი თვისება აღმოაჩნდა პჩოლკას. იგი ზუსტად ისროდა ნიშანში, არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი, იყო დისციპლინისანი და დაუზარელი.

პჩოლკას მთავარი „საბრძოლო დავალება“ ცხენების დასუფთავება, წყლის დაღვეინება, ხანდახან საკვების მოტანა და ბარგის შენახვა იყო.

სულ მოკლე ხანში პჩოლკა საყვარელი ბიჭი გახდა არა მარტო მზვერავების დანაყოფისათვის, სადაც ის ირიცხებოდა, არამედ მთელი ჩვენი პოლკისათვისაც.

პჩოლკას ძალიან უყვარდა იარაღი. მან ჩვენს ნაწილში მიღების თითქმის მეორე დღესვე ნაუმოვს ავტომატი მოსთხოვა. ნაუმოვმა სიცილით უპასუხა:

— კოსტია, შენ ხომ ავტომატს ვერც კი დასძრავ, როგორ შეიძლება იარაღის მოცემა!

— მაშ, რეველვერი მომეცით. რეველვერი ხომ მძიმე არ არის? — ღიმილით მოუჭრა სიტყვა პჩოლკამ.

\* სიტყვა «პჩოლკა» რუსული სიტყვა «პჩელა»-საგან არის წარმოებული და ქართულად ფუტკარს ნიშნავს.



ისინი სამნი იყვნენ.

ნაუმოვს რამდენიმე დღის წინააღმდეგ ახალი რევოლუციური მიღებული; ძველს ვაზნები გამოაცალა და პაროლკას მისცა. პაროლკამ როგორღაც ტყავის ბუდეც იშოვა, ჩაღო რევოლუციური და ჩამოიკიდა. რევოლუციური ძირზე იყო და ერთ მხარეს მძლავრად ექაჩებოდა, რაც უფრო სასაცილოს ხდიდა პატარა მებრძოლს. პაროლკამ მხვერავთა ათეულის მებრძოლებს დიდი ხვეწნის შემდეგ გამოსთხოვა ლითონის ქარქაშში ჩასმული, დიდი, ხანჯალივით წვეტიანი დანა, რომელიც შაშხანას ხიშტად უკეთდებოდა ხელჩართული ბრძოლისათვის. პაროლკამ ეს ხანჯალიც ზედ ჩამოიკიდა. რამდენიმე დღის შემდეგ პაროლკას ხელში ავტომატიც დაეინახეთ.

\* \* \*

ჩვენ, მებრძოლებმა, როდესაც პაროლკა უკვე „ძველ მებრძოლად“ ითვლებოდა, შევიტყვეთ მისგან: „თქვენს ნაწილში იმითღო კი არ დავრჩი მოხალისედ, რომ მეჯინებდ დაებერდე — მტერზე, ფაშისტებზე, დედაჩემისა და კოლიასთვის უფრო უნდა ვიძიო“. პაროლკამ ნაუმოვს ხვეწნა დაუწყა: მტრის ზურგში „ცოცხალი ენის“ მოსაყვანად მეც წამიყვანეთო.

ნაუმოვს არც კი სურდა მოესმინა ბიჭის ლაპარაკი, მაგრამ პაროლკა არ ცხრებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბიჭმა უარი მიიღო ნაუმოვისაგან, ათეულის მებრძოლებს კარიოჟინსა და სოლოვიოვს მოსვენებას აღარ აძლევდა: უთხარით მეთაურს, მეც წამიყვანოს დახვერვაზეო.

ესენიც, უკვე გაბეზრებულნი, ეუბნებოდნენ ნაუმოვს: რაც იქნება, იქნეს, წავიყვანოთ, დაე, შეეჩვიოს ყველაფერს; თმშია, ქორწილში ხომ არ არისო. ნაუმოვმა კარიოჟინი ასეთი „დაუფიქრებელი“ სიტყვების გამო მკაცრად დატუქსა.

პაროლკამ იტირა კიდევ, მაგრამ ნაუმოვთან არაფერმა არ გასჭრა. იგი დახვერვაზე მაინც არ მიჰყავდათ.

\* \* \*

დაახლოვებით ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მხვერავები „ენის“ მოსაყვანად მტრის ზურგში წავიდნენ.

ისინი ფრთხილად, ნელი ნაბიჯით მიიწვედნენ წინ, ტყეში, მტრის ჯარების განლაგებაში. წინ ნაუმოვი მიდიოდა ავტომატიმარაჯვებულნი. უკან მიჰყვებოდნენ შეიარაღებული, სმენადქცეული მებრძოლები. სიჩუმე იყო. შორს ისმოდა თოფებისა და ქვემეხების კანტი-კუნტი სროლის ხმა. ღამე მთავარი იყო. უკანა მებრძოლი კარიოჟინი უცებ შედგა და ხელით მის წინ მიმავალი სოლოვიოვი შეაჩერა. მან ზურგის-

კენ ანიშნა: აბა, უსმინეთო. ფრთხილი მხვერავები დასრულდა შეჩერდნენ და სმენად გადაიქცნენ. ხელმა ფიქრს დაიწყო ნაუმოვმა ხმადაბლა გასცა ბრძანება: დაწყებით და ბრძოლისათვის მოემზადეთო. მებრძოლები მიწას გაეკრნენ და იარაღი მოიმარჯვეს.

მთვარის შუქი პატარა მინდორს კარგად ანათებდა. აქეთ უნდა გამოველო ყველას, ვინც ამ მიმართულებით გაივილიდა. მხვერავებს დიდხანს არ დასკირდა ცდა. ყველანი მინდორს მიშტერებოდნენ. მალე გამოჩნდა შეიარაღებული კაცის ფიგურა, რომელიც გაბედულად მოაბიჯებდა. კარიოჟინმა სოლოვიოვს მუჯლუგუნი წაჭკრა და სიხარულით აღტაცებულმა უთხრა:

— ეს ხომ პაროლკაა?

— არა.

— ნამდვილად ის არის.

კამათი დიდხანს არ გაგრძელდებულა. მხვერავების განლაგებაში პაროლკა მოაბიჯებდა.

ნაუმოვი განრისხდა.

კოსტია გრძობდა დანაშაულს. ხმას არ იღებდა, ეშინოდა ნაუმოვს უკანვე არ გაებრუნებინა.

რადგან საბრძოლო განაყოფი თავისი ნაწილიდან უფრო შორს იყო, ვიდრე ფაშისტებისაგან, ნაუმოვმა გადაწყვიტა აღარ გაებრუნებინა ბიჭი, მაგრამ მაინც დატუქსა, დააშინა და უთხრა, რომ, თუ შემდეგში ასეთი შემთხვევა გამოვრდებოდა, ის თავის ნაწილში აღარ გააჩერებდა პაროლკას.

— რა ვუყოთ? — შეეკითხა ბიჭებს ნაუმოვი ყასიდად, — უკან გავგზავნოთ ჩვენი გულადი?!

— ახლა ვაპატიოთ და ვნახოთ როგორ შეიპყრობს „ცოცხალ ენას.“ — უთხრა ერთ-ერთმა მებრძოლმა.

— მაშ, კარგი. — მიუბრუნდა პაროლკას ნაუმოვი, — გახსოვდეს, ჩემი ბრძანების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ გაისვრი ავტომატიდან, გასაგებია?

— გასაგებია! — მიუგო სიხარულით ფრთხილმხმელმა კოსტიამ.

მხვერავებმა სმენით მოსინჯეს მთელი მიდამო და გახანგრძეს.

როდესაც ამ ოპერაციის შემდეგ ნაუმოვს შევხვდი, მან ძალიან აქო პაროლკა. მივიჩინო, მითხრა, ამ პატარა ბიჭმა როგორი გამბედაობა გამოიჩინა ბრძოლის დროსო. დახვერვის წარმატებით დამთავრებას და „ენის“ მოყვანას პაროლკასაც უნდა ვუმაძღვლოდეთო.



პაროლკა უკვე ხშირად დაჰყავდათ დახვერვაზე.

ამის შემდეგ პოლკა უკვე ხშირად დაჰყავდათ დახვეწვებზე და სანაჭებო მებრძოლის სახელიც ვაჟუვარდა.

\* \* \*

ერთხელ, მტერმა ტყეში დესანტი გადმოსხა. ჩვენმა ნაწილმა მალე განადგურეს ეს დესანტი, მაგრამ ორმა ფაშისტმა, როგორც ჩვენ ცოტა უფრო გვიან შევიტყვეთ, გაქცევით თავს უშველა.

ამის შემდეგ გაიარა რამდენიმე კვირამ და ეს ამბავი თითქმის ყველამ მიივიწყა, რადგან ჩვენი ნაწილები წინ მიიწევდნენ და ურტყამდნენ ფაშისტების არა მარტო დესანტებს, არამედ ფრონტსაც და ზურგსაც. პოლკა ვეღარ ასწრებდა ცხენების გამოშვებას და დასვენებას. მხვერავების ბარგი აღარ იხსნებოდა ტრანსპორტიდან, რადგან ნაწილი მუდმივად წინსვლაში იყო.

ერთ დღესაც პოლკამ მიიღო დავალება ცხენით წასულიყო პოლკის მეთაურთან. უბელო ცხენზე შეჯდა ბიჭი. ვინაიდან ჭენების დროს ავტომატი თქმისა სტყენდა, ამიტომ იგი ნაწილში დატოვა. თან ჰქონდა მხოლოდ ხანჯალი და რევოლვერი.

ახლა პოლკას პოლკის მეთაური ენახა, დავალება შეესრულებინა და ნაშრომთან ბრუნდებოდა.

გზა, რომელზედაც პოლკას უნდა გაეგლო, ტყით დაბურული, ამასთან ვიწრო და საკმაოდ მიხვეულ-მოხვეული იყო. ასე, რომ შეიძლებოდა ოც მეტრზე წინ მიმავალი მგზავრი ვერ შენიშნა კაცს. პოლკას უკან, დაახლოებით ას მეტრზე, მოდიოდნენ მებრძოლები ორი ფორანით. ტყის მყუდროებას მხოლოდ პოლკას ლილინი და უკან მიმავალი ფორანების ყრუ ხმაური არღვევდა.

როდესაც პოლკას ცხენი ერთ მოსახვევს მიუახლოვდა, ტყიდან უცებ ვიღაც გამბდარი, მალალი, სამხედრო მაზარიანი კაცი გადმოხტა. მისმა გამოჩენამ ცხენი ოდნავ შეაფრთხო. კოსტიამ ცაციათი სადავე მოჭიმა და მარჯვენა ხელი თავისდაუნებურად რევოლვერზე იტაცა. უცნობმა ვერ შენიშნა პოლკას ხელის მოძრაობა, ის მარცხენა მხრიდან უაზლოვდებოდა კოსტიას ცხენს; პოლკამ, ცხენის ფერდებს ფეხები შემოაკრა და მარცხენა ხელით სადავე დაარტყა ფაფარზე. ცხენი ნელი ნაბიჯით დაიძრა, მაგრამ ამ დროს უცნობმა ხელის მოძრაობით ანიშნა, გაჩერდით. კოსტია, ოდნავდაც რომ შეშინებოდა, ცხენს გააჭინებდა და საფრთხეს თავიდან აიცილებდა, კაცი ვერ დაეწეოდა. მაგრამ მან ცხენი გააჩერა. უცნობმა მარცხენა ხელით ცხენის სადავე დაიჭირა, მარჯვენა ხელი კი კოსტიას ჩააგლო ფეხში, მერე თავი გააჭინა და მიწაზე უჩვენა, თან მძლავრად ჩამოსწია მისი ფეხი ძირს და დაატანა „რუს, სდოვაი“. ესე იგი, ძირს ჩამოდიო. კოსტიამ სცადა ცხენის სადავე გაენთავისუფლებინა უცნობის ხელიდან. მან მარჯვენა ფეხი მძლავრად ატაკა ცხენს გვერდში, ცხენი მოეწვლი სხეულით შეიჩხა, გვერდზე გახტა, თუმცა თავი ვერ გაინთავისუფლა უცნობისაგან. უცნობმა სცადა ორივე ხელი ჩაეგლო პოლკასთვის და ძირს გადმოეგდო. ამას სწრაფად მიუხვდა კოსტია და, როცა უცნობმა მარცხენა ხელი გაუშვა ცხენის სადავეს, რომ ორივე მხედრისათვის ჩაეკიდა, პოლკამ რევოლვერის ამოღება მოახერხა, უცნობს ესროლა და მხარში დასჭრა. დაჭრილი ხელს მაინც არ უშვებდა ცხენს. დიდი მოწადინებით ცდილობდა კოსტია გადმოეგდო ძირს.



...უცნობს ესროლა და მხარში დასჭრა.

შემთხვევის ადგილზე მოცივდნენ კოსტიას უკან მიმავალი მებრძოლები.

როცა უცნობმა შეიარაღებული მებრძოლების ხმა გაიგონა, ტყისკენ გაეშურა გასაქცევად, თავის საშველად. აქ კოსტიას გაუასკეცდა ძალა და ხმამაღლა დასწყვიტა:

— ოჰ, შე ფაშისტო ძაღლო, შენ! ცხენი მოგინდა?! იარაღი მოგინდა?!

ამ სიტყვებით უცნობის მიმართულებით რამდენჯერმე დაცალა რევოლვერი. ტყისკენ გასაქცევად მომზადებული უცნობი ფეხში დაიჭრა; წაიქცა, მაგრამ მალე წამოდგა, მობრუნდა და, რაკი შაშხანამომარჯვებული სამი მებრძოლი დაინახა, ხელები ასწია. კოსტია ჩამოსრილდა ცხენიდან; გაბოროტებულმა რამოდენიმეჯერ დაარტყა რევოლვერი ახმა უცნობს ზურგში.

მებრძოლებმა გაცოფებულ პოლკას არ მისცეს ნება გვერდები მიეყუვა ახმახი უცნობისათვის. ეს უცნობი, როგორც უკვე მიხედებოდათ, გერმანელი ფაშისტი იყო.

დაჭრილი ფაშისტი ნაშრომს მიგვარეს. ნაშრომმა პოლკის მეთაურს მოახსენა პოლკას გმირობის შესახებ. კოსტია პოლკას მებრძოლები წინაშე მადლობა გამოუცხადეს ფაშისტის ცოცხლად შეპყრობისათვის.

სად არის ახლა პოლკა, ზუსტად არ ვიცი, რადგან ჩემს ნაწილს ჯერ კიდევ 1942 წელს ჩამოვცილდი; ოღონდ ამ რამდენიმე თვის წინ მოსკოვში შეგხვდი ჩემი პოლკის ყოფილ მეთაურს, რომელმაც გადმომცა, რომ კიევის განთავისუფლების შემდეგ პოლკა აღსაზრდელად დატოვა ერთ-ერთ საბავშვო სახლში, მან უკვე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ახლა კახოვის ელსადგურის მშენებლობაზე მუშაობს.



კოპიარე უსეგი

ნახ. კ. მახარაძისა

## გონი და ჯალოსნური ქარები☆

### ტონი და მოსუცი მამიი ფორსი

მისს კლექტი მოთმინების ქალი იყო, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა უამრავი საზრუნავი ჰქონდა; იმ დროს მოუხდა მასწავლებლობა, როცა ჩვენს სკოლებში დამხმარე სასწავლო ნივთები სულაც არ არსებობდა. ხოლო მის გაკვეთილებზე ორმოცდათხუთმეტი მკვირცხლი, მოუსვენარი ბავშვი იჯდა. ამიტომაც ვერ დავდებთ ბრალს იმაში, რაც ტონისა და მისს კლექტს შორის მოხდა; ისიც იმგვარადვეა დამნაშავე, როგორც თვითონ ტონი. ორმოცდასამი ბავშვისათვის იქნება როგორმე გაძლო, მაგრამ ორმოცდამეოთხე ის უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც მისი მოთმინების ფიალა აავსო. სწორედ ტონი მაკ-ტუვიშ ლივი იყო ეს ორმოცდამეოთხე.

ამიტომ ნულარ გავეიცხავთ მისს კლექტს, ნუ გავამტყუნებთ—იმ მშვენიერ მზიან დღეს, ტონიზე რად გაბრაზდით. ტონი ფანჯარაში იყურებოდა და მისი განწყობილება მალე მთელს კლასს გადაედო. რა გასაკვირია, ეს იყო გაზაფხულის პირველი მზიანი დღე, თითქოს განგებ მოვლენილი ბავშვების გასახარად და იმათ გულის მოსაკლავად, ვინც მათ ასწავლის!

მისს კლექტი გაკვეთილს ხსნიდა, ტონი კი არ უსმენდა,

\* გაგრძელება. იხ. უფრანალი „პიონერი“ № 1.

\*\* უოლ(Wall)—ინგლისურად „კედელს ნიშნავს.

მისი ფიქრები სადღაც შორს დაფრინავდა. მოდი, ნოღ ვნახოთ, როგორ არ ემთხვეოდა ტონის ფიქრები რასაც მისს კლექტი ლაპარაკობდა:

მისს კლექტი. 1609 წლის სექტემბერში კაპიტანმა ჰენდრიკ შულდონმა თავისი ნომალდი „ნახევარმთვარე“ ლოურ ბიეში შეიყვანა და სენდი ჰუკს ჩაუარა.

ტონი — „ნეტა ვიცოდე, იმ გამხმარ ხეს რა ჰქვია.“

მისს კლექტი — „ნახევარმთვარემ“ თვით კუნძულ კარლს მიადწია.

ტონი — „აღბოთ, ჰადარი იქნება, სხვა აბა რა უნდა იყოს მოტ-სტრიტივი!“

მისს კლექტი — საქმე ის არის, რომ კაპიტანი შულდონი ლეგენდალურ საზღვაო გზას ეძებდა, ჩვენი კონტინენტის გასწვრივ.

ტონი — „აგე, ბელურაც! საოცარი ჩიტია, — როგორადაც არ უნდა ციოდეს ნიუ-იორკში, ბელურას მაინც დაინახავ.“

მისს კლექტი — „ნახევარმთვარე“ პირველი ევროპული გემი იყო, რომელმაც ჩრდილოეთ მდინარის შესართავში შესცურა.

ტონი — „ინგლისურ ბელურას ეძახიან; აღბათ ინგლისიდან შემოიყვანეს. მაგრამ ერთხელაც არ მიინახავს ასეთი ჩიტები იმ ეზოში, კარებს იქით. მერედა რამდენი ჩიტებია იქა!“

მისს კლექტი — მაგრამ როცა შულდონი დარწმუნდა, რომ ეს მდინარის შესართავი იყო და არა სრუტე, საშინელმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

ტონი — „რა გინდა, იქ არ იყოს — შაშვები, კიოტები ლობემძვრალეები, კოდალები...“

მისს კლექტი — ტონი!

ტონი — „ინგლისური ბელურა კი ერთხელაც არ მიინახავს. აღბათ, მართლაც ინგლისიდან შემოიყვანეს ეს ჩიტი. ნეტა რა იქნება, კარს რომ გავაღებ, ეს ბელურაც შემიყვებს! თავისით მოშენდება, საჭირო აღარ იქნება ინგლისიდან შემოყვანა.“

მისს კლექტი — (გაცილებით უფრო ხმაშაშალო) — ტონი!

არ იფიქროთ, მარტო ტონი გაეტაცნოს ოცნებას. ტონის გარდა კლასში კიდევ ორმოცდასამი ბავშვი იყო და ყველა მათგანი, გოგონებიცა და ბიჭებიც, გაზაფხულის სიზანტემ მოიცვა, არც ერთი არ უსმენდა გაკვეთილს, მაგრამ ისინი სხვაგვარად გამოხატავდნენ თავიანთ განწყობილებას: ცმუკავდნენ, წრიალებდნენ, თმას ივარცხნიდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, იჭყანებოდნენ... ტონისაც რომ ასეთი რამ დაეწყო, მისს კლექტი მოითმენდა, არაფერსაც არ ეტყუოდა, მაგრამ იგი მოთმინებიდან გამოიყვანა სწორედ იმან, რომ ტონი ერთ აღვილზე გაქვავებულიყო და მთვარეულივით ფანჯარას მიშტერებოდა.

— ზა?... დიახ, მისს კლექტი, — ოცნებიდან გამოერკვა ტონი.

ამასობაში, მისს კლექტი საკმაოდ წინ წასულიყო, კაპიტან შულდონის მიერ ჩრდილოეთ მდინარის აღმოჩენის დღიდან რამდენიმე საუკუნე გაეწლო. ამიტომ ახლა გაბრაზებით გაიმეორა თავისი შეკითხვა.

— თუ მისმენდი, აბა მიბასუხე შეკითხვაზე, ტონი.

მისს კლექტი თურმე უოლ-სტრიტის შესახებ ეკითხებოდა, — კედელი როდის ამოიყვანეს, საიდანაც ქუჩამ სახელწოდება მიიღო? ამჟამად უოლ-სტრიტი ცენტრში მდებარეობს. ამ ქუჩაზე აშენებულია ვეება სახლები და მონოპოლიები თავიანთ საქმეებს ატრიალებენ. მისს კლექტი თურმე ყვებოდა, რომ დიდი ხნის წინათ, როცა ნიუ-იორკი პატარა ჰოლანდიურ სოფელს წარმოადგენდა, პიტერ სტაიფსანტმა მთელი სოფლის





განწვრივ, მდინარიდან მდინარემდე, კედელი ამოაშენა, რათა იქ დასახლებული ჰოლანდიელები ინდოელების თავდასხმისაგან დაეცვათ.

სწორედ ამას ეკითხებოდა ახლა მისს კლექტი, ეს კედელი როდის და სად ამოიყვანესო.

მართალი თუ გინდათ, ტონის არც ეს შეკითხვა მოუსმენია და არც ის, რასაც მისს კლექტი ყვებოდა; ამიტომ თვითონაც არ იცოდა, რატომ მისცა ასეთა პასუხი:

— კედლის ამოყვანა ინდოელებისაგან თავდასაცავად სულაც არ იყო საჭირო. ინდოელები არავის არ ერჩოდნენ არასდროს, ვიდრე ვან ლეიკმა საბრალოდ დრამაჟა არ მოჰქალა ატმის გამო. საზოგადოებრივი იყო. პიტერის მამისათვის რომ დაეჯერებიათ სოფლებებს და ინდოელებისათვის მიეცათ იგი, არაფერიც არ მოხდებოდა და კედლის ამოყვანაც აღარავის დასჭირდებოდა.

— რაო! — შესძახა მისს კლექტმა, — რას მიედ-მოედები?

— უოლ-სტრიტის კედელზე მოგახსენებდით.

— ტონი მაკ-ტევიშ ლივი, რა კავშირი აქვს ამ სისულელელს უოლ-სტრიტის კედელთან?

— მე მეგონა, მეკითხებოდით, ეს კედელი რატომ ამოიყვანესო, — მიუგო ტონიმ — მეც ვიპასუხეთ, რომ ეს კედელი ბებერმა სტაივენსანტმა ამოიყვანა, მაგრამ კედელი არაფერი საჭირო არ იყო. რა უფლება ჰქონდა ვან ლეიკს, რომ ატმის გულისათვის საბრალოდ ქალი მოჰქალა ყველაფერში ინდოელებს უნდა დასდონ ბრალი მაგრამ ერთიც ვნახოთ...

კლასში ხარხარი ატყდა, გაცოფებულმა მისს კლექტმა კი იყვირა:

— გეყოფა, ტონი, გაჩუმდი!

\* \* \*

იმავ დღეს ტონი ეზოში თამაშობდა, როცა მისს კლექტი დედასთან მოსალაპარაკებლად მოვიდა.

— ტონი რომ უბრალოდ ცუდი ბავშვი იყოს, როგორც იტყვიან ხოლმე, სულაც არ შევიწუხებდი თავს, რამეს მოუფხვრებდი, — დაიწყო მისს კლექტმა.

— ტონი ცუდი ბიჭი არ არის, — მიუგო მისის ლივი.

— რა თქმა უნდა პირიქით, კარგი ბიჭია. მაგრამ ძალიან ცოცხალი ფანტაზიის ბავშვია და ათასგვარ სისულელეებს ჩმახავს ხოლმე. არ ვიცი, საიდან მოაქვს ეს ზღაპრები, მაგრამ უბედურება ის არის, რომ დისციპლინას არღვევს კლასში.

— ჩვენც დავტუქეთ ამის გამო, — უთხრა მისის ლივი, — ვერ გამოვიდა, საიდან თხზავს ასეთ რამეებს...

— თუნდაც დღევანდელი ისტორიის გაკვეთილი ავილოთ.. — დაიწყო მისს კლექტმა და უამბო, რაც გაკვეთილზე მოხდა.

დედას უნდოდა იმ ჯადოსნური კარის ამბავი ეთქვა მასწავლებლისათვის, მაგრამ თავი შეიკავა და დაჩუმდა. მიხვდა, რომ მისს კლექტი სიცილს დაიწყებდა ტონის ჯადოსნურ კარზე; ხოლო, მისი აზრით, ამის ნება არავის არა ჰქონდა.

— როგორმე უნდა გადავაჩვიოთ, — გადაჭრით განუცხადა მისს კლექტმა.

— კეთილი, — დაეთანხმა ტონის დედა, — ქმარს მოველაპარაკებო.

— ეგ არა კმარა; მე მგონი სხვისი დაზმარებაც იქნება საჭირო. — შეეხიტიყვა მისს კლექტი.

— დახმარება? ვისი დახმარება? ტონის ჩვენ თვითონვე ზრდით ხოლმე სხვის დაუხმარებლად.

— ექიმის დახმარება იქნება საჭირო.

— თქვენ ფიქრობთ, ტონი ავადღარის? არა, ტონი სავსე-

ბით ნორმალური, ჯანმრთელი ბავშვია. ფანტაზია აქვს მას, ლიან განვითარებული და მეტი არაფერი.

— მაინც ჯობია, რომ ახლავე ვუწამლოთ, მანამ დროა თქვენს ადგილას რომ ვიყო, ამაზე დავფიქრდებოდი.

— კარგი, დავფიქრდები, — ცივად მიუგო დედა.

\* \* \*

მანამ ისინი საუბრობდნენ, ტონი უკანა ეზოში იჯდა, ძველი საწოლის ბაღეზე, და კარს ათვალიერებდა. ეს იყო ფიჭვის ფიცრებისაგან შეკრული ჩვეულებრივი კარი, რომელიც მეორე ეზოში გადიოდა. რკინის რაზა სიძველისაგან დაუანგებულიყო და გაჭირვებით იღებოდა, ანჯამები ყოველ გაღებაზე საცოდავად და გულისგამაწყალებლად ღრჭიალებდნენ; მწვანედ შეღებილი მესერი და კარები დროთა ვითარებაში გამოხუნებულიყო.

„რაღა თქმა უნდა, ვერცერთ გონიერ ადამიანს, — ფიქრობდა თავისთვის ტონი, — განსაკუთრებით კი ამ ახირებულ გონიერ ხალხს, რომლებიც დიდები შეიქნენ და უკვე ბავშვები აღარ არიან, ვერ დაარწმუნებ, რომ კარებს იქით ასეთივე ეზო არ არის! — ასევე მოხდა მაშინ, როცა მამამ გააღო კარი. მაგრამ ტონისთვის აშკარა იყო, რომ ამ კარს ადამიანი შეჰყავდა არა მარტო სავსებით განსხვავებული სამყაროში, არამედ, ამავე დროს, სრულიად სხვა დროში.“

დროისა და ადგილის საკითხი სულაც არ აწუხებდა ტონის. ათასჯერაც რომ გააღო ეს კარი, ყოველთვის ერთად თავმოყრილ ხარა-ხურას დაინახავ, მთელი იმ უზნის ეზოების საკუთრებას. მასაც რამდენჯერ მოხვლია ასე! მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ტონი რაღაც უცნაურ გუნებაზე დადგა და მას შემდეგ არც გააღებდა ხოლმე კარს, თუ ასეთ გუნებაზე არ იქნებოდა. როცა პირველად მოხდა ეს და კარი გააღო — მან დაინახა...

მაგრამ სულაც არ გაჭკვირვებია, არც შეწუხებულია, არც კი დაფიქრებულია, რადგან სწორედ ასე უნდა მომხდარიყო: ეს ჩვეულებრივი ჭიშკარი ერთბაშად ჯადოსნურ კარებად გადაიქცა; მას ახლა ადამიანი შეჰყავს უძველეს დროში, როცა კუნძული მანჭეთენი ქვეყნად ულამაზესი კუთხე იყო, ეს ქუჩუიანი ქუჩები და უშინოდ წამოყვებული შენობები არ ამანხვებდნენ. ირგვლივ მწვანედ მოხასხასე მინდვრები და ტყეები იყო გადაჭიმული, ხოლო აქა-იქ ჰოლანდიელი გლეხების ქოხები იდგა.

ტონიმ იცოდა, რომ ეს ჯადოსნური კარი ყველაზე დიდი საოცრება იყო იმ საოცრებათა შორის, რაც მას თავის სიცოცხლეში ენახა. ტონის ვერ უპატებია თავის თავისათვის, რომ ამ კარების ამბავი სხვასაც გაანდო! რაღაცნაირი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ უბრალო ლაპარაკიც კი მის შესახებ, დაარღვევდა იმ სუსტ წონასწორობას, რაც ამ კარს ამარებდა; მითუმეტეს ისეთ ხალხთან ლაპარაკი, რომელთაც ტონისა არა სჯეროდა.

მაგრამ ისეთი ცხადი რამ იყო ეს ჯადოსნური კარი, რომ არ შეეძლო მასზე არ ელაპარაკნა. აი, თუნდაც ახლა, იგი შეჰყურებს ჯადოსნურ კარს და მთელი მისი არსება რაღაც უცნაურ გრძნობებს მოუცავს: ერთდროულად განიცდის მდღევანდელსაც, მხიარულ წინათგრძნობასაც და თან, თითქოს, რაღაც საინტერესოს მოელის. ახლა ეჭვიც არ ეპარება, რომ კარს გააღებს თუ არა, თავს ამოწყფის იმ ზღაპრულ სამყაროში.

ტონი გაიზმორა. ქუჩიდან მოთამაშე ბავშვების ურია-მული მოისმის, მაგრამ ტონის სულაც არ მიუწევს გული მათთან სათამაშოდ. პირიქით, ებრალება კედელს ის ბავშვები:



აბა, რითი შეედრება მათი თამაში ჯადოსნურ კარს? და იმ ბავშვებში ერთიც არ ეუფლება პიტერ ვან დობენივით ერთგული მეგობარი.

„ნეტა რას აკეთებს ახლა პიტერი?“ — გაიფიქრა ტონიმ. ამ კითხვაზე ზებირად ვერ გასცემ პასუხს, საკუთარი თვალით უნდა იხილო. ტონი წამოდგა და კარისაკენ გაემართა. სახე გაებაღრა. კარი გამოაღო და შევიდა.

\* \* \*

— მისს კლექსს, საერთოდ, უყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაჩრა, — თქვა ტონის მამამ საღამოს, როცა მასწავლებლის მოსვლის ამბავი გაიგო.

— ასეც რომ იყოს, — შეესიტყვა მისის ლივი, — ისედაც რამდენი საღვეილარაბო აქვს. ახლა ტონიც მიემატა...

— რათა სტუჟის ტონი? — იკითხა მამამ.

— იქნება მართლაც ასე ეჩვენება, — მიუგო დედამ, — ბავშვებს ზოგჯერ მოხდით ხოლმე ასეთი რამ.

— ვიცი, მაგრამ, ხომ ზედავ, სხვა ბავშვები ერთად თამაშობენ...

— ტონიც თამაშობს.

— რას თამაშობს? იმ კარებითა და არარსებულნი ქვეყნით? ასე თუ გაგრძელდა, არ ვიცი მისგან რა გამოვა! რაიმე სასჯელისაგან თავისდასაღწევად რომ საჭიროებდეს ტუჟილის მოგონებას, კიდევ ჰო; ესეც ძალიან ცუდი ჩვეულებაა, მაგრამ მაინც რაღაც გამართლება ექნებოდა. ტონი, ეტუობა, ერთობა ასეთი ტუჟილებით და, რაც ყველაზე უფრო საშინელია, ისე დაბეჯითებით ლაპარაკობს ხოლმე ტუჟილს, ლამის მეც დამაჯეროს. ამ კარებს რომ შევხედავ ახლა, უცნაური გრძნობები მომიცავს ხოლმე.

— მესმის, — დაეჟანხა დედა, — მაგრამ ეს იმას როდნიშნავს, თითქოს ბავშვი ავად იყოს. ეს თამაშია მხოლოდ. მალე თავისით დაავიწყდება ის კარები.

— მაშ არ წავიყვანოთ ექიმთან?

— რა თქმა უნდა, არა! ჯანმრთელი ბავშვიც არის და ძალიან კარგი ბავშვიც. ნეტა სად დაიკარგა!

თითქოს ამ სიტყვების პასუხად, ოთახში შემოვიდა ტონი. შარვალი კვირისთავებზე დახედა, ცალი წინდები დაიწყო, სახე დაუფარავი სიხარულით უბრწყინავდა, თვალები უციმციმებდა, კისერი გაკაწრული ჰქონდა.

— მეც აქა ვარ, — თქვა მან, — საღამო მშვიდობისა.

— იჩაუბე, ტონი? — ჰკითხა მამამ.

— არა.

— მაშ რამ გაგაწრა?

— უბრალოდ გავიკაწრე, — მიუგო ტონიმ და მხრები აიჩიჩა.

— მაინც რა მოხდა? არ გინდა თქვა?

— სულერთია, არ დაიჯერებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კარებს იქით გავიკაწრე.

— რომელ კარებს იქით? — წყნარად ჰკითხა მამამ.

— აი, უკანა ეზოში.

— შენ გინდა თქვა, მეზობელ ეზოში?

ტონი წამით შეეკუჟანდა და მერე უპასუხა:

— არა, ინდოელებთან „სუმ-ვოს“ ვთამაშობდი და მაშინ გავიკაწრე.

— კეთილი, — განაცხადა მამამ, — ახლა ყველაფერი ნათელია. დღესვე მივდივარ ექიმთან.

\* \* \*

განა მარტო ტონის, იმ უბანში თითქმის ყველა ბავშვს უყვარდა ექიმი ფორბსი. ზოგიერთი ადამიანი, სიბერეში რომ შედის, ბავშვებს არ იკარებს ხოლმე; ზოგი კი პირიქით, სულ ბავშვებთან არის. სწორედ ასეთი იყო ექიმი ფორბსიც. ტონი და მამამისი ექიმის კაბინეტში შევიდნენ. ოთახის მთელი მორთულობა — დიბლომები, კედელზე გამოკიდებული ტანსაცმელი და სხვა ნივთები ინდოელებისა; წიგნები, კიდეები და ბოთლები, რომლებშიაც უცნაური პრეპარატები ესხა, — საოცრად ჰგავდნენ თვითონ პატრონს. ექიმი იჯდა დიდი, შავი ტუჟის სავარძელში, რომელსაც, ისევე როგორც სხვა ნივთებს, სქლად დასდებოდა მტვერი: დიდი ხანია ექიმი დაქვრივდა და ეს აშკარად გეცემოდათ თვალში.


ექიმმა სათვალე შუბლზე აიწია, ფაფუკი ხელები გამობერილ მუცელზე დაიწყო და ინტერესით, თითქმის აღტაცებითაც, ტონის დააშტერდა.

— თქვენ ცოტა ხნით მოსაცდელ ოთახში მიბრძანდით, „გეოგრაფიული უტრანალი“ გადათვალდით, — მიმართა ექიმმა მისტერ ლივის, — მე და ტონი კი აქ დავჩრებით და, როგორც ნამდვილი ვაჟკაცები, ცალკე ვისაუბრებთ იმ კარების შესახებ. არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც კარის შესახებ მუსიფი; განსაკუთრებით, ისეთი კარის შესახებ, რომელიც იდგება. ახლა ისეთ დროს შევესწარით, რომ ზევრი კარი მაგრად არის ხოლმე გამოკეტილი.


მამა რომ გავიდა, ექიმმა ტონის გაუღიმა და პატარა კოლოფით კონფეტები გამოუღო.

— ვმალავ ხოლმე, — განუმარტა ექიმმა, — ასე დამჩემდა. ადრე ქალიშვილებს ვუშალავდი და შევეჩვიე. ჩემი ორი ქალიშვილი მუდამ იმის შიშში იყვნენ — არ გასუქდენ და მუცელი არ გამოგებდნენ. ისინი გათხოვდნენ და მეც უკვე კარგად დიდი ხანია მუცელი წამომეზარდა, მაგრამ კონფეტებს მაინც ვმალავ, ჩვეულების მიხედვით. წითელი კონფეტები აიღე, უფრო კარგია. მაშ, არავინ არ გიჯერებს კარების ამბავს?

— თითქმის არავინ, — მიუგო კონფეტებით პირგამოტენილმა ტონიმ.



— თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი მისგან რა გამოვა!



— როგორც ვატყობ,—დაიწყე ექიმმა სრულიად სერიოზულად, დაცინვა სულაც არ გამოსჭვივდა მის ხმაში, — როგორც ვატყობ, რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე დადგები ხოლმე და უკვე იცი, რა გელოდება იქა. გააღებ კარს, შეხვალ და უცებ პიტერი ვან დობენის ეწოში აღმოჩნდები; (ეს პიტერი ვან დობენი დიდი, დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნიუ-იორკი პატარა ჰოლანდიური სოფელი იყო). რას იტყვი, ხომ ასეა, ტონი?

— დიახ, სერ,—დაეთანხმა ტონი.

— ამრიგად, ვან დობენის ფერმა დღევანდელ მოტ-სტრიტისა და ჰუსტონ-სტრიტის კუთხეში მდებარეობს. ეს ფერმაა, ხომ, ტონი?

— თქვენ, ალბათ, ფერმას დაარქმევთ, ექიმო, პიტერი კი სხვა რამეს ეძახის.

— პიტერი რას ეძახის?

— ბაუერის, —მიუგო ტონიმ.

უცარი გაკვირებისაგან ექიმს ნერწყვი გადასცდა. ჩახველა, კონფეტის კოლოფი კვლავ ტონის გაუწოდა. ტონიმ ორი წითელი და ერთი მწვანე კონფეტი აიღო. დიდი ხანია ასეთი სიმშვიდე არ უგრძნებია.

— ყოჩაღ, ტონი,—უთხრა მას ექიმმა,—შესანიშნავი კარი აღმოგიჩენია, ნამდვილი ჯადოსნური კარი. მეც სიამოვნებით გამოგყვებოდი, მაგრამ, ალბათ, გაგვიძინელებოდა იქა: იქ ხომ ჰოლანდიურად ლაპარაკობენ?

— დიახ,—მიუგო ტონიმ.

— როგორღა უნდა ველაპარაკოთ?

— მე გამოველაპარაკები, —უთხრა ტონიმ,—ცოტათი ვიცი ჰოლანდიური. პიტერიც ამტყრევს ინგლისურს. ასე რომ საუბარს მოვახერხებთ.

— კეთილი,—თავი დაუქნია ექიმმა,—მაშ, შეგიძლია მეც მელაპარაკო ჰოლანდიურად!

— იცით ჰოლანდიური?

— გერმანულს კარგად ვლაპარაკობ, ჰოლანდიური კი მესმის. თუ მეტყვი რამეს, გავიგებ. აბა, მკითხე, რა გქვიათ.

— ჰო ჰეიტ უ? — ჰკითხა ტონიმ.

მოულოდნელობისაგან ექიმს კვლავ გადასცდა ნერწყვი და ხელი კონფეტის კოლოფისაკენ გააქანა.

— ჰო მაკატ უ ჰეიტ? — თქვა ტონიმ.

— რაო?

— უკაცრავად ექიმო, სახე სულ შეგეცვალათ და რა მოგივიდათ-მეთქი, გკითხეთ. დამავიწყდა, რომ ამდენი ჰოლანდიური არ იცოდით.

— მართლაც რომ ჯადოსნური კარები გინახავს, —უთხრა ექიმმა წყნარად, — ლამის მეც დამავიწყდეს, რომ ექიმი ვარ. კისერზე რა მოგსვლია? გაგიკაწრავს! მოდი, მოგბანო. სად გაიკაწრე?

— „სუმ-ვოს“ ვთამაშობდი.

— „სუმ ვოს“?

— ინდოელები თამაშობენ ხოლმე, — განუმარტა ტონიმ, — დღეს მე და პიტერი ინდოელების სოფელში ვიყავით. პირველად არ ჩავგირიეს თამაშში, მერე კი მიგვიღეს. თამაშის დროს გავიკაწრე.

როგორ თამაშობენ „სუმ-ვოს“? — ჰკითხა ექიმმა ფორბსმა.

— ბურთით, —უბასუხა ტონიმ, — დიდი ფორთოხლის ოდენა ბურთი აქვთ, თითო გუნდში ოცდაორი მოთამაშეა, ხან ბავშვები თამაშობენ, ხანაც დიდები, მაგრამ პირველად ყოველთვის „პატრია“ ააგდებს ხოლმე ბურთს...

— ვინაო?

— „პატრია“. ასე ეძახის პიტერი და პიტერის მამაც.

ღრმა მოხუცია და მთელი სოფლის მამად ითვლება. არაფერს არ აკეთებინებენ, ხელსაც კი არ ანძრევს, მიწში ზის და სადაც დასაჯდები დასაჯდები აწესრიგებს; განსაკუთრებით, როცა ბავშვები წაიხსუბებენ. ზოგჯერ თვითონაც ჩაერევა თამაშში. ინდოელები „პატ-ლოს“ ეძახიან, პიტერი კი — „პატრია“. თევზის ნაჭრებით გვიმასპინძლებდა ხოლმე. ისეთი ტკბილი თევზია! იმიტომ, რომ ნეკერჩხლის სირაპში ხარშავენ. თამაშის დაწყებისას, ააგდებს ბურთს ჰაერში, ამ დროს მივარდებიან და ჯონით გადააგდებენ ბურთს...

— ჯონი როგორი აქვთ? — შეაწყვეტინა ექიმმა ფორბსმა.

— უბრალო თხილის ჯონი, რომელსაც ცალი მხარე მოღუნული ხელჯონივით აქვს, სწორედ ამ მხარეზეა გაჭიმული ბადე — მოღუნულ თავსა და თვითონ ჯონს შორის ნედლი ტყავის თასმებია გაჭიმული. მოუქნევენ ბადეს ბურთს და გადააგდებენ.

— აჰ, მინდვრის ჰოკეი! სად გინახავს, ტონი, ეს თამაში?

— მინდვრის ჰოკეი რასა ჰქვია, არ ვიცი, — მიუგო ტონიმ, — დღეს ჩვენც ჩავგირიეს თამაშში და კისერიც მაშინ გავიკაწრე.

ექიმი ფორბსი დიდხანს იჯდა გაჩუმებული, თავი გვერდზე გადაეგდო, შუბლს ისრესდა და ჩაფიქრებით შესცქეროდა ტონის. ბოლოს ისევ შესთავაზა კონფეტი.

— კიდევ აპირებ იქ წასვლას? — ჰკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ ექიმმა.

— არავის არ ეტყვი?

— ვერც კი წარმოიდგენ, ჩემო მეგობარო, რამდენი საიდუმლოა დაფარული ჩემს ბებერ თავში. რა იქნება, რაიმე წამომიღო იქიდან?

— მე მგონი, ეს არ იქნება კარგი საქმე.

— შენც ხომ იცი, რომ ინდოელების ნივთების კოლექციას ვაგროვებ, — განაგრძო ექიმმა ფორბსმა, — ერთი-ორი ისეთი ჯონი რომ მომიტანო... არც ბურთი იქნებოდა ურიგო...

ტონი დაფიქრებით შეჰყურებდა ექიმს.

— აბა, კარგად დაფიქრდი, ტონი, მოიფიქრე. ამ სამსახურს თუ გამიწევ, ძალიან მადლობელი ვიქნები. ახლა შინსაკენ მოუსვი. მე კი მამაშენს მოველაპარაკები.

მაგრამ კარებთან ისევ შეაჩერა ექიმმა ფორბსმა და ჰკითხა:

— ამას წინათ ამბობდი, იროქეზების ბელადები შინახავსო. თუ გახსოვს რა ეცვათ?

— გრძელი მოსასხამები ჰქონდათ, — დაიწყო ტონიმ და ღრმად ჩაფიქრებულმა შუბლი შეიკუმხნა. ეტყობა, ცდილობდა ყველაფერი მოეგონებინა დაწვრილებით, — თუ არ ვცდები თეთრი ირმის ტყავისა იყო ეს მოსასხამები. ახლა რომ ავიწერენ ხოლმე, ისეთები სულაც არ ყოფილან ის ბელადები. თვალი შევავლე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ მეფეები იყვნენ: მოსასხამები სულ მარგალიტის მძივებითა და ირმის რქების პაწაწინა ნატუნებით ჰქონდათ შემკული. თმა გრძელი და თოვლივით თეთრი ჰქონდათ.

— თავზე კი, რაღა თქმა უნდა, ფრთებით შემკული თავსაბურავი ეხურათ!

— სრულებითაც არა! — შესძახა ტონიმ, — არავითარი ფრთები! გვირგვინი ედგათ, ხის გვირგვინი, რომელსაც გვერდებზე ირმის რქები აქვს დატანებული, როგორც ვიკინგებს სურათებში...

\* \* \*

— ბავშვებს თავისი სამკარო აქვთ, — უთხრა მოხუცმა ექიმმა ფორბსმა ტონის მამას, — მთელი უბედურება ის არის, რომ თავშესაფარისა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად, დილი-

დანმოკიდებული გვიან ლამეშდე, ჩვენ გაცოფებული დავრბივართ, წელს ვიწყვეტთ, ბავშვების სამყარო კი გვაფიწყდება, სულაც უარვყოფთ მას, ხოლო ამით ზოგჯერ ჩვენივე ბავშვებსაც ვკრავთ ხელს.

— მაშ, თქვენის აზრით, არ უნდა ვაჩვენო...

— ფსიქიატრის? სისულელეა! ტონის ისევე სჭირდება ფსიქიატრი, როგორც მე და თქვენ. ვინ იცის, იქნებ კიდევ უფრო ნაკლებადაც. მას ახლა სჭირდება გაგება და სიყვარული. ნუთუ ვერ ამჩნევთ, რა მოსდის ბავშვს? ბევრი ისეთი რამ არსებობს, რასაც ჩვენ მოტ-სტრიტზე ვერ ვხედავთ, ამიტომაც მან საკუთარი სამყარო შექმნა. მე და თქვენ რომ შევიდეთ იმ ეზოში, ნავის სროვის მეთვრამეტე დაღინახავთ; იგი კი თავის საოცნებო ადგილას აღმოჩნდება, სამახსოვროს წინაშე დგომის იორკში. მისმა; ცოც-



— ეშმაკმა დალაზეროს, თითქოს მეცა მჯერა ამ ბავშვისა.

ხალმა წარმოსახვამ ადვილზე ხალხი დაასხლა, ისეთი ხალხი, როგორც მის ფანტაზიას წარმოუდგენია...

— მაგრამ რა ვიღონო?— შეაწყვეტინა ტონის მამამ, — აბა რა გამოვა, ყველას რომ უამბოს ეს მონაჩიხანი.

— ჯერ ერთი, მისთვის ეს მონაჩიხანი როდია. ეს ყველაფერი ცოცხლად არის ასახული მის წარმოსახვაში და ტონის სჯერა, როგორც მხოლოდ ბავშვს შეუძლია დაიჯეროს. მისთვის ისეთივე რეალურია ეს სამყარო, როგორც ჩვენივე ბევრი ისეთი რამ, რაც აშკარად გვჯერა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ სამარის კარამდე გვჯერა ფუჭი ილუზიებისა, ტონი კი ერთ მშვენიერ დღეს გააღებს ჯადოსნურ კარებს და ნავით სავსე ეზოს დაინახავს. მაგრამ დიდად აღარ შეაწუხებს ეს ამბავი. ამიტომაც ჩემი რჩევაა, თავის ნებაზე მიუშვათ ბავშვი.

\* \* \*

მაგრამ როდესაც ტონის მამა გამოეშვიდობა და შინ წავიდა, ექიმი კვლავ თავის სავარძელში ჩაჯდა, სათვალე შუბლზე აიწია და ტონი მაკ-ტუვიშ ლივის ჯადოსნურ კარებზე ფიქრი დაიწყო.

საოცარი, საიდან შეთხზა ბავშვმა ეს ამბავი, ან ისე თვითდაჯერებული როგორ არის, რომ ერთხელაც არ შეეცუპმანებულა, ისე უბასუხებდა შეკითხვას. ექიმი ფიქრებშია გატაცებული, ბავშვობის დღეები გაახსენებს... მაშინ ნიუ-იორკის იმ უბანში, საცა ექიმი ცხოვრობდა, საითაც უნდა გაეხედა კაცს, ბუჩქებით დაფარულ გორაკებსა და ამწვანებულ მდელოებს დაინახავდა. ქალაქი მხოლოდ სამხრეთით იყო გადაკეტილი.

„მაგრამ ეს დრო წავიდა, — გაიფიქრა ექიმმა ფორბსმა, — სამუდამოდ წავიდა, ახლა ყველგან ქალაქი — ქუჩები, სახლე-

ბი“. ექიმს აუტანებელი თი კარები, როგორც ტონის ჰქონდა, კარები, რომლითაც უღარდელ ბავშვობას დაბრუნებოდა...

— ეშმაკმა დალაზეროს, — ჩაიღუღღუნა ექიმმა, თითქოს მეცა მჯერა იმ ბავშვისა.

ამ ფიქრების თავიდან მოსაშორებლად ექიმმა მწვანე ყდაში ჩასმული სქელი წიგნი ჩამოიღო, მოსაწყენი და ძილისმომგვრელი წიგნი შინაგან სწეულებათა შესახებ, რომელიც, რაგინდ ცოცხალი და მგზნებარე წარმოსახვა ჰქონოდა კაცს, უსათუოდ გაუნელებდა.

მაგრამ ექიმის ფიქრები მაინც იმ ჯადოსნურ კარებს დასტრიალებდა. ექიმმა წიგნი დახურა და ტელეფონის მილი აიღო, რათა თავის გულითად მეგობარ აიწეკ ჰილმენტან დაერეკა, რომელსაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე მუზეუმში გაე-

ტარებინა. ეს კაცი მუდამ თავს დასტრიალებდა ექსპონატებს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანდა, საგამოფენო თაროდან მოხსნიდა და სარდაფში გადაიტანდა ხოლმე, ახალ ექსპონატს თაროზე გამოფენდა და სულ იმას წუწუნებდა, საკმაო ფული არა გვაქვს, რომ ახალი ექსპონატები შევიძინოთო.

იმ მუზეუმს, სადაც აიწეკი მუშაობდა, ამერიკელ ინდოელთა მუზეუმი ერქვა. იგი მთელს ქალაქში და ქალაქის ფარგლებს გარეთაც განთქმული იყო. მოხუცი ექიმი ფორბსი და აიწეკი დიდი მეგობრები იყვნენ: ნიდაგა დავობდნენ, ერთმანეთს უყვიროდნენ. ათასგვარ საშინელ ცოდვებს სწამებდნენ ერთმანეთს და მაინც გულითად მეგობრებად რჩებოდნენ. ჩსუბი უმთავრესად ინდოელების შესახებ მოხდილიყო ხოლმე. აი, სწორედ ამ კაცს დაურეკა ექიმმა ტელეფონით.

— აიკ, — დაიწყო მან, — რომ გითხრა, ინდოელები მინდვრის ჰოკეის თამაშობდნენ-მეთქი, რას მიპასუხებ?

— რა უნდა გიპასუხო? გეტყვი, რომ ინდოელებისა არაფერი იცი.

— შენი აზრით, არ თამაშობდნენ?

— არა, რაღა თქმა უნდა. არცერთ მომსწრეს არა აქვს ადწერილი; ასეთ მასობრივ თამაშს როგორ ვერ შენიშნავდნენ!

— დიახ, როგორ არა, — დაცინივით შეესიტყვა ექიმი, — შენ იქ არ იყავი, ვინღა შენიშნავდა.

— შენ ხომ იყავი, გამოჩინებულ ბებერო! კაცო, რას გადამეკიდე, რომ შუადამითაც აღარ მახვენივ? მაღვიძებ და მეკითხები, ინდოელები მინდვრის ჰოკეის თუ თამაშობდნენო.

— წუნარად, წუნარად, ნუ ადუღდები. თორემ სისხლის წნევა ავიწევს, — გააფრთხილა ექიმმა. წესიერად მოიქციე:



ჯენტლმენს თუ ვერ დაემსგავსები, მეცნიერს მაინც დაემსგავსე. აბა, იქნებ ეს მოხსნა, იროქეზების ტომების დიდ ბედს თავზე რა ეხურა.

— ეს ხომ ყველა სულელმა იცის: ფერადი კენჭებიო შემკული ხის გვირგვინი, რომელზედაც გველის კანია მიწებებული; აქეთ-იქით დამაგრებული აქვს ირმის ოთხტოტა რქები, რითაც იგი ვიკინგების ფრთებიან მუწარადსა შვავს. ამ მსგავსებას ხშირად შეცდომაში შეჰყავდა ხოლმე ხალხი, მაგრამ იროქეზების თავსამკაული სხვაა...

— რამდენი ასეთი გვირგვინი გაქვს შენს კოლექციაში?  
— არც ერთი! — შეუტია გაბრაზებულმა აიკ ჰილმენმა, — არავისაც არა აქვს, და ეს შენ მშვენივრად იცი, გამოჩერე ტებულა ბერიკაცო. იქნებ ძველი ავეჯეულის მაღაზიაში წაწყვი მოტ-სტრიტზე!

— არა, მაგრამ, შოკეის ჯონებს იქნებ მართლაც წავაწყდე! აიკ, ხუმრობა იქით იყოს და, სად შეიძლება კაცმა იროქეზების ბელადის თავსამკაულის აღწერილობა ნახოს?

— ძველ ხელნაწერებში თუ ნახავს კაცი. ჩვენ კოლექციაშიც გვაქვს გრავიურა ასეთი გვირგვინის გამოხატულებით.

— ერთი ჭორფლიანი ბატარა ბიჭი ხომ არავინ მოსულა თქვენთან იმ გრავიურების დასათვალთვინებლად.

— რაო?

— არაფერი, არაფერი. ახლა ეს მითხარი, ასეთი დიდებული გვირგვინი იროქეზების უბრალო ბელადებსაც ჰქონდათ?

— არავითარ შემთხვევაში! ასეთი გვირგვინი მხოლოდ მთელი ტომების საერთო ბელადს ეკუთვნოდა.

ექიმმა ტელეფონის მილი დაჰკიდა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ტონი მაკ-ტევიშ ლივი კი არა, მგონი, მე თვითონ მოვხვდე საგიჟეში.

ამ დროს ტონი მაკ-ტევიშ ლივის უცნაურ გამოვლევითა. ეს იმხანა, თითქოს ისა და მისი ამხანაგები ფრონტ-სტრიტზე მსუქან აქუციტინებულ ღორს გამოეკიდნენ და დაიჭერდნენ კიდეც, რომ ღორს გუშავს არ შეენიშნა. გუშავი ბავშვებს დაედევნა და ის იყო ტონისაც გამოვლევითა. რამდენიმე ხანს წყნარად იწვა თავის პატარა რკინის საწოლში. შეღებულ კარებში სამზარეულოდან სინათლის შუქი გამოჰკრთოდა და დედ-მამის ხმა მოისმოდა. ტონიმ დააყურა.

— მოხუც ფორბს რა აწუხებს, — გაიგონა მამის ხმა, — მისი შვილი ხომ არ არის ტონი.

— ჰო, მაგრამ ძალიან უყვარს ბავშვი. როგორ შეიძლება თქმა, რა ენაღვლებათ.

— მაგას არც მე ვამბობ, მაგრამ იგი იმდენს ზრუნავს ტონიზე, როგორც ყველა სხვა ბავშვებზე... სულ ტყუილების გუდად იქცა, აღარ ვიცი რა კაცი უნდა დადგეს..

— უსამართლო ნუ ხარი! — შეაწყვეტინა დედამ, — ტონი კარგი ბიჭია. ტყუილსაც მხოლოდ ხანდახან თუ იტყვის.

— მხოლოდ იმ ჯადოხსნურ კარებზე, არა?

— აბა ერთი სცადე, მოელაპარაკე, იქნება როგორმე გადავიწყო ის კარები, — უთხრა დედამ.

— არა, აღარ შემიძლია უკვე ველაპარაკე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. იცო, რას ვფიქრობ? ფიცარსა და ლურსმნებს წავიღებ და მივატედე იმ კარებს, რომ მეტად ვეღარ გააღოს.

ტონი ლოგინიდან წამოხტა და სამზარეულოსაკენ გაიქცა.

— ხელი არ ახლო იმ კარს! — შესძახა მან, — თორემ მანვინვე წავალ და აღარ დავბრუნდები.

თარგმნა ვასტანგ ზემლიძემ

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ჩინური იგავ-არაკები

## უწიგნური მემამულე

იყო ერთი მემამულე — ძალიან ამაყი, ძუნწი და უწიგნური: წერა-კითხვისა არაფერი გავებოდა. სხვებთან კი თავი ისე ეჭირა, თითქოს დიდად განსწავლული ყოფილიყო.

ერთხელ, მეზობელი მემამულე ქალისაგან ასეთი შინაარსის წერილი მიუტანეს: ბრინჯი უნდა წავიღო გასაყიდად და შენი ვირი მათხოვეო.

მემამულემ დიდხანს ატრიალა წერილი ხელში, ვერაფერი გაიგო, მაგრამ არ შეიმჩნია და წერილის მომტანს მედიდურად უთხრა:

„პასუხს არ ვწერ. წადი და შენს ქალბატონს მოახვე: ხელო დილით მე თვითონ მოვალ-თქო.“

## გველფეშაქვის მოკვარული

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. ერთი კაცი ამბობდა, ძალიან მიყვარს გველფეშაქვითა. სახლის კედლებზე, ბოძებზე, ჭურჭლეულობაზეც კი, — სულ გველფეშაქვს ახატვინებდა. ერთხელ, მისი ოთახის ფანჯარაში ცოცხალმა გველფეშაქვმა შეიხედა. ჰოი, საკვირველებავ! გველფეშაქვის მოკვარულს ისე შეეშინდა, რომ თავქუდ-მოგლეჯილმა მოკურცხლა ოთახიდან.



ნახ. გ. თოთბაძისა

## მწყემსი და ბუზი

უნგრული ხალხური ზღაპარი

ერთხელ მწყემსებმა ვერცხლის კვერცხი იპოვეს. კარგა ხანი იყო, მაძღრისად აღარ ეჭამათ და გადაწყვიტეს, დიდი ღვინო გადაეხადათ.

მივიდნენ მეზობლად მცხოვრებ მდიდართან და ვერცხლის კვერცხი ერთ მსუქან ბურჯაკში გადაუცვალეს.

წაიყვანეს შინ ბურჯაკი, დაკლეს და შეწვეს. ის იყო სუფრას უნდა შემოსხდომოდნენ, გაასხენდათ, რომ ხორცისათვის მარილი არ მოუყრიათ!

რა ქნან, ვინ მოიტანს მარილს?

წასვლა არც ერთს არ უნდოდა, რადგან ყველა შიშობდა, ვაი თუ ჩემი წილი სხვამ შეჭამოსო.

იფიქრეს, იმსჯელეს და ბოლოს გადაწყვიტეს, ხორცისათვის ცხრილი გადაეფარებინათ და ყველანი ერთად წასულიყვნენ მარილზე.

იარეს, იარეს, ძალიან ბევრი იარეს და უცებ ორ ქანდარმს წააწყდნენ. შეშინდნენ საწყლები, ემანდ ჩვენ შენახულ ბურჯაკს არ მიაგნონ და არ გადასანსლონო. დაუწყეს ქანდარმებს სვეწნა-მუღარა, ნუ შეგვიჭამთ ბურჯაკსაო.

მაგრამ ქანდარმები, ხომ მოგესვენებათ, ყოველთვის სხვის ხარჯზე ცხოვრობენ. ძალიან არ გასჭირვებით, იპოვნეს შემწვა-

რი ბურჯაკი და შეჭამეს. ესეც არ იკმარეს, მწყემსების გასაბაბრებლად ძვლები შეაგროვეს და ცხრილქვეშ შეყარეს.

დაბრუნდნენ საწყალი მწყემსები, მიიტანეს მარილი და რას ხედავენ! ბურჯაკი აღარსად ჩანს, გამოხრული ძვლებიდა ყრია ცხრილქვეშ... ერთ ძვალს კი ბუზი დაჯდომია.

— ეტყობა, ამ ბუზს შეუჭამია ჩვენი შემწვარი ბურჯაკიო.— თქვეს მწყემსებმა.

ადგნენ და საჩივლელად წავიდნენ მოსამართლესთან. ყველაფერი დაწვრილებით უამბეს, არც ქანდარმები დავიწყებიათ...

მოსამართლემ იმსჯელა და ასეთი განაჩენი გამოიტანა: დე, მწყემსებმა სადაც არ უნდა დაინახონ ბუზი, მაშინვე წუთისოფელს გამოასაღმონო.

მაშინ წამოვარდა სარქალი და თავში სთხლიშა მოსამართლეს. მოსამართლე სავარძლიდან გადმოგორდა.

მოიხმეს მეორე მოსამართლე.

— რატომ დაარტყი თავში მოსამართლესაო? — ჰკითხა სარქალს ახალმა მოსამართლემ.

— მოსამართლის შეურაცხოვა აზრდაც არ მომსვლია, თავზე ბუზი აჯდა და ის მოკვალი, რომ თვით მოსამართლის განაჩენი შემსრულებინაო, — უბასუხა სარქალმა.

რა უნდა ექნათ? ადგნენ და გაუშვეს მწყემსი.

თარგმნა ქეთევან ნაღირაძემ



# პიონერული ახალი ამბები

## სასპორტო დღესასწაული

## მეგობრობის შექრება

ამას წინათ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მოსწავლეთა სასპორტო დღესასწაული. თავიანთი ოსტატობა აჩვენეს ნორჩმა მოციგურავეებმა, ჰოკეისტებმა და ფიგურისტებმა. თვალწარმტაცი იყო ნორჩი ფიგურისტების მიერ ყინულზე შესრულებული ცეკვები „რუსული“, „პოლკა“ და „პოლონეზი“. აღტაცება დაიმსახურა 14 წლის ტანია ლინარევამ, სსრ კავშირის ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში. ასევე კარგად გამოვიდნენ მოსწავლეები: ე. ბოგდანოვა, თ. სიმანტოვსკი, ე. ზახაროვი, ვ. ლარიონოვი.

არდადეგების დღეებში თბილისში ჩატარდა, აგრეთვე, საქართველოს მოსწავლეთა შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სპორტულ, მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში მოსწავლეებმა კარგი მომზადება აჩვენეს. ოსტატთა პროგრამით პირველობაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ქუთაისელმა პირველთაწიგოსანმა ვ. ზაიცევამ. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის აღსანიშნავი არიან ბ. იაგუტოვი, რ. კობახიძე, ა. კვეტინაძე, გ. ქიტუაშვილი და სხვ.

ძლიერად ჩაატარა შეხვედრები ქუთაისის „ნორჩი დინამოელის“ ვაჟ კალათბურთელთა გუნდმა.

ჩვენი მოსწავლეები მარტო სწავლაში როდი არიან მოწინავენი! მათ უყვართ სპორტი, რომელიც აკაუებს სხეულს და ადამიანს აჩვევს შეუპოვრობას, სიმამაცეს, სიძინელების გადალახვას.



## ბ ა ვ შ მ ტ ა ქ ა ლ ა ქ ი

პოლონეთში, შჩეცინის ყურეს სანაპიროზე, აგებულია პატარა ქალაქი—კურორტი პოდგროძე. იგი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისათვის. აქ ყოველთვიურად ჩამოდიან დასასვენებლად ათასობით პოლონელი ბიჭები და გოგონები.

ბავშვები თვითონვე მართავენ ქალაქს. მათ იქვე თავიანთი ქალაქის საბჭო, მილიცია, საფოსტო განყოფილება და რკინიგზაც. მოზრდილები მხოლოდ რჩევა-დარიგებით ეხმარებიან ქალაქის პატარა მესვეურებს.

ქალაქში არის ყველაფერი, რაც საჭიროა კულტურული დასვენებისა და გართობისათვის: ნორჩ ტექნიკოსთა სახლი, სტადიონები, კინო-თეატრი.

ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების ნორჩ მიჩურინელთა მეორე საგზაო შეკრებამ, რომელიც ამას წინათ თბილისში ჩატარდა, ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ რა მჭიდრო მეგობრობა აქვთ სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მოსწავლეებს. შეკრებამ დაადასტურა, რომ ნორჩ ნატურალისტებს დიდი წარმატებები აქვთ. შეკრებაზე წარმოდგენილი იყო 20 მოხსენება მეზობლების, მევენახეობის, მებაღეობის და სხვა თემებზე. საუკეთესო მოხსენებები წარმოადგინეს ნ. ფასურიშვილმა, ნ. ინასარიძემ, შ. ხურციამ, შ. ვეფხვაძემ, ნ. ვერძაძემ, ს. მანუკიანმა, გ. მირაჯიანმა, ლ. ნახიბოვამ, თ. ლეონოვიჩმა და სხვ.



შეკრების დღისათვის გახსნილი იყო გამოფენა ნორჩ მიჩურინელთა ნამუშევრებისა. წარმოდგენილი იქნა ბოხტნეულის, ხილისა და სხვადასხვა ნამყენის უამრავი ექსპონატი.

მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეები ეცნობოდნენ ერთმანეთის მიღწევებს, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ შეკრების მონაწილეთა შორის ბევრი იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

## ქორა უნტანოვი


ათასზე მეტი ცნვარი აბარია კოლმეურნეობა „მუნტარ-ტარნოტის“ ჩიბანს არგამ ულაგაშევს.

ალტაის მთებში, ორ ქედს შორის, მინდორზე ბალახობდა არგამის ფარა. სხვა მწყემსებს შორის იმყოფებოდა ბატარა ბიჭი ქორა უნტანოვი.

უეცრად ნისლი ჩამოწვა, ამოვარდა ქარი, ცა გაშავდა. მწყემსებმა ძლივს მოასწრეს ფარის შეკრება, რომ ქარაშობი დატრიალდა. ახლოს მგლები აყმუვლდნენ. საცოდავად აპეტელდნენ ცხვრები. მწყემსები გარს შემოერთყენენ ფარას, რათა დაეცვათ იგი მგლებისაგან. ქორა უნტანოვმაც დაიკავა თავისი ადგილი. იგი, თოფით ხელში, მთელი ღამე იგერიებდა მგლებს. გავიდა ერთი დღე და ღამე. მწყემსებს ვაზნები შემოაკლდათ. ახლა ისინი რიგრიგობით ისროდნენ. ასე გაგრძელდა ოთხ დღელამეს. მრავალი მგელი იმსხვერპლეს მწყემსებმა და მათ შორის ქორამაც.



ასე შეიტანა თავისი წვლილი საკოლმეურნეო ქონების დაცვაში პატარა ქორა უნტანოვმა.



### „ალექსანდრე მატროსოვი“



ახლახან „საბლიტ-გამმა“ ქართულ ენაზე გამოსცა ლენინგრადელი მწერლის პ. ყურბას წიგნი „ალექსანდრე მატროსოვი“. დიდი სამამულო ომის სახელგანთქმულ გმირებს: გასტელოს, ლიზა ჩაიკინას, ოლეგ კოშევიის და სხვებს მხარს უმშვენებს გვარდიის რიგითი მებრძოლი ალექსანდრე მატროსოვი. მან თავი შესწირა საბჭოთა

საშობლოს კეთილდღეობას და ამით უკვდავო თავისი სახელი.

წიგნში საინტერესოა მოთხრობილი ამ უბრალო საბჭოთა ახალგაზრდის ხანმოკლე, მაგრამ ბევრსმთქმელი სიცოცხლე. პატარა საშვა ობოლი ბიჭი იყო, ის საბავშვო სახლში აღიზარდა. მწერალი აგვიწერს, თუ როგორ აყალიბებდა მატროსოვის ხასიათს კოლექტივი, საბჭოთა საზოგადოება.

და აი, 1941 წლის 22 ივნისს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია ვერაგი მტრის, ფაშისტების შემოსევამ. „ყველაფერი ფრონტს!“ — ეს ლოზუნგი ამოძრავებდა ყოველ საბჭოთა ადამიანს იმ დროს. თავდადებით შრომობდნენ პატარა აღსაზრდელებიც. კარგად არის ნაჩვენები მატროსოვის ნებისყოფის სიმტკიცე, როცა ის, წელამდე ცივ წყალში

ჩამდგარი, დაღამებამდე მუშაობს მორების ამოსახილად. მისი მაგალითი გამხნეებულნი ამხანაგებიც არ ჩამორჩებიან მას.

მალე ასრულდა მატროსოვის ოცნება, — ის წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. აქ მატროსოვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ის მიიღეს კომკავშირის წევრად. მან ფიცი დასდო კრებაზე, რომ ღირსეულად ატარებდა კომკავშირელის სახელს.

საინტერესოა, საქმის ცოდნით აგვიწერს მწერალი ფრონტის დღეებს. განსაკუთრებით ძლიერადაა აღწერილი შეტევა, რომლის დროსაც დაიღუპა მატროსოვი; საკუთარი მკვრივით აფარა იგი მტრის ტყვიამფრქვევს და გზა გაუხსნა თავის თანამებრძოლებს.


უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით ალექსანდრე მატროსოვის

სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მისი სახელი გმირობისა და სიმამაცის სიმბოლოდ იქცა ყველა თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანისათვის. ამიტომ სარგებლობს ეს წიგნი ასეთი დიდი სიყვარულით არა მარტო ჩვენში, არამედ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. აი, რა მისწერა ავტორს ქალაქ პეკინის მე-40 სკოლის მოსწავლე ლაი ვეი-ხუანმა: „...ჩინელი ახალგაზრდები და სახალხო არმიის მებრძოლნი კარგად იცნობენ რუსი ჯარისკაცის გმირულ თავდადებას. თქვენი წიგნი მათთვის იქცა ვაჟაკობისა და გმირობის სახელმძღვანელოდ“.

პ. ყურბას „ალექსანდრე მატროსოვი“, რომელიც თარგმნილია რ. კიკაძის მიერ, ძვირფასი საჩუქარია ნორჩი მკითხველისათვის.

**ნუნუ ხომეჩიძე**

### „ბურთი და მოედანი“



ამ სახელწოდებით გამოსცა „საბლიტგამმა“ ედიშერ ყიფიანის ნარკვევების კრებული გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებზე. ავტორი ოსტატურად გვიხატავს ნაცნობ, საკვარელ სპორტრეტებს, ამაღლებულად მოგვითხრობს მათ

სწრაფვაზე გამარჯვებათა საპატიო ფინიშებისაკენ.

ამ პატარა წიგნში ბევრია ნათქვამი სპორტული ხელოვნების მშვენიერებაზე, მის მნიშვნელობაზე — ფიზიკურად ჯანმრთელი და სულიერად ძლიერი ახალთაობის აღსაზრდელად. გეცნობით ჩვენი გამოჩენილი ოსტატების: ნინო დუმბაძის, ბორის პაიჭაძის, ოთარ ქორქიას, ელენე გოკიელის და სხვათა სპორტული ცხოვრების გზას, გეცნობით მათ დაუღალაჲ მუშაობას საკუთარ თავზე, ამ მუშაობის შედეგად მოაოვიბულ გამარჯვებებს და გული სიამაყით გვეცხება.

მაგრამ მარტო სპორტულ მოედნებზე, მარტო გამარჯვებათა ფინიშებთან

როდი გვიხატავს ავტორი ჩვენს სახელგანთქმულ ოსტატებს: საწერ მაგიდებთან, ამხანაგთა წრეში, ოჯახში, საკუთარ შვილებთან — ყველგან ვხედავთ მათ. „აი, როგორი მოქალაქეები, როგორი გულითადი ადამიანები, როგორი მზრუნველი მშობლები ყოფილან ჩვენი ფალანგები!“ — აღტაცებით ფიქრობს მკითხველი.

სახელგანთქმული ოსტატების გვერდით ავტორს არ დავიწყნია ნორჩი ქართველი ფეხბურთელები, რომელთაც არაერთხელ გაუგავკვირვებიათ მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და აღმა-ატის სტადიონები.


როდესაც ნინო დუმბაძე მსოფლიოს თავის ოსტა-

ტობას უჩვენებდა, როდესაც ჩვენი კალათბურთელები ეგვიპტეს აოცებდნენ, იქაური ბავშვები, ალბათ, აღტაცებით შესცქეროდნენ მათ და ფიქრობდნენ ჩვენს ძლევა-მოსილ სამშობლოზე, ჩვენს ბედნიერ ბავშვებზე, რომელთაც ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი — აღიზარდონ ფიზიკურად ჯანმრთელ და სულიერად ძლიერ ადამიანებად. დიდაც რომ ასეა, ჩვენი სამშობლო კვლავაც და კვლავაც მისცემს მთელ მსოფლიოს ახალ ფალანგებს!

ედიშერ ყიფიანის „ბურთი და მოედანი“ საინტერესო და სასარგებლო წიგნია.

**ნოდარ ჩხეიძე**





# მოკლედ შევლავენ

## დ რ ო ზ ე რ ა

არსებობს საინტერესო მცენარე — დროზერა, რომელიც უცნაური «მტაცებლობით» გამოირჩევა: დროზერა ცოცხალი მწერებით იკვებება. მისი გვარის უმეტესობა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ხარობს. დროზერა გავრცელებულია, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის, ჩრდილო კავკასიის და ჩინეთის ჭაობიან ადგილებში. საქართველოში ეს მცენარე გვხვდება აჭარის ტორფიან ჭაობებში, ქობულეთის მახლობლად.

დროზერას, როგორც მაღალორგანიზებულ მცენარეს, ესაჭიროება ორგანული საკვები, რასაც იგი მოკლედებულია ჭაობიან და ნესტიან ადგილებში. არსებობისათვის ბრძოლა ყველა ცოცხალ ორგანიზმს აიძულებს გამოიმუშაოს გარემოსთან შესაგუებელი საშუალება; დროთა განმავლობაში ამ მცენარეს გამოუმუშავდა ორგანული ნივთიერების მიმღები მრგვალი, პატარა ფოთლები, რომელთა ზედაპირი დაფარულია თავისებური წამწამებით. დროზერა მწერებისაგან იწოვს მისთვის საჭირო აზოტოვან ორგანულ ნივთიერებას. როგორც კი მწერი შეეხება ფოთლის ირგვლივ სხივებივით გაშლილ წამწამების ნამიან ჯირკვლებს, გაღიზიანებული წამწამები იწყებენ მოძრაობას საათის ისრის მსგავსად; გამოიყოფა მყავე სითხე და ფერმენტი, რომელიც ეხმარება მცენარეს მიღებული ცილოვანი ორგანული ნივთიერების მონელებაში. ამოდ ცდილობს დაჭერილი მწერი თავის დასხნას, იგი სულ უფრო და უფრო ეხვევა გამოყოფილ სითხეში და იღუპება. თუ მწერი ფოთლის ცენტრში არ მოხვდა, გაღიზიანდება წამწამების ის ნაწილი, რომელსაც შეეხო მსხვერპლი, ხოლო თუ ორი მწერი გაება მახეში, ფოთოლზე წამწამებიც ორ ჯგუფად გაიყოფა.

### ნ. ბოზიშვილი

## ზ დ ვ ი ს უ ს კ ი რ ზ ე

სავაჭრო ხომალდი შორეულ მოგზაურობიდან ბრუნდებოდა. უცერად ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა. ტალღები ხარჩევნულმბრვი ძალით ეხეთქებოდნენ ხომალდს, იგი წყალქვეშა კლდეს დაეჯახა. ზღვის ფსკერზე ჩაიძირა დატვირთული ხომალდი და მისი ეკიპაჟი.

მას შემდეგ 2200 წელი გავიდა. 1952 წელს მარსელთან, გრან-კონგლორეს კლდის მახლობლად, ახალგაზრდა მარსელელმა მყვინთავმა ხრისტიანმა ზღვის ფსკერზე შეამჩნია მრავალი ჭურჭელი.

არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ გემი და ჭურჭლეული ეკუთვნოდა დელოსელ გაჭარს მარკუს სექსტიუსს, რომელიც დელოსზე ცხოვრობდა დაახლოებით 2200 წლის წინაა.

გემის ჩაძირვის ადგილას აღმოჩნდა, აგრეთვე, მრავალი ნაწილი სპილენძისა, ბრინჯაოსი და ტყვიისა. ზღვის მარილიან წყალს კარგად შეენახა თიხის სურები, რომლებზედაც სექსტიუსის შემოკლებული სახელი იყო წარწერილი: ერთ-ერთ სურაში დგინც შენახულა. მას სიმაგრე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ გემო კი შერჩენოდა.

შესანიშნავად ნახელოვანი ჭურჭლეული, სპილენძის, ბრინჯაოს და ტყვიის საგნები მოწმობს იმ ხალხის მაღალ კულტურაზე, რომელიც 2200 წლის წინად ცხოვრობდა.

## თ ი რ მ ი ტ ი ბ ი

ქალაქი ჯემსტაუნი, რომელიც წმინდა ელენეს კუნძულზე მდებარეობდა, გაანადგურეს პატარა მწერებმა — თერმიტებმა!


თერმიტები თბილ ქვეყნებში ცხოვრობენ — ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, აფრიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ ამერიკაში. საბჭოთა კავშირში ისინი გვხვდებიან თურქენეთისა და, ზოგან, შავი ზღვის სანაპიროზეც.

თერმიტებს აქვთ ღია ყვითელი ან ფერი, მაგარი თავი და ღონიერი ისინი თავს ესხმიან ბაღებს, ანადგურებენ სანოვანის საწყობებს. განსაკუთრებით უყვართ ხის ნაგებობანი — თერმიტები ხარბად და გულმოდგინედ სრავენ ხეს. მათი ამ განსაკუთრებული მადის მსხვერპლი გახდა ქალაქი ჯემსტაუნი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თერმიტები ეწვიენ პამპურგის ერთ-ერთ უბანსაც, რომელიც დასახლებულია მეთევზეებით, ხელოსნებით და გემთმშენებელი ქარხნის მუშებით. სპეციალური რაზმები სასწრაფოდ ანგრევდნენ დაზიანებულ სახლებს, ცალკე ტვირთავდნენ მანქანებზე და მიჰქონდათ, რათა დაეცავთ ქალაქი თერმიტების შემდგომი გავრცელებისაგან.

როგორ მოხდნენ თერმიტები გერმანიაში? ისინი შემოპყვნენ იმ გემებს, რომლებიც ტროიკული ქვეყნებიდან აქ ჩამოვიდნენ.

თერმიტები ცხოვრობენ ოჯახობით. ერთნი ბუდეს იკეთებენ მიწის ქვეშ, მეორენი ხეში გათხრიან ფულუროს. საინტერესოა, რომ არის ერთი სახეობა თერმიტებისა, რომელიც აკეთებს ძალიან მყარ ნაგებობებს. ეს ნაგებობანი ნაკეთებია ხის მასისაგან, სილისა, თიხისაგან და სხვ. ამ ნაგებობათა სიმაღლე ხანდახან 7—8 მეტრს აღწევს. ეს



დროზერა



გიგანტური თერმიტიდი

არის ხან ცილინდრული კოშკი, ხან — კონუსისებური შენობა.

თერმიტებს დიდი ზიანი მოაქვთ ადამიანებისათვის.


დაეუფლოთ ვარიანტების გამოვლინებას

მოჭადრაკის თამაშის სიძლიერეს განსაზღვრავს პოზიციის სწორი შეფასების უნარი. მაგრამ იმისათვის, რომ უშუალოდ შეაფასო დაფაზე შექმნილი მდგომარეობა, უნდა შეგეძლოს ვარიანტების შორ მანძილზე გათვლა, ე. ი. წინასწარ, გონებაში, რამდენიმე სვლით ადრე წარმოიდგინო, განსაზღვრო თამაშის მსვლელობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომბინაციური თამაშის დროს.

როგორ დავეუფლოთ ვარიანტების გათვლის ტექნიკას? გათვლის ტექნიკა გამომუშავდება ხშირი ვარჯიშით. ამისათვის საჭიროა პოზიციების ანალიზი ფიგურების გადაუადგილებლად, ეტიუდებისა და ამოცანების გადაწყვეტა დიაგრამაზე, პოზიციის „ბრმა“, ე. ი. გონებაში, — დაფისა და ფიგურების გარეშე ანალიზი და სხვ.

გათვლის ტექნიკის დაუფლების ნამდვილი ბერკეტია ოსტატთა (კომენტირებული), თუ საკუთარი პარტიიდან ტაქტიკურად მწვავე პოზიციის გარჩევა-ანალიზი. პოზიციას განალაგებთ დაფაზე და ფიგურების ადგილიდან დაუძვრელად ისე, თითქოს თამაშობდეთ სატურნირო პარტიას, თვლით ვარიანტებს 3—5 და მეტ სვლაზე. ვარიანტის გათვლას თავი უნდა დაანებოთ მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული ხართ, რომ ის ამოწურულია. გათვლილ ვარიანტებს ცალკე ფურცლებზე იწერთ, ხოლო შემდეგ მას ოსტატის კომენტარს აღარებთ, ან ამოწმებთ თქვენზე ძლიერ მოთამაშესთან.

განვიხილოთ გროსმაისტერების ი. ბოლესლაფსკის (საბჭოთა კავშირი) და ი. ტრიფუნოვიჩის (იუგოსლავია) მოსკოვში 1947 წ. გათამაშებული პარტია.



ბოლესლაფსკიმ აქ 1. d3 : e4!! თამაშა, რითაც ლამაზი კომბინაცია განახორციელა. მაგრამ ამ სვლის წინ მან გაიანგარიშა ყველა შესაძლებელი ვარიანტი, რომელიც მის ჩანაფიქრს გამარჯვებით აგვირგვინებს. ჩვენს მკითხველს ვთხოვთ, გაარჩიოს მოყვანილი მდგომარეობა. სწორი ანალიზის ავტორთა ვვარები გამოქვეყნდება ჩვენს ეჟრნალში.



შ ი ნ ა ა რ ს ი

კ. გოგაშვილი — სიმღერა საბჭოთა არმიას (ლექსი) . . . . . 1
ნიკოლოზ ვერტენიკოვი — ვალოდია ულიანოვი (მოგონებანი ე. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრობის წლებზე კოკუშკინ-ნოში. გაგრძელება) . . . . . 2
ვახილ გვრტაძე — თებერვლის დიოა (ლექსი) . . . . . 6
ვახტანგ ნადარეიშვილი — ოსტატი და მალხაზი (ლექსი) . . . . . 7
ოთარ ჩიჯავაძე — ზვიგენის კბილი (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . 8
გურგენ ბორიანი — კი და არა (ლექსი, თარგმნა ვახტანგ გორგანელმა) . . . . . 13
გიორგი კაჭახიძე — ნეტავ, ისიც ხალისობდეს (ლექსი) . . . . . 13
ოტია იოსელიანი — პატარა პიონერი (მოთხრობა) . . . . . 14
თამაზ ჭილაძე — პირველი დღე გემზე (ლექსი) . . . . . 15
დავით ქათამაძე — იზრდებიან, ოსტატებიან (ნარკვევი) . . . . . 16
დიმიტრი მირიანაშვილი — პოლკა (ნამდვილი ამბავი) . . . . . 19
შოჟარდ ფახტი — ტონი და ჯადოსნური კარები (მოთხრობა), გაგრძელება, თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ) . . . . . 22
ჩინური იგავ-არაკებები — (უწიგნური მემამულე; გველეშაპების მოყვარული) . . . . . 27
მწყემსი და ბუხი — (უნგრული ხალხური ზღაპარი, თარგმნა ქეთევან ნადირაძემ) . . . . . 28
პიონერული ახალი ამბები . . . . . 29
ნუნუ ხომერიკი — „ალექსანდრე მატროსოვი“ (წერილი) . . . . . 30
ნოდარ ჩხეიძე — „ბურთი და მოედანი“ . . . . . 30
მოკლედ ყველაფერზე . . . . . 31
ქადრაკი . . . . . 32
გასართობი . . . . . გარეკ. მე-3
გარეკანის პირველ გვერდზე — „ს უ ე რ ო რ ე ე ლ ე ბ ი“ — ნან. კ. მახარაძისა; გარეკანის მეორე გვერდზე — საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი; გარეკანის მეოთხე გვერდზე — „პიონერული სიმღერა“ — მუსიკა თ. ხატიაშვილისა, ტექსტი გიორგი ქუჩიშვილისა.
ეჟრნალი დასურათებულია მხატვრების: გ. თათიბაძის, ა. დავილოვას, ზ. მეძმარიაშვილის, ალ. ბანძელაძის, გ. დიკის, ნ. შალიკაშვილის, რ. ცუცქერიძისა და კ. მახარაძის მიერ.

ს არ ე და ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა : რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

რ ე და ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს ო ლ ი მ ა ხ ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ს რ უ ბ რ ო უ ნ დ ე ბ ა თ .

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. февраль № 2, 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უ ე მ დ 5 5 9 ტ რ ა ჯ რ 1 7 . 0 0 0 წ ა მ ო მ ე . შ ე გ . № 1 1 . ს ტ ა მ ბ ის შ ე გ . № 6 5 . პ ო ლ ი გ რ ა ფ ი უ ლ ი კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი „კ ო მ უ ნ ის ტ ი“ .

# გ ა ს კ ა რ თ ო ბ ი



## კომიუნიკაციის მეთოდი

თამაშის მონაწილენი იყოფიან ორ თანაბარ გუნდად, მიწაზე გაავლებენ ორ პარალელურ ხაზს; ხაზის უკან გუნდები მოეწყობიან ერთმანეთისაგან ორი ნაბიჯის დაშორებით.

პირველ მოთამაშეებს ხელში უჭირავთ სამედიცინო ხალატები.

ხელმძღვანელის ნიშანზე ისინი იცვამენ ხალატებს და ნხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ გაიქცნენ მოპირდაპირე ხაზისაკენ, სადაც, ორი სკაპი დგას.

მოთამაშე დაჯდება სკანზე, ორივე ხელით დაიჭრს სკამს და სკამიანად ადგება, გააკეთებს ერთ ბრუნს ისე, რომ სკამს არ უშვევს ხელიდან, შემდეგ დადგამს რა სკამს თავის ადგილზე, გაიქცევა თავის გუნდთან. მოიხსნის ხალატს, გადასცემს მორიგ მოთამაშეს და თვითონ გუნდის ბოლოში დადგება. გუნდის უკანასკნელი მოთამაშე მხოლოდ

თავის გუნდთან მოიხსნის ხალატს და გადასცემს ხელმძღვანელს.

რომელი გუნდიც თამაშის ყველა წესს შეასრულებს და პირველი გადასცემს ხალატს ხელმძღვანელს, გამარჯვებულად ჩაითვლება.

## თივის ბუკით

მოთამაშეები დგებიან ერთ მწყრივად, თითოეული რიგრიგობით ქუსლით გაჭკრავს თივით გატენილ ბურთს და ვინც შორს გადაადგებს, გამარჯვებულიც ის იქნება.

თამაში შეიძლება ჩატარდეს, აგრეთვე, გუნდებს შორის. მოეწყობიან რა კოლონებად, პირველი მოთამაშე ბურთს გაჭკრავს. გაჩეოდება თუ არა ბურთი, ახლა მორიგი მოთამაშე მივა და ბურთს უფრო შორს გაჭკრავს.

გუნდი, რომელიც თივის ბურთს ყველაზე შორს გაიტანს, იქნება „ა“ კლასის გუნდი ან ჩემპიონი.


ბ. თარალაშვილი

## თავსაშვინი

მოცემული სამკუთხედი დაყავით სამ თანაბარ ნაწილად ისე, რომ თითოეულ ნაწილში მოათავსოთ საბი ვარსკვლავი.

შეადგინა

რ. თავდიდშვილი



## პასუხები ჟურნალ „აიონარის“ № 1 ში მოთავსებულ გეოსკოპზე

პასუხი შარადაზე:

ილია ქავჭავაძე

პასუხი თამსატმზე „გაბრაჰის ცხენის სვლით“

იოსებ მამულაშვილი – გრიშაშვილი;

„დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“

პასუხი კროსკოორდზე:

## კრიზომეგალიკა


3. საქსაფონი, 7. ქარტია, 8. ბეკარი, 9. აბზინდა, 14. მაგელანი, 15. თრიალეთი, 18. ამწე, 19. არყა, 20. სიგი, 22. გვატემალა, 23. ქცია, 29. ალი, 31. პენალტი, 32. პლანერი, 33. გორი, 34. ბუთა, 35. ინერცია.

## პერიკალიკა

1. სატირა, 2. ანტენა, 4. აკაცია, 5. პარალელი, 6. ბრაზილია, 10. ხაგანი, 11. ტამანგო, 12. ჰიმალაი, 13. რთველი, 16. სეპტიმა, 17. ბაქმაზი, 21. გვინეა, 24. ცენტრი, 25. ლიაზგი, 26. სატურნი, 27. კალკუტა, 28. შანხაი, 30. ლინკორი.

## ერთი მოხაზვით

დახაზეთ ეს ფიგურა ერთი მოხაზვით ისე, რომ არ მოაშოროთ ფანქარი ქაღალდს, ორჯერ არ გაავლოთ ხაზი ერთსა და იმავე ადგილას და ანავე დროს ხაზებზე არსად არ გადაჰკვეთოთ ერთმანეთი.



შეადგინა დ. აბაშის II-ე საშუალო სკოლის მოსწავლე  
ალექო მელაქიძე



5.24/35

მუსიკა თენგიზ ხატიაშვილისა

სიტყვები გიორგი ქუჩიშვილისა



# პიონერული სიმღერა

მარჯის ბემაში

მოდ-იან მო-იმ-ღერ-იან  
 მა-ლ-ხა-ზი პი-ონ-ერ-ებ-ი გო-გო-ნე-ბი და ბი-ჭე-ბი ერთ-ყრთ-ზე მშვე-ნი-  
 ე-რე-ბი გო-გო-ნე-ბი და ბი-ჭე-ბი ერთ-ყრთ-ზე მშვე-ნი-  
 ე-რე-ბი წი-თე-ლი დრო-შის ფრე-ნი-თა.

მოდიან, მოიმღერიან  
 მალხაზი პიონერები,  
 გოგონები და ბიჭები  
 ერთურთზე მშვენებიერები.

მოდიან, მოწყრიალევენ  
 ბრძოლის ჰანგების რხევითა,

წითელი დროშის ფრიალით,  
 წითელი ყელსახვევითა.

და ასე მოყიყინებენ  
 ახალგაზრდული ღხენითა,  
 წითელი ყელსახვევებით,  
 წითელი დროშის ფრენითა.